პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლელო

№055 (12 125)

8 მარტი ხუთშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი





# პლატინის ღიმილი



# გუშინდელი

## დღის ქრონიკა. უეფას პრეზიდენტი თბილისში



ნუგზარ სურამიძის ფოტოები

2-3

ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. II მატჩები

# მაკაი ისტორიაში, რეალი სანაგვეზე




გუშინ, ჩემპიონთა ლიგაზე ისტორიული დღე იყო - "ბაიერნის" ფორვარდმა **როი მაკაიმ** ამ ტურნირის რეკორდი დაამყარა. ჰოლანდიელმა "რეალის" კარი მე-11 (!) წამზე დალაშქრა და მთელი 9 წამით გააუმჯობესა ბრაზილიელი ჟილბერტო სილვას რეკორდი, რომელიც 2002 წლის 25 სექტემბერს, "არსენალისა" და "ეინდჰოვენის" მატჩის დროს იყო დამყარებული.

მაკაის გოლი რობერტო კარლოსისა და მთლიანად სამეფო კლუბის დაცვის სინდისზეა. მართალს ამბობდა მატჩის წინ "ბაიერნის" მთავარი მწვრთნელი **ოტმარ ჰიტცფელდი** - ჩვენს მეტოქეს სუსტი დაცვა ჰყავს და ეს ფაქტორი აუცილებლად უნდა გამოვიყენოთო. გერმანელებმა "რეალის" ცენტრალური მცველების უხვად ბოძებული მეფური საჩუქრები ორჯერ აქციეს გოლად, რაც საკმარისი აღმოჩნდა საბოლოო გამარჯვებისთვის. ისე კი, მასპინძლებმა უამრავი მომენტი გაატანეს ქარს.

ჩემპიონთა ლიგას შარშანდელი ფინალის მეორე მონაწილეც დაემშვიდობა. ისე, გუშინ "არსენალს" მერვედფინალური ეტაპი რომ დაეძლია, უპრეცენდენტო მოვლენის მოწმენი გავხდებოდით - მეოთხედფინალში ერთბაშად ოთხი ინგლისური კლუბი ითამაშებდა. მაგრამ ამას ხელი ბრაზილიელმა **ალექსმა** შეუშალა, რომელმაც ავტოგოლს **ლემანის** კარის მიმართულებით ზუსტი დარტყმაც დაუმატა და "ეინდჰოვენი" შემდეგ ეტაპზე გაიყვანა.

ტექნიკური შედეგები 15

| მეოთხედფინალისტები | |
|---|---|
| ჩელსი | მილანი |
| მანჩესტერი | ვალენსია |
| ლივერპული | ეინდჰოვენი |
| რომა | ბაიერნი |

წილისყრა პარასკევს, თბილისის დროით 15 საათზე

რაგბი. 17 მარტი, ესპანეთი-საქართველო

# ესპანური ექსპერიმენტი

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები 17 მარტს მადრიდში ესპანეთის ეროვნულ გუნდს ერთა თასზე ეთამაშება. ბორჯღალოსნები საწვრთნელ შეკრებას 12 მარტიდან მადრიდის გარეუბანში, საფეხბურთო კლუბ "ატლეტიკოს" ერთ-ერთ ბაზაზე გაივლიან.

პირინეებზე ჩვენი ეროვნული გუნდი თითქმის სათადარიგო შემადგენლობით გაემგზავრება. სხვადასხვა მიზეზების გამო ბორჯღალოსანთა რიგებში არ იქნებიან ზირაქაშვილი, ხინჩაგიშვილი, აქვსენტი გიორგაძე, მაგრაქველიძე, ზედგინიძე, დათუნაშვილი, ურუშაძე, ლაბაძე, ჩხაიძე, აბუსერიძე, ჯიმშელაძე, გიგაური, ურჯუკაშვილი, ხამაშურიძე და სოხაძე. უკვე ცნობილია, რომ ამათგან ზედგინიძე და სოხაძე კვირის თავზე ვერც რუსეთის ნაკრების წინააღმდეგ ითამაშებენ. ორივე საოპერაციოა - პირველს მუხლი აქვს დაზიანებული, ხოლო მეორეს მხარი.

მადრიდში ერთა თასზე დებიუტი ექნებათ "კლერმონის" ახალგაზრდული გუნდის პირველხაზელს **გიორგი ჟღენტს**, ახლახან "ბრივში" ჩარიცხულ მეორეხაზელ **გიორგი ნემსაძესა** და "ნარბონში" გასინჯვაზე მყოფ შუამარბ **ირაკლი ჩხიკვაძეს**. თითქმის ოთხწლიანი შესვენების შემდეგ ეროვნულ გუნდში პირველად ითამაშებს "ლილის" კაპიტანი, მესამეხაზელი **დავით ბოლღაშვილი**. კაპიტანი **გოდერძი შველიძე** იქნება.

**საქართველოს ნაკრები**

პირველი ხაზი: **გოდერძი შველიძე** (კლერმონი), **ავთო კოპალიანი** (მონტობანი), **დავით აშვეთია** (მეტრო რასინგი), **რეზო ბელქანია** (ფიჟაკი), **გიორგი ჟღენტი** (კლერმონი)

მეორე ხაზი: **მამუკა გორგოძე** (მონპელიე), **გიორგი ნემსაძე** (ბრივი), **ვიქტორ დიდებულიძე** (მასი)

მესამე ხაზი: **დავით ბოლღაშვილი** (ლილი), **ილია მაისურაძე** (ნანტი), **ბესო უდესიანი** (ვილფრანში), **შალვა პაპაშვილი** (შატორენარი)

9: **ბიძინა სამხარაძე** (ფარული), **გიორგი კაჭარავა** (ვანი); 10: **მერაბ კვირიკაშვილი** (პო); 12-13: **ირაკლი გიორგაძე** (ბურგუენი), **დავით კაჭარავა** (ყოჩები), **ირაკლი ჩხიკვაძე** (ნარბონი); 11,14: **ირაკლი მაჩხანელი** (ბეზიე), **გიორგი შკინინი** (ბლუა), **ოთარ ელოშვილი** (არასი); 15: **გიორგი ელიზბარაშვილი** (შატორენარი)

**ბესიკ ჯანგავაძე**

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

# მიშელ პლატინი: უეფადან საკმაო მხარდაჭერა გექნებათ





**გუშინ** ნაშუადღევს საქართველოს უეფას პრეზიდენტი მიშელ პლატინი ევროპის საფეხბურთო ასოციაციის სხვა ხელმძღვანელებთან ერთად ეწვია. უეფას პრეზიდენტის თვითმფრინავი 14:10 სთ-ზე დაეშვა თბილისის აეროპორტში. სტუმარს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა დახვდა.

*"ჯერ კიდევ მაშინ, როცა უეფას პრეზიდენტობის კანდიდატი ვიყავი, საქართველომ არჩევნებში ლიად დამიჭირა მხარი. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს მაშინვე დავპირდი, რომ პირველი საქმიანი ვიზიტი საქართველოში მექნებოდა. როგორც ხედავთ, სიტყვა შევასრულე და თბილისში ვარ. მოხარული ვარ, რომ ასეთ თბილ გარემოში ვიმყოფები. ჩვენ აქ არაერთ საკითხს განვიხილავთ, რომელიც ქართულ ფეხბურთს უკავშირდება"*, - მცირედი კომენტარით შემოიფარგლა აეროპორტიდან "თბილისი მარიოტში" მისული უეფას თავკაცი.

სასტუმროში დაბინავებული სტუმარი მცირე დროით ნომერში შეჩერდა, მერე კი ჰოლში დაეშვა, სადაც მას სპორტის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი **გიორგი გაბაშვილი** და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაური** ელოდნენ.

**ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა მიშელ პლატინის ვიზიტი ასე შეაფასა:**

- პლატინის პირველი საქმიანი ვიზიტი საქართველოში, ჩემი აზრით, არა მარტო ქართული ფეხბურთის, არამედ მთლიანად ქართული სახელმწიფოს დაფასებაა. უეფას წევრ 53 ქვეყნიდან პლატინი პირველი ოფიციალური ვიზიტით ჩვენთან ჩამოვიდა. ვფიქრობ ამით ყველაფერი ნათქვამია და ამ ფაქტს რაიმე განსაკუთრებული კომენტარი აღარ სჭირდება. ყველასთვის კარგადაა ცნობილი ამ ვიზიტის პრეისტორია და ეს თავად პლატინიმაც აღნიშნა.

**- ამ ვიზიტის განმავლობაში რა საკითხებზე იქნება საუბრები?**

- ჩვენ ამ ვიზიტს მაქსიმალურად გამოვიყენებთ, რათა ყველა იმ საჭირბოროტო საკითხს შევეხოთ, რომელიც ქართულ ფეხბურთს უკავშირდება. ჩვენი მისწრაფება იყო და ყოველთვის იქნება, რომ ჩვენ არა ვართ ერთი რიგითი ფედერაცია, ჩვენი სიტყვა საერთაშორისო საფეხბურთო ოჯახში უნდა ფასობდეს და განსაკუთრებული ძალა უნდა ჰქონდეს. ეს ვიზიტი სწორედ ამისი დამადასტურებელია.

**სასტუმროში უეფას პრეზიდენტს კლაუს ტოპმიოლერი, რალფ მინგე, ჰაინც ტოპმიოლერი და პეტარ სეგრტიც დახვდნენ. ეროვნული ნაკრების თავკაცმა პლატინის ვიზიტზე შემდეგი გვითხრა:**

-ჩვენი ფედერაციისთვის, ქართული ფეხბურთისა და მთლიანად ქართული სახელმწიფოსთვის ამ ვიზიტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მჯერა ეს ვიზიტი წარმატებების საწყისი და ქართული ფეხბურთის წინსვლის წინაპირობა იქნება.

**- ბოლოს როდის და სად შეხვდით პლატინის?**

- ამ რამდენიმე კვირის წინათ ბერლინში, სადაც უეფას ეგიდით მწვრთნელთა შეხვედრა მოეწყო. მას უეფას საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება მივულოცე და წარმატებები ვუსურვე. მიშელ პლატინი ბრწყინვალე ფეხბურთელი იყო და მჯერა ჩინებულად გაართმევს თავს უეფას პრეზიდენტის ფუნქციასაც.

**- მისი პირველი საქმიანი ვიზიტი საქართველოში განხორციელდა. ეს ალბათ, ქართული ფეხბურთის წინსვლისთვის საკმაო მოტივაციაა...**

- დიახ, რაღა თქმა უნდა ასეა. საქართველოს ეროვნულ და სხვა ასაკის ნაკრებებს დღეს უფრო დიდი ავტორიტეტი აქვთ. პლატინის პირველი საქმიანი ვიზიტი საქართველოში შედგა და ამ ამბავს დღეს თუ არა ხვალ მაინც მთელი მსოფლიო გაიგებს. ეს კი თითოეული ქართველი ფეხბურთელისთვის დიდი სტიმული და მოტივაცია იქნება. აქ ჩამოსვლის პირველი დღიდანვე მჯეროდა, რომ ქართულ ფეხბურთს დიდი მომავალი აქვს. უკვე წელიწადზე მეტია, რაც საქართველოში ვმუშაობ და ეს აზრი კიდევ უფრო განმიმტკიცდა და ეს საქმითაც უნდა დავამტკიცოთ.

**პლატინის თბილისში დახვდა უეფას ტექნიკური დახმარების პროგრამა "ჰეთ თრიკის" ხელმძღვანელი ბრუნო ვოლფისბერგი, რომელიც ადრეც ხშირად ყოფილა საქართველოში. ვოლფისბერგი საუბარში თავისსა და პლატინის ვიზიტს შეეხო. სწორედ მან გაგვანდო, რომ პლატინიმ თბილისში ჩემპიონთა ლიგის თასი ჩამოიტანა:**

- თითქმის მთელი საქართველო შემოვიარე. თქვენს ქვეყანაში ჩემი ვიზიტის მიზანი უეფას პროგრამა "ჰეთ თრიკის" ეგიდით აშენებული რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის შენობათა და მინიფეხბურთის მოედნების ნახვა გახლდათ. შეიძლება ითქვას, რომ ავტომანქანით 1000 კილომეტრი გავიარეთ, თუმცა შეიძლება მეტიც... ვიყავით დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში. რაც ვნახე ყველაფერი ძალიან მომეწონა.

**- პლატინის ვიზიტის შესახებ რისი თქმა შეგიძლიათ?**

- მჯერა, ისიც იგივეს გეტყვით, რაც მე გითხარით. ეტყობა, რაც ნახა ძალიან მოეწონა. აშკარად ვგრძნობ, რომ ის კმაყოფილია. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველოში ფეხბურთი თვითმყოფადობასთან, ქვეყნის დამოუკიდებლობასა და თავისუფლებასთან არის ასოცირებული.

**- უეფას პრეზიდენტი თბილისიდან ათენში მიფრინავს სადაც ჩემპიონთა თასს ჩაიტანს...**

- დიახ, ამასთან ათენში ჩემპიონთა ლიგის წილისყრაა დაგეგმილი.

**- ე. ი. თასი ახლა თბილისშია?**

- დიახ, აქაა, მაგრამ ნამდვილად არ ვიცი სად შეინახა (იცინის)...

**მალევე ფეხბურთის ფედერაციის თავკაცები მიშელ პლატინისთან, გიორგი გაბაშვილთან და დავით ნამგალაურთან ერთად განმარტოვდნენ და ნახევარ საათზე მეტხანს ისაუბრეს. საუბრის დამთავრების შემდეგ კი გიორგი გაბაშვილს ვთხოვეთ კომენტარი:**

- მართალი გითხრათ, მეამაყება რომ უეფას პრეზიდენტის პირველი სამუშაო ვიზიტი საქართველოში შედგა. ვფიქრობ, გარკვეულწილად, ეს ერთგვარი მესიჯია, რომ ის მაქსიმალურ ყურადღებას მიაქცევს საქართველოსა და ჩვენს მსგავს ქვეყნებში ფეხბურთის განვითარებას. ფეხბურთის განვითარების მისეული კონცეფცია აბსოლუტურად ემთხვევა იმ ხედვას, რომელიც ჩვენ გვაქვს. ფეხბურთი საზოგადოების განვითარების, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების უძლიერესი სოციალური ინსტრუმენტია. ყველა ის პროგრამა, რომელსაც უეფა დაიწყებს, იქნება ეს ტექნიკური, ინტელექტუალური, რესურსებით დახმარება თუ კოოპერაცია, საქართველოს მაქსიმალურად უნდა შეეხოს. ესაა ის თემები, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ უეფას პრეზიდენტთან.

**გაბაშვილის მერე ნამგალაურმა შემდეგი გვითხრა:**

- ეს ვიზიტი ძალზედ მნიშვნელოვანია. ჩვენ ყველანი ერთად ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის ვილვწვით და, რაღა თქმა უნდა, უეფას მხარდაჭერაც გვჭირდება. ჩვენ საუბრისას ბევრ მნიშვნელოვან საკითხს შევეხეთ და მჯერა უეფას პრეზიდენტისგან სრული მხარდაჭერა გვექნება.

16:10 საათზე "თბილისი მარიოტიდან" სტუმრები საგურამოში გაემგზავრნენ, სადაც მშენებარე ტექნიკური ცენტრი მოინახულეს. ამას მოჰყვა **ელგუჯა ბუბუტეიშვილთან** სტუმრობა მცხეთაში, მერე კი 18:30 საათზე ყველანი ერთად ტექნიკურ ცენტრ "ბასას" ეწვივნენ. "ბასას" მერე 19:30 საათზე იყო "ირაო", სადაც უეფას პრეზიდენტმა გოგონათა შორის მინიფეხბურთის ტურნირი გახსნა.

20:00 საათზე მიშელ პლატინის, ფედერაციის ხელმძღვანელობას, გიორგი გაბაშვილსა და დავით ნამგალაურს სახელმწიფო კანცელარიაში პრემიერმინისტრი **ზურაბ ნოღაიდელი** ელოდა. პრემიერმინისტრთან შეხვედრა ნახევარ საათზე მეტხანს გაგრძელდა. გუშინდელი დღე კი სანაპიროზე, რესტორან "მეიდანში" გამართული ბანკეტით დაგვირგვინდა. ვის აღარ ნახავდით იქ, მთავრობის წევრებს, კულტურის სფეროს წარმომადგენლებს, ცნობილ სახეებს. სუფრას გიორგი გაბაშვილი თამადობდა. მიშელ პლატინი ქართული ფოლკლორით მოიხიბლა, . მერე კი სადღეგრძელოში ქართულად რამდენიმე სიტყვის თქმასაც შეეცადა:

*გამარჯობათ, მადლობელი ვარ, ჩინებულია...*

*ბედნიერი ვარ, რომ საქართველოში ვარ. თქვენი სპორტის მინისტრი, პრემიერ მინისტრი, ფედერაციის თავკაცი ახალგაზრდა ადამიანები არიან, ახალგაზრდაა უეფას პრეზიდენტიც. ჩვენ ყველანი ენერგიულები ვართ და ფეხბურთის განვითარებისთვის ბევრის გაკეთება შეგვიძლია. ქართულ ფეხბურთს დიდი მომავალი აქვს და მჯერა, ეს საქმითაც მალე დამტკიცდება. საქართველოს ნაკრებს ჯგუფში საფრანგეთის სახით ძლიერი მეტოქე ჰყავს, სხვა ყველა გუნდთან შეგიძლიათ სასურველი შედეგისთვის ბრძოლა. თქვენს ნაკრებს წარმატებებს ვუსურვებ.*

*ჩვენი, უეფას ვალი ფეხბურთის განვითარებაა. მჯერა, აქ ფედერაცია და ხელისუფლება ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის ყველაფერს გააკეთებს. ბუნებრივია, თანადგომა და საკმაო მხარდაჭერა უეფადან გექნებათ.*

მიშელ პლატინის ზურაბ ნოღაიდელთან შეხვედრის დეტალების გასარკვევად გიორგი გაბაშვილს კიდევ ერთხელ მივმართეთ:

*"უეფას პრეზიდენტს მოვახსენეთ, თუ რა გეგმა გვაქვს ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის. ჩვენი პრიორიტეტები და ქართული ფეხბურთის განვითარების 5-წლიანი გეგმა გავაცანით, რომელიც ამ რამდენიმე თვის წინათ საქართველოს მთავრობის წინაშე ფეხბურთის ფედერაციამ წარმოადგინა. პლატინის ვუთხარით, რომ ფედერაციასთან ძალიან აქტიურად ვთანამშრომლობთ ინფრასტუქტურის, ბავშვთა ფეხბურთის განვითარებაზე. ჩვენი პრიორიტეტია ეროვნული ნაკრები და მისთვის ყველანაირი პირობის შექმნა. მიშელ პლატინიმ გვითხრა, რომ მას სწორედ ასეთი ხედვა აქვს საქართველოსა და მისი ტიპის ქვეყნების განვითარებისთვის. პლატინი ყველანაირ ხელშეწყობას დაგვპირდა ყველა მიმართულებით, რაც დღეს საქართველოს სჭირდება და ყველა იმ პროგრამით, რომელიც უეფას გააჩნია".*

**ამგვარად** ჩაიარა უეფას პრეზიდენტის სტუმრობის პირველმა დღემ. დღეს პლატინი 09:30 საათზე ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონს მოინახულებს. იქვე 10:00 საათზე პრესკონფერენციას გამართავს. 11:00 საათზე კი გეზს აეროპორტისკენ აიღებს და ათენში გაფრინდება.

**დავით ცაბაძე**

**ნუგზარ სუარიძის** ფოტოები

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ჭაბუკთა ლიგა

### 1989წ. დაბადებულები

| | |
|---|---|
| სიონი-მერანი | 2:2 |
| ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი | 1:1 |
| დინამო-ამერი | 3:0 |
| ტორპედო-ბათუმი | 0:0 |
| ბორჯომი-ოლიმპი | 2:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 15 | 14 | 1 | 0 | 67-9 | 43 |
| 2. ოლიმპი | 15 | 11 | 3 | 1 | 27-9 | 36 |
| 3. ამერი | 15 | 9 | 0 | 6 | 36-25 | 27 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 15 | 8 | 3 | 4 | 31-13 | 27 |
| 5. ლოკომოტივი | 15 | 7 | 6 | 2 | 32-10 | 27 |
| 6. მერანი | 15 | 8 | 1 | 6 | 27-19 | 25 |
| 7. ცხინვალი | 14 | 8 | 1 | 5 | 30-26 | 25 |
| 8. ტორპედო | 15 | 6 | 5 | 4 | 20-17 | 23 |
| 9. ზესტაფონი | 14 | 6 | 2 | 6 | 31-23 | 20 |
| 10. ბათუმი | 15 | 5 | 4 | 6 | 25-29 | 19 |
| 11. ბორჯომი | 15 | 5 | 1 | 9 | 26-33 | 16 |
| 12. ჩიხურა | 14 | 3 | 1 | 10 | 14-30 | 10 |
| 13. კახეთი | 14 | 3 | 0 | 11 | 20-53 | 9 |
| 14. სიონი | 15 | 2 | 1 | 12 | 20-58 | 7 |
| 15. დილა | 14 | 0 | 1 | 13 | 5-57 | 1 |

### 1990 წ. დაბადებულები

| | |
|---|---|
| მერანი-სიონი | 3:1 |
| ლოკომოტივი-ვიტ ჯორჯია | 1:3 |
| ბათუმი-ტორპედო | 1:1 |
| ოლიმპი-ბორჯომი | 3:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 14 | 2 | 1 | 1 | 41-7 | 37 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 15 | 10 | 4 | 1 | 41-7 | 34 |
| 3. ოლიმპი | 15 | 10 | 2 | 3 | 48-11 | 32 |
| 4. ჩიხურა | 14 | 9 | 3 | 2 | 40-11 | 30 |
| 5. ამერი | 14 | 8 | 4 | 2 | 31-10 | 28 |
| 6. ტორპედო | 15 | 7 | 5 | 3 | 20-12 | 26 |
| 7. ზესტაფონი | 14 | 7 | 4 | 3 | 23-13 | 25 |
| 8. ლოკომოტივი | 15 | 6 | 1 | 8 | 33-23 | 19 |
| 9. დილა | 14 | 5 | 3 | 6 | 17-23 | 18 |
| 10. ბათუმი | 15 | 5 | 3 | 7 | 14-28 | 18 |
| 11. მერანი | 15 | 5 | 2 | 8 | 20-34 | 17 |
| 12. სიონი | 15 | 4 | 1 | 10 | 18-34 | 13 |
| 13. კახეთი | 14 | 2 | 2 | 10 | 11-36 | 8 |
| 14. ცხინვალი | 14 | 0 | 2 | 12 | 8-59 | 2 |
| 15. ბორჯომი | 15 | 0 | 1 | 14 | 8-65 | 1 |

### 1991 წ. დაბადებულები

| | |
|---|---|
| მერანი-სიონი | 4:0 |
| ლოკომოტივი-ვიტ ჯორჯია | 0:0 |
| ბათუმი-ტორპედო | 2:1 |
| ოლიმპი-ბორჯომი | 2:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 15 | 12 | 3 | 0 | 59-15 | 39 |
| 2. დინამო | 14 | 12 | 0 | 2 | 32-8 | 36 |
| 3. ბათუმი | 15 | 11 | 1 | 3 | 34-14 | 34 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 15 | 9 | 3 | 3 | 21-10 | 30 |
| 5. მერანი | 15 | 8 | 2 | 5 | 30-23 | 26 |
| 6. ამერი | 14 | 8 | 0 | 6 | 22-15 | 24 |
| 7. დილა | 14 | 6 | 3 | 5 | 24-20 | 21 |
| 8. ლოკომოტივი | 15 | 4 | 7 | 4 | 20-25 | 19 |
| 9. ტორპედო | 15 | 5 | 2 | 8 | 22-27 | 17 |
| 10. ზესტაფონი | 14 | 5 | 1 | 8 | 26-34 | 16 |
| 11. ბორჯომი | 15 | 4 | 4 | 7 | 17-20 | 16 |
| 12. კახეთი | 14 | 3 | 4 | 7 | 16-21 | 13 |
| 13. ჩიხურა | 14 | 3 | 1 | 10 | 19-34 | 10 |
| 14. სიონი | 15 | 3 | 0 | 12 | 8-40 | 9 |
| 15. ცხინვალი | 14 | 0 | 1 | 13 | 10-54 | 1 |









გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ინტერვიუ შოთა არველაძესთან

# რუსეთი და საქართველო ძველი მეგობრები არიან



**შოთა არველაძე ამ ბოლო დროს რუსული პრესის განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობს. მისი ბოლო ინტერვიუც მეტად საინტერესო გამოვიდა. ქართველმა ფორვარდმა და რუსმა ჟურნალისტმა არაერთ საჭირბოროტო თემაზე ისაუბრეს და არც პოლიტიკური ამბები გამორჩენიათ.**

**- "ალკმაარში" გადასვლა რამ გადაგაწყვეტინათ?**

- უპირველეს ყოვლისა, ლუი ვან გაალის ფაქტორმა. ამ მწვრთნელთან ერთად მუშაობა ყოველთვის მსურდა და ეს სურვილი წელიწადნახევრის წინათ ავიხდინე. ჩვენი გუნდი შემტევ და სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობს და უკვე გააჩნია საკუთარი ხელწერა. უმთავრეს მიზნად ჩემპიონთა ლიგაზე მოხვედრას ვისახავთ, მაგრამ ჰოლანდიის ჩემპიონატის საფლეიოფო სისტემის გამო, ეს მეტად რთულია. თუმცა დარწმუნებული ვარ, ჩემთან ერთად თუ ჩემს გარეშე, "ალკმაარი" ლიგაზე აუცილებლად ითამაშებს.

**- თქვენს გარეშე? შეიძლება, "ალკმაარი" არველაძის კარიერაში უკანასკნელი კლუბი იყოს?**

- არ გამოვრიცხავ. ორი კვირის წინათ ხომ 34 წელი შემისრულდა.

**- კარიერის დასრულების შემდეგ, სად აპირებთ ცხოვრებას?**

- სავარაუდოდ, თბილისში.

**- ამჟამად სად ვხოვრობთ?**

- ამსტერდამში. იქიდან ალკმაარამდე მხოლოდ ნახევარი საათის გზაა. ჰოლანდია ხომ არამარტო ლამაზი, კომპაქტური ქვეყანაცაა, მაგრამ რა თქმა უნდა, აქ მხოლოდ სილამაზის გამო არ დავბრუნებულვარ. წლებმა, რომელიც "აიაქსში" გავატარე, დაუვიწყარი მოგონებები დამიტოვა.

**- სამშობლოში ხშირად ხართ?**

- არა, თბილისში იშვიათად ჩავდივარ, მხოლოდ ნაკრების ოფიციალურ მატჩებზე, ამხანაგურებისგან თავისუფალი ვარ. ისე, არასაფეხბურთო მიზეზით, თბილისში გამგზავრებას ვერ ვახერხებ ხოლმე, სეზონს საკმაო დრო მიაქვს.

**- "აიაქსი" ამსტერდამის ერთადერთი ღირსშესანიშნაობა არაა. გამოტყდით, ერთხელ მაინც არ შეგივლიათ კოფეშოპში?**

- რა პრობლემაა, გამოგიტყდებით: არა. სიგარეტსაც კი არ ვეწევი, უფრო სერიოზულ მოსაწევზე რომ არაფერი ვთქვათ. ჩემს ავტომობილშიც კი არავინ ეწევა, სასტიკად მაქვს აკრძალული. ასე რომ, ჯანმრთელი მოვკვდები.

**- საინტერესოა, მსუბუქი ნარკოტიკების ლეგალიზების პირობებში, ჰოლანდიის ჩემპიონატში დოპინგკონტროლი ტარდება?**

- რა თქმა უნდა! ის, რაც ჰოლანდიაში ნებადართულია, ფეხბურთზე ნაკლებად ვრცელდება. ყოველკვირა არა, მაგრამ საკმაოდ ხშირად დოპინგ-კონტროლი გვიტარდება. ასე მაგალითად, "აიაქსთან" მატჩის შემდეგ, ამ საქმისთვის ჩემს ორ თანაგუნდელს უხმეს.

**- იმ შეხვედრაში მუშკეტერის ულვაშებით რატომ გიხილეთ?**

- საქმე ისაა, რომ თებერვალში ჰოლანდიაში კიბოს საწინააღმდეგო აქცია ტარდებოდა და მთხოვეს, ულვაში არ მომეპარსა. არ ვიცი, ჩემი ეს იმიჯი აქციის ორგანიზატორებს რაში დასჭირდათ. დღეს მუშკეტერს უკვე აღარ ვგავარ.

**- როცა მოსკოვში ქართველთა დევნა დაიწყო, როგორი რეაქცია გქონდათ?**

- გული ძალიან მეტკინა. მოსკოვში ბევრი მეგობარი მყავს, საბედნიეროდ, საქართველოში არც ერთი მათგანი არ დაუბრუნებიათ. ქართველთა შევიწროვება უდიდესი სისულელეა, და ეს რუსეთში მშვენივრად იციან.

**- როგორც რუსეთში ამბობენ, ამას თავისი მიზეზი აქვს - ჩვენ ხომ საქართველოს მეგობრები აღარ ვართ.**

- უცნაურია. აი მაგალითად მე, რუსი მეგობრებიც მყავს, ჰოლანდიელებიც და სომხებიც. მე ისინი სამეგობროდ თავად ავირჩიე. ასეა ქვეყნებს შორისაც. რუსეთი და საქართველო ძველი მეგობრები არიან, ახლა კი დაშორება გადაწყვიტეს. რუსეთი დიდია და ძლიერი, განაპირობებს მსოფლიო პოლიტიკას ყველაფერი შეუძლია. რა შეუძლია მასთან გააწყოს ისეთ პატარა ქვეყანას, როგორიც საქართველოა?

**- მაგალითად, ნატო-ს თავის ტერიტორიაზე ბაზების განთავსების ნება მისცეს.**

- მერე რა? ვის უშლის ეს ხელს? თუნდაც მოვიდეს ნატო, დაშავდება რამე? ეს ორგანიზაცია რუსეთთან ომს წამოიწყებს? მას, ვინც რუსეთთან ომს განიზრახავს, დედამიწის ყველაზე დიდ სულელს ვუწოდებ. საქართველო ტერიტორიითაც და სულითაც რუსეთის ახლობელია და მას არაფერს ავნებს.

**- დიახ, ჩვენ, უბრალო ადამიანები, ერთმანეთს პრინციპში, არც ვეკამათებით...**

- რუსეთი ძალიან მიყვარს, მისი კულტურაც, ენაც, ამ ქვეყნის დიდი შვილებიც. ჩემი ვაჟი ამსტერდამში დაიბადა, შემდეგ ოთხი წელი ბრიტანეთში იცხოვრა, რის მერეც ისევ ჰოლანდიას დაუბრუნდა. იგი რუსულს სწავლობს. განა იმიტომ, რომ ეს ენა აუცილებლად სჭირდება, არამედ იმიტომ, რომ ქართველია და ვალდებულია, რუსული კულტურა უყვარდეს.

და იმის მიუხედავად, რომ რუსეთში უამრავი ნაცნობი მყავს, თქვენი ქვეყნის პასპორტი რომ მოვინდომო, არავინ მომცემს. აი აფხაზეთში კი პასპორტებს არიგებენ. ზოგჯერ რუსეთის ვიზასაც არ მაძლევენ მოწვევის გარეშე. მაგალითად, მეუღლესთან ერთად მოსკოვისა და სანკტ-პეტერგურგის დათვალიერება რომ მომინდეს, არ გამომივა. ამას მხოლოდ ვიზა სჭირდება, ზოგზოგიერთებს კი პასპორტს პირდაპირ ხახაში სჩრიან. აი ესაა კონფლიქტის მიზეზი. ჭკვიანი ხალხი ცოტაა და დაძაბულობაც ამის შედეგია.

**- მიხეილ სააკაშვილი ცნობილ ქართველ ფეხბურთელებთან მეგობრობს. თქვენ გამონაკლისი ხომ არ ხართ?**

- სანამ პრეზიდენტი გახდებოდა, მეუღლესთან ერთად, ამსტერდამის სახლში ორჯერ მესტუმრა. როგორც იცით, მისი მეუღლე ჰოლანდიელია. სააკაშვილი, ცხადია, ჩემი მეგობარი არაა, იგი ჩემი პრეზიდენტია, და მას ძალიან დიდ პატივს ვცემ. შეცდომა ყველას მოსდის, მაგრამ იგი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ საქართველო ისეთი გახადოს, როგორიც ქართველებს გვინდა. ყველაფერს იოლად მიმიხვდებოდით, რომ გენახათ, რამდენი რამ შეიცვალა საქართველოში ბოლო სამ წელიწადში.

**- თქვენი ძმები რას საქმიანობენ?**

- რევაზი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია, არჩილი კი 35-ე საფეხბურთო სკოლის დირექტორი. ამ სკოლაში ყიფიანი, გუცაევი, ჩივაძე და კიდევ არაერთი ცნობილი ფეხბურთელი გაიზარდა.

**- ამბობენ, რომ "ალკმაარი" ევროპაში ყველაზე რომანტიულ ფეხბურთს თამაშობს. ეთანხმებით ამ აზრს?**

- სიამოვნებით დავეთანხმები.

**- თქვენი აზრით, "ალკმაარი" რომელიმე გრანდს წააგავს?**

- ვოცნებობ, რომ "ბარსელონას" დავემსგავსოთ, თუმცა ვან გაალი ამის გაკეთებას არ ცდილობს. მას ხომ რივალდო, ფიგუ და რონალდინიო არ ჰყავს. ვან გაალის განკარგულებაში მხოლოდ არველაძე და კიდევ რამდენიმე ბიჭია.

**- უკვე წელიწადნახევარია, რაც ვან გაალის შეგირდი ხართ. მიხვდით, რატომაც უწოდებენ მას დიდ მწვრთნელს?**

- რასაკვირველია. ვან გაალი თავის საქმეში მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა. ყველა ღირსებასთან ერთად, იგი შემტევი ფეხბურთის მიმდევარია, რაც ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა.

**- უეფას თასის მერვედფინალში "ნიუკასლს" ეთამაშებით. მეტოქეზე რისი თქმა შეგიძლიათ?**

- რა უნდა გითხრათ, კარგი გუნდია ბრწყინვალე სტადიონითა და ერთგული გულშემატკივრებით.

**- ინგლისში თამაშის სურვილი არასდროს გაგჩენიათ?**

- იყო კიდეც ამის შესაძლებლობა. თავის დროზე "ბლექბერნი" და "ფულჰემი" მიწვევდნენ, მაგრამ არ მოვისურვე ისეთ კლუბში გადასვლა, რომელიც ერთ სეზონს კარგად ჩაატარებს, მომდევნო წელს კი გავარდნის საფრთხე დაემუქრება.

**- გამოდის, რომ, არა ძლიერ ჩემპიონატში, არამედ შედარებით სუსტი ლიგის წამყვან გუნდში გირჩევნიათ ასპარეზობა.**

- თამაშის აზრს უნდა ხედავდე! მარტო ფულისთვის არასდროს მითამაშია, გამარჯვებები მსურს. საქართველოშიც, თურქეთშიც, ჰოლანდიაშიც და შოტლანდიაშიც არაერთი ტიტული მოვიგე.

**- მართალია, რომ ერთადერთი რუსული კლუბი, რომელიც თქვენით დაინტერესებულა, სამარის "კრილიაა"?**

- დიახ. მაშინ "რეინჯერსის" ღირსებას ვიცავდი და ამ გუნდში გადასვლა არ მოვისურვე.

**- წამყვან რუსულ გუნდებსაც უარით გაისტუმრებდით?**

- არ ვიცი, არ ყოფილა ასეთი ფაქტი და როგორ გითხრათ. როცა ახალგაზრდა ვიყავი, რუსები ძვირადღირებულ ტრანსფერებს ვერ ჩარხავდნენ. მაშინ ძნელი წარმოსადგენი იყო, "აიაქსის" ფეხბურთელი რუსეთში გადასულიყო.

**- დღესდღეობით კი რუსეთში მალხაზ ასათიანი ასპარეზობს და თავს შესანიშნავად გრძნობს. თქვენი აზრით, რატომ თამაშობს იგი საქართველოს ნაკრებში ნახევარდაცვაში, "ლოკომოტივში" კი დაცვაში?**

- ეს სიომინს უნდა ჰკითხოთ! ჩვენი საუკეთესო ნახევარმცველი მან ლიბეროდ აქცია.

**- ამით უკმაყოფილო ხართ?**

- მთელი საქართველოა უკმაყოფილო!

მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**

# ანჟი ქართველებით აივსო


გოჩა ხოჯავა

მახაჩყალის "ანჟი" **ომარ თეთრაძეს** ჩააბარეს და, როგორც ჩანს, ახლა ეს კლუბი შეგვიცვლის რუსეთში ვლადიკავკაზის "ალანიას"

ცნობილი იყო, რომ ორი თვის განმავლობაში კლუბთან ერთად **გოჩა ხოჯავა** ემზადებოდა. 21 წლის ნახევარმცველი ახალი თაობის მოთამაშეთა შორის გამორჩეულად ნიჭიერი რომ არის, ამაზე არავინ დაობდა. თუმცა გოჩამ უცხოეთში კარიერის აწყობა დღემდე ვერ მოახერხა და ვერც ერთ კლუბში ფეხი ვერ მოიკიდა. წამოსვლა მოუწია **თემურ ქეცბაიას** "ანორთოსისიდან" და რუსეთის პრემიერლიგის "როსტოვიდან".

იმედია, ახლა მაინც მოახერხებს ეს შემტევი ნახევარმცველი კალაპოტში ჩადგომას. ყოველ შემთხვევაში, რუსეთის პირველ ლიგაში თამაში ამჟამად მისთვის ურიგო არ უნდა იყოს. ომარ თეთრაძე მას ხელს რომ შეუწყობს, ამაშიც ეჭვი არ გვეპარება. რაც შეეხება სიახლეს, გუნდის ოფიციალურ ინტერნეტ-გვერდზე გუშინ ამოვიკითხეთ - გოჩა ხოჯავამ მახაჩყალის "ანჟისთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

თუმცა ეს ამბავი მეტ-ნაკლებად უკვე ცნობილი იყო. სიახლე კი მახაჩყალაში მეორე ქართველი ნახევარმცველის **ზურაბ არზიანის** გამოჩენა გახლდათ. არზიანი ზამთარში ყაზანის "რუბინიდან" წამოვიდა და რუსთავის "ოლიმპში" გააგრძელა ვარჯიში. ჩვენთვის ცნობილი იყო კიდეც, რომ მაისამდე რუსთავში ითამაშებდა. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, რუსეთში დაბრუნების შანსი მიეცა და ამით ისარგებლა კიდეც.

ეს ინფორმაციაც "ანჟის" ოფიციალურმა ვებ-გვერდმა გაავრცელა.

აქვე დადასტურდა, რომ "ანჟის" ოდესის "ჩერნამორეციდან" ქართველი მცველი **კახა მჟავანაძე** დაუბრუნდა.

დაღესტანელებმა ანთალიაში ერთ-ერთი ბოლო საკონტროლო შეხვედრა გუშინ ჩაატარეს და ლატვიის ჩემპიონ "ვენტსპილსთან" 0:1 დამარცხდნენ. გუნდის ძირითად შემადგენლობაში საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე არზიანმა ითამაშა. რაც შეეხება კახა მჟავანაძეს, იგი მოედანზე მეორე ტაიმში გამოჩნდა და მარჯვენა მცველის ფუნქციებს ასრულებდა.

**მერაბ მამულაშვილი**




გაზეთ "ლელოს" რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ჩვენი გაზეთის ფოტოკორესპონდენტი 2002-2006 წლებში

**რობერტ ბაგოიანი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ინტერვიუ დავით სირაძესთან

# მიუნხენ 1860, კაიზერი, კარლსრუე

## სირაძე ამბიციურ კლუბს ამჯობინებს



ცოტა ხანია, რაც დავით სირაძე საქართველოს ნაკრებში მიიწვიეს. 24 წლის მოთამაშე მეორე ბუნდესლიგის "აუეში" ნელ-ნელა ათამაშდა, გერმანულ ფეხბურთს გაუშინაურდა, შესაძლებლობა გამოავლინა და კლაუს ტოპმიოლერმაც ეროვნულში თავის გამოჩენის შანსი მისცა.

ურუგვაისთან დათომ თავი არ დაზოგა, ლამის თავის კარიდან დარტყმით აიღო სამხრეთამერიკელთა კარი, მოედანი კი საგოლე პასით დატოვა.

თურქეთის შემდეგ კი მისი გვარი ყველამ გაიგო. თავად რომ უყვარს და ეხერხება, თავური დარტყმით სტუმართა კარის ბადე და ქართველი გულშემატკივრების გულები შეარხია. შეიძლება ითქვას, რომ თურქეთთან გოლმა "აუეს" თავდამსხმელის ბედი შეცვალა. მაყურებლებიც და სპეციალისტებიც მას ნაკრებისთვის აღმოჩენად მიიჩნევენ. ბოლოს როდის გამოჩნდა ფეხბურთელი, რომელიც პირველივე თამაშში დამაჯერებელი იყო?

**-დათო, თურქეთის შემდეგ "აუეში" სხვაგვარი თვალით შემოგხედეს?**

- "აუეში", ტრაბახად არ ჩამითვალოთ, ისედაც მყარი პოზიცია გამაჩნია. თუმცა მეტ პატივისცემას ვგრძნობ. ისე მოხდა, რომ თურქეთთან მატჩის შემდეგ გუნდში აღარ მითამაშია. ჯერ ტრავმა მივიღე, მერე ყელი ამტკივდა, სიცხე მქონდა და დრო გამიცდა. თუმცა შოტლანდიამდე უნდა მოვმჯობინდე, ძალიან მინდა... "აუე" უკვე ჩქარობს ახალი კონტრაქტის გაფორმებას. სეზონის ბოლოს თავისუფალი აგენტი ვხდები. ამის გამო მენეჯერი უკვე საქმეშია ჩაფლული და ჩემთვის გუნდს ეძებს.

**- იქნებ, უკვე გუნდები აქეთ გეძებენ?**

- პრინციპში, ასეც არის. ძველებური რეაქციით ვსაუბრობ, როცა მართლა თავად ვეძებდი გუნდებს. ახლა ვითარება შეიცვალა, მეორე ბუნდესლიგაში ბევრი გუნდი აქტიურობს.

**- იმედია, ამ გუნდებს დაგვისახელებ...**

- არ მინდა ისე გაიგოთ, თითქოს უკვე ნებისმიერთან კონტრაქტი მზადაა. ინტერესი კი აქვს "კაიზერს", "ფრაიბურგს", "კარლსრუეს", "ბოხუმს". "აუეც" ორწლიანს მთავაზობს და თან სასწრაფოდ. მე კი მოსაფიქრებლად დრო მჭირდება. ჩემი მენეჯერიც მაგარ საფიქრალშია.

**- პირადად, დასახელებულთაგან რომელი გუნდი გირჩევნია?**

- რომელიც მათ შორის ყველაზე ამბიციურია. მაგალითად, "კარლსრუეში" ან "კაიზერში" სიამოვნებით გადავიდოდი. ორივე ამბიციურია და რაც მთავარია, მათი ამბიცია ტრადიციითაც მყარდება. მე ამას დიდ ყურადღებას ვაქცევ. "აუე" წლეულს მართლა კარგად თამაშობს, მაგრამ ვხედავ, რომ ბუნდესლიგის დონეზე მე ეს არანაირად არ მაწყობს.

**- ნაკრებში თავს ისე გრძნობდი, როგორც თევზი წყალში...**

- მწვრთნელის ნდობა ძალიან მეხმარება. ამას ნებისმიერი ფეხბურთელი გეტყვით. როგორც მოგიდგება ადამიანი, იმის შესაბამისი განწყობა გეუფლება. ტოპმიოლერმა შანსი მომცა, მისი ნდობა კი ჩემთვის დოპინგივით იყო.

**- მეორე ბუნდესლიგაში თამაშიც არაა ცუდი, მაგრამ ბუნდესლიგელები არ გიწვევენ?**

- წინასწარ მენეჯერი მაინც ყველაფერს არ მეუბნება, მაგრამ ვიცი, რომ ასეთებიც არიან. ბუნდესლიგაში გადამსვლელებიც ხომ მიწვევენ... ზემოთ დამავიწყდა, "მიუნხენ 1860-ის" დასახელება. ეს გუნდიც ძალიან მომწონს, უდიდესი ტრადიციები გააჩნია. იმედია, ბუნდესლიგაში ვითამაშებ. ეს ძალიან მინდა. სხვათა შორის, ჩემი მენეჯერი მიშელ ზეერი "კაიზერის" შემადგენლობაში ოტო რეჰაგელის დროს ჩემპიონი გახდა და ყველა იცნობს. წამყვან კლუბებში კი მენეჯერებად ავტორიტეტულ მოთამაშეებს იწვევენ.

**- წინადადება რუსეთიდან არ მიგიღია?**

- "რუბინი" შემომთავაზეს, მაგრამ იქ წასვლა არ მინდა. ლომაია და აშვეთია შედარებით ნაკლებ ხელფასს იღებენ, მაგრამ მიშამ იცით რა მითხრა? რუსეთში დაბრუნებაზე აღარც ვფიქრობ, ძლივს ვიგრძენი, რომ ფეხბურთელი ვარო. იცით, რატომ? რუსეთში ფულიც ბევრია, საუკეთესო პირობებია, მაგრამ საფეხბურთო მენტალიტეტით მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ ქვეყანას როგორ გაუტოლდებიან? ეს კი მთავარია. ფეხბურთელი აქ, მეორე ბუნდესლიგაში უფრო გაიზრდება, მეტს ისწავლის და რაც მთავარია - აქ წინასწარ დაწერილი გეგმები არ არსებობს.

ან გულშემატკივრობა რად ღირს? აშვეთიამ და ლომაიამ მხოლოდ ოთხიხუთი თამაში ჩაატარეს, ხალხის უდიდესი სიყვარული იგრძნეს. მიშა გაგიჟდა, თურმე, რამხელა სიამოვნება დავკარგე, აქამდე გერმანიაში რომ არ მითამაშიაო. თურქეთთან სტადიონის შევსება ყველას გაგვიკვირდა, მეორე ბუნდესლიგაში კი ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. სხვათა შორის, აშვეთიამ მითხრა, რეალურად აქ რუსეთის პრემიერლიგის დონეაო.

ცოტა მჭირდება და ბუნდესლიგასაც შევწვდები. მეორე ბუნდესლიგაში 60-მდე თამაში ჩავატარე და ეს სტატისტიკაც მეხმარება.

იცით, რუსეთის გაგონება კიდევ რატომ არ სურთ? ეს ევროპაა, ცხოვრება ცივილიზებულ სამყაროში კომფორტს გიქმნის. თანაც, რუსეთში გაუთავებელი შეკრებებით კაცს ფეხბურთს აბეზრებენ. ჩვენთან ამაზე იცინიან, რომელი საუკუნეა გაუთავებელი კროსები, ცხენებივით რომ არბენინებენ? რა, რუსები გერმანელებს "ფიზიკაში" ჯობნიან? გამოდის, ამათი მეთოდია სწორი და ფაქტია, რუსული სკოლა გერმანულთან ახლოსაც ვერ მივა.

**- შოტლანდიასთან სათამაშოდ გამოგიძახეს?**

- ჯერ შოტლანდიასთან თამაშამდე ორ კვირაზე მეტია დარჩენილი და გამოძახება ნაადრევია. თუმცა იმედი მაქვს. ისე, რომ იცოდეთ, უკვე შოტლანდიისთვის მზადება დავიწყე, თუკი გამომიძახებენ, ფორმაში აუცილებლად უნდა ვიყო... რომ არ დაგიმალო, ხშირად ვუყურებ თურქეთთან გატანილ გოლს. იცით რა მაიმედებს? რა კარგი და ბრძოლისუნარიანი ბიჭები შეიყარნენ, არა? გოგუა, კანკავა, ელიავა, კალაძე, ხიზანიშვილი, ლომაია, დემეტრაძე, შოთა... შოტლანდიასთან მოგების იმედი მაქვს. ჩვენ ბრძოლა შეგვიძლია და თუკი ეს გლაზგოშიც მოვახერხეთ... არა, რა, მაგარ იმედზე ვარ.

**- თავად ახსენე და საინტერესოა, რატომ შეიცვალე მენეჯერი?**

- უთანხმოება მომივიდა და ასე ვამჯობინე. გერმანიაში გამოუცდელი ბიჭი ჩავედი, ბევრი რამ არ ვიცოდი და დროთა განმავლობაში ისეთი ამბები გავიგე, ძალიან არ მესიამოვნა. ყველაფერს თავის სასიკეთოდ რომ აკეთებდა, გასაგებია, მაგრამ ჩემი ინტერესი ხომ უნდა გაეთვალისწინებინა? ასე არ იყო და ურთიერთობა გავწყვიტე.

**მერაბ მამულაშვილი**

### გამოხმაურება ბავშვთა ფეხბურთის თემაზე

ბავშვთა ფეხბურთში და, საერთოდ, მოზარდთა სპორტში ბოლო პერიოდში შექმნილ პრობლემებთან დაკავშირებით, "ლელოს" პუბლიკაციებმა და აქტიურობამ ფართო საზოგადოების, განსაკუთრებით სპორტის სპეციალისტთა და ქომაგთა ყურადღება მიიპყრო.

გუშინწინ, "ლელოს" რედაქციაში, როგორც უკვე ვწერდით, გაიმართა შეხვედრა ზემოხსენებულ პრობლემებთან დაკავშირებით. ზესტაფონიდან ჩამოსული თამაზ შარიქაძე დაგვპირდა, რომ თავის მოსაზრებებს წერილობით მოგვაწვდიდა, რაც დაუყოვნებლივ შეასრულა კიდეც.

## ზესტაფონო, გშორდები...

ცნობილი სიმღერის მოტივი, სამწუხაროდ დღეს, რაიონში ბავშვთა ფეხბურთსაც ესადაგება.

ჩვენი ცხოვრების რეალობიდან გამომდინარე, მაღალგანვითარებული ქვეყნების მიძაბვით სპორტში, განსაკუთრებით ბავშვთა სპორტში, რეფორმის ხელაღებით გატარება დიდ შეცდომად მიმაჩნია. ყველაფერია შესაძლებელი, მაგრამ დაფინანსების ერთი წყარო ხომ უნდა შეიცვალოს მეორით. მომეცადინეთა ხარჯზე ბავშვთა სპორტის მინდობა კატასტროფამდე მიიყვანს საერთოდ, ქართულ სპორტს.

საქართველოში არის ფინანსურად მყარი რეგიონები. ზესტაფონზე ვიტყვი. მსხვილი სამრეწველო პოტენციალის ამ რაიონს შეუძლია მხარი დაუჭიროს სპორტს. ვალდებულიცაა, რადგან ფეროქარხნის გამონაბოლქვი აბინძურებს გარემოს, კომპენსაცია კი, როგორც წესი, ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვით უნდა ანაზღაურდეს. ზოგიერთი სასიკეთო ნაბიჯი ილია კოკაიამ და რაიონის ხელმძღვანელობამ სპორტის სასიკეთოდ გადადგა, მაგრამ ეს არასაკმარისია. უპირველესად, საფეხბურთო კლუბ "ზესტაფონს" აუცილებლად უნდა ჰქონდეს ადგილობრივ ფეხბურთელთა აღზრდა-დაოსტატების კერა კარგი ინფრასტრუქტურით. როდემდე შეიძლება კომპლექტდებოდეს თუნდაც "ზესტაფონი 2" თბილისიდან მოწვეული ფეხბურთელებით? თუ ეს პრობლემა მოგვარდა, ჩვენი ძირითადი გუნდი გაძლიერდება საკუთარი მოთამაშეებით.

ჩვენ, ფეხბურთის ზესტაფონელი ქომაგები, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, მზად ვართ მხარში დავუდგეთ ბავშვთა ფეხბურთის დამფინანსებლებს.

**თამაზ შარიქაძე**

***რედაქციისგან: რას ფიქრობს ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით საფეხბურთო კლუბ "ზესტაფონის" პრეზიდენტი ილია კოკაია? მადლობელი დავრჩებით თუ ბატონი ილია გამოგვეხმაურება.***

## 9 მარტს წილისყრაა

9 მარტს, 15 საათზე, პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფისში დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშების ნახევარფინალური წყვილები გაირკვევა. წილისყრა ბრმა იქნება, ანუ ნებისმიერ გუნდს ნებისმიერი მეტოქე შეიძლება შეხვდეს. შეგახსენებთ, ნახევარფინალურ ეტაპს "სიონმა", "ბათუმმა" და შარშანდელმა ფინალისტებმა, "ამერმა" და "ზესტაფონმა" უწიეს.

# რუსი ქართველით მოიხიბლა

**ალექსეი ერიომენკოს** რუსული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავს ეძახიან. ფინეთში დაბადებული ნახევარმცველი ამჟამად რუსეთის პრემიერლიგაში, კერძოდ კი რამენსკოეს "სატურნში" თამაშობს და პატარა ასაკის მიუხედავად (იგი 23 წლისაა), გუნდის კაპიტანია.

მის სიტყვას "სატურნში" საკმაო წონა გააჩნია. "სპორტ-ექსპრესის" ჟურნალისტი ერიომენკოს გუნდის პერსპექტივაზე ესაუბრა.

*"მიმაჩნია, რომ წლეულს "სატურნი" მნიშვნელოვნად გაძლიერდა და ხუთეულში მოხვედრის რეალური პერსპექტივა გაგვაჩნია. გაძლიერება, უპირველესად, იმის ხარჯზე მოვახერხეთ, რომ ახალი სისხლი გადაგვისხეს - კარიაკა, კირიჩენკო, გოგუა. მხოლოდ რამდენიმე ვარჯიში გახდა საჭირო, რომ მივხვედრილიყავი, ლისაბონის "ბენფიკას" ნახევარმცველი კარიაკა დიდი ფეხბურთელია. სხვათა შორის, ძალიან მომეწონა გოგუას თამაშის სტილიც. ქართველი ლეგიონერი უაღრესად ტექნიკურია. ვფიქრობ, სამივე ახალწვეული გუნდს მიზნების შესრულებაში დაეხმარება."*

**მერაბ მამულაშვილი**

### თარიღი



**გურამ პეტრიაშვილი.** 08.03.1941, ზესტაფონი - 18.02.2002, თბილისი. ფეხბურთი, ნახევარმცველი, მცველი. თამაშობდა ზესტაფონის "მეტალურგში" (1957-60), თბილისის "დინამოსა" (1961-65, 1966-73) და ქუთაისის "ტორპედოში" (1965). სსრკ უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 281 მატჩი (13 გოლი). სსრკ ჩემპიონი (1964) და ოთხგზის მესამე პრიზიორი (1967, 69, 71, 72), სსრკ თასის გათამაშების ფინალისტი (1970). ღირსების ორდენის კავალერი.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დაბადების დღეს ულოცავს თანამშრომლებს ნარგიზა ჩხიკვაძესა და დავით დათუნაშვილს.

# ასათიანი ისევ გერმანიაშია

მოსკოვის "ლოკომოტივმა" მესამე მოსამზადებელი ეტაპი ჰოლანდიაში ჩაატარა. კლუბის პრეს-სამსახურის განცხადებით, ამის შემდეგ "ლოკომოტივისა" და საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი **მალხაზ ასათიანი** გერმანიაში გაემგზავრა, სადაც 20 მარტამდე გაჩერდება. მან მთელი ეს შეკრება ინდივიდუალური პროგრამით ივარჯიშა.

კლუბის ექიმი **საველიი მიშალოვი** "სოვეტსკი სპორტთან" საუბრისას კმაყოფილებას გამოხატავდა მკურნალობის პროცესით.

*"ასათიანის მკურნალობა დაგეგმილი გრაფიკით მიმდინარეობს. ახლა მან გერმანიაში რეაბილიტაციის დასკვნითი კურსი უნდა გაიაროს. თუკი ყველაფერი კარგად იქნება, მალხაზი მარტის ბოლოს უკვე საერთო ჯგუფს შეუერთდება და ჩვეულებრივად დავტვირთავთ."*

თუმცა აქვე გვსურს დავამატოთ, რომ ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს მარტის ბოლოს ასათიანი თამაშს მოახერხებს. ფორმის აღსადგენად მას კიდევ დაახლოებით ერთი თვე დასჭირდება.

**მერაბ მამულაშვილი**






დანიელ ალვეში და სევილია უეფას თასის წლევანდელი გათამაშების ფავორიტები არიან

უეფას თასი. 1/8 ფინალი. პირველი მატჩები

# გაიმეორებს სევილია რეალის მიღწევას?

## თელ ავივში სტუმრობის წინ ესპანიოლელი ჟონათასი გაუჩინარდა

**ლანსი-ლევერკუზენი**
**მაკაბი-ესპანიოლი**
**ნიუკასლი-ალკმაარი**
**სელტა-ვერდერი**
**პსჟ-ბენფიკა**
**სევილია-შახტარი**
**რეინჯერსი-ოსასუნა**
**ბრაგა-ტოტენჰემი**

უეფას თასის მფლობელი "სევილია" არ მალავს, რომ ტიტულის შენარჩუნებას აპირებს. თუ ანდალუსიელები მიზანს მიაღწევენ, პირველები გახდებიან მადრიდის "რეალის" შემდეგ, რომელმაც უეფას თასი ზედიზედ ორჯერ უკანასკნელად 21 წლის წინათ დაისაკუთრა. დონეცკის "შახტართან" პირველ მერვედფინალურ მატჩში ვერ ითამაშებს წამყვანი ნახევარმცველი **რენატო**. ბრაზილიელმა ლეგიონერმა "ბარსელონასთან" ბოლო ტურის მატჩში (2:1) კოჭი დაიზიანა და დასვენება გამოიწერა. ტრავმები მოიშუშეს იტალიელმა **ენცო მარესკამ** და გერმანელმა **ანდრეას ჰინკელმა**. ბოლო ორი დღის განმავლობაში ისინი ინტენსიურად ვარჯიშობდნენ. საეჭვოა წამყვანი ცენტრალური მცველის, **ხავი ნავაროს** ასპარეზობა. მას მუხლის ქრონიკული ტრავმა აწუხებს. მარესკამ უკრაინელი მეტოქე ბოლო დროს მომძლავრებულ რუსულ კლუბებს შეადარა, რომელთაგან არასოდეს იცი, რას ელოდო. მისი აზრით, ამ რაუნდში "სევილიას" ისეთივე ბრძოლა გადახდება, როგორიც 1/16 ფინალში, ბუქარესტის "სტიაუას" წინააღმდეგ.

"ტოტენჰემის" თავდამსხმელ **დიმიტარ ბერბატოვს** "ბრაგასთან" მატჩში საკლუბო რეკორდის დამყარება შეუძლია.. თუ ის გოლს შეაგდებს, "მამლების" პირველი ფეხბურთელი გახდება, რომელსაც ევროპულ ტურნირებზე ზედიზედ ხუთ თამაშში აქვს გატანილი. ბულგარელმა ლეგიონერმა უეფას თასის ჯგუფური ტურნირის ოთხ მატჩში ხუთი გოლი მიითვალა. 1/16 ფინალში "ტოტენჰემს" თამაშების გაუმართავად ჩაეთვალა გამარჯვება ("ფეიენოორდის" დისკვალიფიკაციის გამო). ლონდონურ კლუბს "ბრაგასთან" შორეულ 1984-85 წლებში უთამაშია. ორი მატჩის ჯამში ინგლისელებმა მეტოქეს ცხრა უპასუხო გოლი გაუტანეს.

"ესპანიოლი" ისრაელში ბრაზილიელი ნახევარმცველის, **ჟონათასის** გარეშე გაემგზავრა. ის ორი დღის წინათ გაუჩინარდა. კლუბის ხელმძღვანელობამ მისი ადგილსამყოფელის შესახებ არაფერი იცოდა და მხოლოდ თელ ავივში გაფრენის წინ შეიტყო, რომ ჟონათასი ბრაზილიაში იმყოფებოდა. "ესპანიოლის" თავკაცმა **ერნესტო ბალბერდემ** უკმაყოფილება ვერ დამალა: *"უეფას თასის მატჩს ჩვენი გუნდისთვის განუზომელი მნიშვნელობა აქვს. ის კი ჩვენთან ერთად არ არის. გაკვირვებული ვარ. მისი საქციელი ძალიან არ მომეწონა. ჩემს აზრს ფეხბურთელებიც უერთდებიან."* 24 წლის ნახევარმცველი ბარსელონურ კლუბში გასულ ზაფხულს ჩაირიცხა. როგორც ამბობენ, ფეხბურთელი ესპანეთს ვერ შეეგუა. გასული წლის მინურულს გამოსასყიდის გულისთვის მისი მამა გაიტაცეს და ერთ კვირაში გაათავისუფლეს. ჟონათასის აგენტის თქმით, მისმა კლიენტმა შეიტყო, რომ მამა შეუძლოდ იყო და სასწრაფოდ ფორტალეზაში გამგზავრება მოუხდა.

"ოსასუნას" "რეინჯერსთან" მატჩში წამყვანი თავდამსხმელი **სავო მილოშევიჩი** არ ეყოლება. გასულ უქმეებზე სერბმა ვარსკვლავმა წვივის კუნთი დაიზიანა. პამპლონელებს მეორე ფორვარდი, **რობერტო სოლდადოც** დააკლდებათ. მწვრთნელთა განკარგულებაში მხოლოდ ორი თავდამსხმელია - კამერუნელი **პიერ ვებო** და არგენტინელი **ბერნარდო რომეო**. "ოსასუნის" საკადრო პრობლემები ამით არ ამოიწურება: ვერ ითამაშებს დისკვალიფიცირებული კაპიტანი **პაჩი პუნალი**, აგრეთვე ორი წამყვანი ნახევარმცველი, **ვალდო** და **ლუდოვიკ დელპორტი**. "რეინჯერსი" "ოსასუნას" მხოლოდ ერთხელ შეხვედრია - 1985-86 წლების უეფას თასის პირველ რაუნდში. ესპანელებმა ორი მატჩი ჯამში 2:1 გაიმარჯვეს. აქვე გლაზგოელთა ამბებსაც გამცნობთ: თელ ავივის "ჰაპოელთან" მატჩში მიღებული წითელი ბარათის გამო, ვერ ითამაშებს ძირითადი მეკარე **ალან მაკგრეგორი** (ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია). მის ადგილს გერმანელი ვეტერანი **შტეფან კლოსი** დაიკავებს.

"სენტ ჯეიმს პარკი" საინტერესო მატჩს უმასპინძლებს. "ნიუკასლის" მეტოქე "ალკმაარი" იქნება. ჰოლანდიელებმა უეფას თასის პირველი რაუნდის შემდეგ 21 გოლი გაიტანეს. ასე შედეგიანად არცერთ გუნდს არ უთამაშია. ალკმაარელთა სტუმრობა ჯორდების დაცვისთვის ნამდვილი გამოცდა იქნება. მეტოქეები საკადრო პრობლემებს არ უჩივიან.

ბუნდესლიგის ერთ-ერთი ლიდერი "ვერდერი" პრიმერა დივიზიონის ერთ-ერთ აუტსაიდერს, "სელტას" უმასპინძლებს. ბრემენელთა ძირითადში ვიხილავთ ახალგაზრდა თავდამსხმელ **აარონ ჰანტს**, რომელმაც შაბათს "ბოხუმთან" მატჩში **უგო ალმეიდას** ნაცვლად იასპარეზა და ბუნდესლიგაში თავისი პირველი ჰეთ თრიკი შეაგდო. "მუსიკოსებს" ვერ დაეხმარება წამყვანი ნახევარმცველი **ტიმ ბოროვსკი**. ერთი თვის წინათ მან მუხლის მყესები გაიწყვიტა და ხანგრძლივ შვებულებაში იმყოფება.

.. დაბოლოს, კრიზისში მყოფი "პარი სენ ჟერმენი" "ბენფიკას" მიიღებს. **პოლ ლე გენს** ურუგვაელი ნახევარმცველი **კრისტიან როდრიგესი** და არგენტინელი ფლეიმეიქერი **მარსელო. გალიარდო** არ ეყოლება.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# მარიო გომესი: დუელი იუვესა და მილანს შორის

## ბუნდესლიგის ახალგაზრდა ბომბარდირს შტუტგარტი 25 მილიონად აფასებს

იტალიური პრესის ცნობით, "იუვენტუსი" ინტერნსიურად მუშაობს "შტუტგარტისა" და ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირის, **მარიო გომესის** ხელში ჩასაგდებად, მაგრამ ტურინელებს მრისხანე კონკურენტი ჰყოლიათ "მილანის" სახით. 21 წლის ესპანური წარმოშობის ფორვარდი "შტუტგარტის" აღზრდილია. პირველ გუნდში დებიუტი ერთი წლის წინათ, **ჯოვანი ტრაპატონის** ხელმძღვანელობისას ჰქონდა. გერმანული ფეხბურთის ახალი "სუპერმარიო" იმდენად შთამბეჭდავად თამაშობს, რომ ცოტა ხნის წინათ მიწვევა გერმანიის ნაკრებიდანაც მიიღო. პერსპექტიულმა თავდამსხმელმა (სიმაღლე 187 სმ) იმედები არც **ლიოვს** გაუცრუა და 7 თებერვალს თავისი სანაკრებო დებიუტი შვეიცარიის კარში გატანილი გოლით აღნიშნა. თუმცა "შტუტგარტი" ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის და თავისი მეგოლის დათმობას არ აპირებს. "იუვენტუსი" მის გადაბირებას 10 მილიონი ევროდ ფიქრობდა, შტუტგარტელთა სპორტული დირექტორი **ჰორსტ ჰელდტი** კი ამბობს, რომ გომესის გაყიდვაზე იმ შემთხვევაში შეიძლება დაფიქრდეს, თუ მსურველი კლუბები 25 მილიონს შესთავაზებენ. "იუვე" და ახლა უკვე "მილანი" გომესის აგენტთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ, თუმცა არის ცნობები, რომ ფეხბურთელის ტრანსფერზე სხვა ევროპული კლუბებიც მუშაობენ.



მარიო გომესი ევროპული გრანდების ყურადღების ცენტრშია


იურგენ რიობერს დათხოვნა ემუქრება

დორტმუნდი

# ერთი წაგებაც და რიობერს დაიფრენენ

„კიოლნერ ექსპრესი" გვამცნობს, რომ თუ დორტმუნდის „ბორუსია" ბუნდესლიგის მომდევნო ტურში „ბოხუმთან" დამარცხდება, გუნდის ხელმძღვანელები მთავარ მწვრთნელ **იურგენ რიობერს** პოსტიდან გაათავისუფლებენ. არადა, რიობერმა BVB ახლახან, ზამთარში ჩაიბარა და მან ამ თანამდებობაზე ჰოლანდიელი **ბერტ ვან მარვიიკი** შეცვალა. რიობერს „ბორუსიასთან" კონტრაქტი სეზონის ბოლომდე აკავშირებს და იმთავითვე ცნობილი იყო, რომ ის გუნდს მხოლოდ ზაფხულამდე უხელმძღვანელებდა, რადგან „დორტმუნდის" შეფებს სამომავლოდ დათანხმებული ჰყავდათ **თომას ფონ ჰეეზენი**, რომელიც იმხანად ბილეფელდის „არმინიას" წვრთნიდა. ფონ ჰეეზენი ახლა უმუშევარია, რადგან „არმინიიდან" გააგდეს და იმ შემთხვევაში, თუ რიობერს მოხსნიან, მზად იქნება, „დორტმუნდს" არა სეზონის დასრულების შემდეგ, არამედ ახლავე ჩაუდგეს სათავეში.

რიობერის დროზე ადრე გათავისუფლება კი რეალური იმიტომ გახდა, რომ ამ მწვრთნელის ხელში ვესტფალიურმა გუნდმა 7 თამაშიდან 5 წააგო (მხოლოდ ორი მოგება) და გასავარდნ ზონას მიუახლოვდა, რაც „ბორუსიისთვის" კატასტროფის ტოლფასია. მართალია, BVB ახლა მე-10 ადგილზეა, მაგრამ მე-16 ადგილზე მყოფ „აინტრახტს" მხოლოდ და მხოლოდ 2 ქულით უსწრებს. ასე რომ, სიტუაცია საგანგაშოა. კვირას დორტმუნდელები საკუთარ მოედანზე „კოტბუსთან" დამარცხდნენ (2:3) და ხელმძღვანელებს მოთმინების ფიალა სწორედ ამ წაგებამ აუვსო, რადგან „კოტბუსი" ის გუნდია, რომელიც სტუმრად თითქმის ყოველთვის მარცხდება ხოლმე.

### იუვენტუსი ისევ მინიმალური დანახარჯით

"იუვენტუსმა" საგაისოდ უკვე ორი ფეხბურთელი დაიბევა - ბაიერნელი **ჰასან სალიჰამიჯიჩი** და აიაქსელი **ზდენეკ გრიგერა**. ტურინელებს ამ ტრანსფერებში ერთი ცენტიც არ დაუხარჯავთ. "ქალბატონის" ხელმძღვანელობამ სამხრეთ ამერიკისკენ გადაიტანა მზერა. "ტუტოსპორტის" ცნობით, "იუვე" იქაც მინიმალური თანხის დახარჯვას შეეცდება. ინტერესთა სფეროში არიან ურუგვაული "დანუბიოს" ნახევარმცველი **ხორხე გარგანო** და "რივერ პლეიტის" გარემარბი **ფერნანდო ბელუსკი**. ამ უკანასკნელზე "ინტერი", "რეალი" და "ატლეტიკოც" აცხადებენ პრეტენზიას.

### მათუსალემს იტალიაში უხმეს

"ფიორენტინა" დონეცკის "შახტარის" კაპიტნით, **ფრანსელინო მათუსალემით** დაინტერესდა. ამ უკანასკნელმა იტალიაში თამაშისას გაითქვა სახელი ("ბრეშასა" და "ნაპოლიში" ასპარეზობდა), მაგრამ უკვე რამდენიმე წელია, აღმოსავლეთ უკრაინაში მოღვაწეობს. ფლორენციელებმა მათუსალემის შეძენა ორი წლის წინაც სცადეს, მაგრამ დონეცკელებმა სანაცვლოდ 22 მილიონი ევრო მოითხოვეს. დღევანდელი ფასი უცნობია, მაგრამ სავარაუდოდ, რეალობასთან ის ბევრად უფრო ახლოა.

### ახალი გიგზი კოლჩესტერიდან

**სერ ალექს ფერგიუსონმა** ახალი **რაიან გიგზი** იპოვა. ამ ინფორმაციას ჟურნალი "ფიფლი" ავრცელებს. მანჩესტერელი მწვრთნელის რჩეულია პირველი დივიზიონის კლუბ "კოლჩესტერის " 17 წლის გარემარბი **მედი ელიტო**. მან სპეციალისტების ყურადღება ინგლისის 17-წლამდელთა ნაკრებში თამაშისას მიიპყრო. ფერგი ელიტოს ფსიქოლოგიურ დამუშავებას უკვე შეუდგა. ყმაწვილი "ლილთან" ჩემპიონთა ლიგის განმეორებით 1/8-ფინალზე დაპატიჟეს და ბილეთი საპატიო სტუმრების ლოჟაში მისცეს.

მოსალოდნელი დანიშვნა

# მოურინიო თუ ჰიდინკი?

## ჩელსის შესაძლო მომავალ მწვრთნელს აბრამოვიჩი უკვე უხდის ხელფასს...

"ჩელსის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე **ჟოზე მოურინიოს** შესაძლო მემკვიდრეს **რომან აბრამოვიჩი** უკვე უხდის ხელფასს. საუბარია ჰოლანდიელ **გუუს ჰიდინკზე**, რომელიც ამჟამად რუსეთის ნაკრებში მოღვაწეობს და წლიური ანაზღაურების სახით 1.4 მილიონ გირვანქას იღებს. ბელარუსის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **გენადი ნევიგლასი** საინტერესო კომენტარს აკეთებს: *"მერწმუნეთ, კარგად ვიცნობ იმ ადამიანებს, რომლებიც რუსული ფეხბურთის სათავეში იმყოფებიან. ისინი არამც და არამც არ დანიშნავდნენ ასეთ ძვირადღირებულ მწვრთნელს, ხელფასი რომ საკუთარი ბიუჯეტიდან ეხადათ. ჰიდინკის ხელფასს რუსეთის საფეხბურთო კავშირი არ ანაზღაურებს. ფული ბატონი აბრამოვიჩის ჯიბიდან იფარება."* ერთი კვირის წინ ჰიდინკი ბეწვზე გადაურჩა ციხეში მოხვედრას. ის გადასახადების დამალვის გამო გაასამართლეს და ფინანსური ჯარიმის გარდა, ექვსთვიანი პირობითი პატიმრობა მიუსაჯეს. "პორტუსთან" მატჩის წინ მოურინიომ საჯაროდ დააფიქსირა, რომ პოსტიდან წასვლას არ აპირებს და თუ დაითხოვენ, იმხელა კომპენსაციას მიიღებს, რომ მულტიმილიონერი გახდება.



გუუს ჰიდინკი

რეიტინგი

# ზიდანი, უმდიდრესი ფრანგი სპორტსმენი

## საფრანგეთში ყველაზე შემოსავლიანი სპორტი ფეხბურთია

**ზინედინ ზიდანი** ფეხბურთიდან გასულ ზაფხულს წავიდა. ამის მიუხედავად, ზიზუ საფრანგეთის ყველაზე შემოსავლიან სპორტსმენად რჩება. 2006 წელს ფრანგმა ვარსკვლავმა 13 მილიონი ევრო გამოიმუშავა. ერთი წლით ადრე მის საბანკო ანგარიშზე 1.6 მილიონით მეტი გადაირიცხა, მაგრამ შემცირებული თანხაც საკმარისი აღმოჩნდა რეიტინგში პირველი ადგილის დასაკავებლად. ზიზუ რეკლამის დამკვეთთა შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. წამყვანი კომპანიები მისი იმიჯის უფლებისათვის ერთმანეთს ეცილებიან. ზიდანი დიდხანს არ დაავიწყდებათ, ისევე, როგორც დიდანს ემახსოვრებათ შარშანდელი მუნდიალის ფინალში მომხდარი სკანდალური ინციდენტი.

ზიდანის უახლოესი კონკურენტია არსენალელი თავდამსხმელი **ტიერი ანრი**. მისი წლიური შემოსავალი 2.4 მილიონით გაიზარდა და 2006 წელს 12.4 მილიონი ევრო გამოიმუშავა. მესამე ადგილზეა "სან ანტონიო სფურზის" ფრანგი ვარსკვლავი **ტონი პარკერი,** თუმცა საფეხბურთო ვარკვლავებთან შედარებით, მისი შემოსავალი მოკრძალებულია - წლიური 9.8 მილიონი ევრო. სამაგიეროდ, სწორედ პარკერის მონაგარში დაფიქსირდა ყველაზე დიდი წლიური ზრდა, 4 მილიონი ევრო.

ათეულში კიდევ ორი ფეხბურთელია - **კლოდ მაკელელე** 7.2 მილიონით და **პატრიკ ვიეირა** 6.9 მილიონით. შემდეგ მოდის ჩოგბურთელი **ამელი მორესმო** 6.8-მილიონიანი შემოსავლით. აღსანიშნავია, რომ მორესმო არა მხოლოდ ათეულშია ერთადერთი ქალი, არამედ უმდიდრესთა 50-შიც.

ამ ინფორმაციის კომენტირებისას ჟურნალი "ეკიპი" აღნიშნავს, რომ საფრანგეთში სპორტის ყველაზე შემოსავლიან სახეობად ფეხბურთი რჩება და ის წლიდან წლამდე იმტკიცებს პოზიციებს. ამ სიტყვების ნათელსაყოფად "ეკიპი" ერთმანეთს ადარებს 2005 და 2006 წლების მონაცემებს. 2005-ში უმდიდრეს 50 სპორტსმენს შორის, არაფეხბურთელი თორმეტი იყო, წელს კი ასეთი მხოლოდ ექვსია. ერთი წლით ადრე უმდიდრესთა ათეულში მოსახვედრად წლიური 4.9 მილიონიც საკმარისი იყო, 2006-ში მინიმალურმა ზღვარმა 5.2 მილიონამდე აიწია. საგულისხმოა ისიც, რომ ათეულში მოხვედრილი სპორტსმენების საერთო შემოსავალი უმდიდრესი 50-ეულის საერთო შემოსავლის ნახევარს აჭარბებს.



ზინედინ ზიდანი



რობერტო მანჩინი

ინტერი

# მანჩინიმ კონტრაქტი გააფორმა?

## რეკობა ხელშეკრულების გაწყვეტას მოითხოვს...

ჩემპიონთა ლიგიდან "ინტერის" გავარდნისთანავე საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა. "ტუტოსპორტმა" "იუვენტუსის" ყოფილი გენერალური მენეჯერის, **ლუჩანო მოჯის** კომენტარები გამოაქვეყნა. სხვა საკითხებთან ერთად, სკანდალურად ცნობილმა ლუჩანონემ **რობერტო მანჩინის** კონტრაქტის საკითხიც მიმოიხილა. მისი ღრმა რწმენით, მანჩომ "ინტერთან" ახალი კონტრაქტი ვალენსიაში გამგზავრების წინ გააფორმა: *"ის დოკუმენტებზე ხელის მოწერას გაცილებით ადვილად ახერხებს, ვიდრე გუნდის გაძღოლას. ეჭვი არ მეპარება, რომ ხელშეკრულება ძალიან სარფიანია. მასში ალბათ ისეთ ფულზეა ლაპარაკი, რომელიც მწვრთნელების უმრავლესობას არცკი დაესიზმრება. ჭკვიანურად მოიქცა, რომ კონტრაქტი განმეორებით მატჩამდე გააფორმა."*

მოჯის განცხადებას ოფიციალური კომენტარები არ მოჰყოლია. სამაგიეროდ, მანჩინისთან დაკავშირებით კიდევ ერთ ინფორმაციას გაგაცნობთ. "ინტერის" ბოსი დისკვალიფიკაციას გადაურჩა და მილანურ დერბიში გუნდს პირადად უხელმძღვანელებს. საქმე ისაა, რომ სერია A-ს ბოლო ტურში, "ლივორნოსთან" მატჩისას (1:2) მანჩინის წითელი ბარათი აუფრიალეს (82-ე წუთზე "ინტერს" კიდევ ორი ფეხბურთელი, **მაიკონი** და **მატერაცი** გაუძევეს). სადისციპლინო კომისიამ მისი საქმე დეტალურად განიხილა და გადაწყვიტა, რომ მწვრთნელი მხოლოდ ფინანსურ სანქციას იმსახურებდა. რობერტო ფეხბურთის ფედერაციის ანგარიშზე 3.5 ათას ევროს გადარიცხავს. აქვე გეტყვით, რომ მანჩინის კოლეგა, "კიევოს" თავკაცი **ლუიჯი დელ ნერი,** რომელსაც ასევე წითელი ბარათი აუფრიალეს ("მილანთან" მატჩში, 1:3), ერთ მატჩს ტრიბუნიდან მიადევნებს თვალს.

დავუბრუნდეთ "ინტერს". **ალვარო რეკობა** უკმაყოფილებას ვერ მალავს. "ვალენსიასთან" საპასუხო მატჩში ის ერთი წუთითაც არ ათამაშეს. ფეხბურთელი დარწმუნებული იყო, რომ შეხვედრის მიწურულს მაინც მიეცემოდა შანსი, მაგრამ მთელი 90 წუთი სკამზე გაატარა. "გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, რეკობა "ინტერში" დარჩენას აღარ აპირებს. ის პრეზიდენტ **მასიმო მორატის** შეხვედრას და კონტრაქტის გაწყვეტას მოსთხოვს. ალვაროს ურუგვაიში დაბრუნება აქვს გატაწყვეტილი.

არსენალი. ტრანსფერები

# მეთოფეებს აბიდალი და ვუდგეიტი სურთ

"არსენალსა" და "ბარსელონას" ლიონელი ნახევარმცველის, **ერიკ აბიდალის** შეძენა სურთ. ამ ინფორმაციას ფეხბურთელის აგენტი ავრცელებს. მისივე თქმით, გამორიცხულია აბიდალის იტალიაში ტრანსფერი. ერიკი შიშობს, რომ აპენინებზე დაზღვეული ვერ იქნება რასისტული თავდასხმებისგან. ამის მაგალითი იყო "რომასთან" ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მატჩი, რომლის დროსაც, რომაელმა ნახევარმცველმა **დანიელე დე როსიმ** ის რასისტულ ნიადაგზე შეურაცხყო. უცნაურია ის გახლავთ, რომ ბოლო წლებში რასიზმთან დაკავშირებული ხმაურიანი სკანდალებით არა იტალიამ, არამედ ესპანეთმა გაითქვა სახელი. ეს პრობლემა ორივე ქვეყანაში აქტუალურია. თუ რასიზმი აბიდალის არჩევანზე გადამწყვეტ გავლენას იქონიებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ის ინგლისში წავა.

"არსენალს" "რეალის" ცენტრალური მცველი **ჯონათან ვუდგეიტიც** სურს. ინგლისელი ვარსკლავი იჯარით "მიდლსბროში" თამაშობს. რივერსაიდელებს ეკუთვნით ფეხბურთელზე პირველი არჩევანის უფლებაც, მაგრამ თუ ამ ორ კლუბზე მიდგა საქმე, ჯონათანი, რა თქმა უნდა, "არსენალს" აირჩევს. ლონდონში თამაში ჩემპიონთა ლიგაში სტაბილურად მონაწილეობას ნიშნავს. მოსალოდნელი ტრანსფერის დეტალები უცნობია.



ლიონი-რომა. ერიკ აბიდალი როდრიგო ტადეის წინაალმდეგ

### ბექჰემი მანჩესტერში მაინც ჩავა

მოგეხსენებათ, **დევიდ ბექჰემმა** მძიმე ტრავმა მიიღო. ის ოთხიდან ექვსი კვირის განმავლობაში ვერ ითამაშებს. მომავალ სამშაბათს, "მანჩესტერი" ევროპის ვარსკვლავთა ნაკრებისა და "იუნაიტედის" საქველმოქმედო მატჩს უმასპინძლებს. შეხვედრა ევროთასებზე "მენიუს" მოღვაწეობის 50 წლისთავს მიეძღვნება. ევროპის ნაკრებში მადრიდელი გალაქტიკოც იყო მიწვეული. ბექჰემს საშუალება ჰქონდა, გამოეხატა სიყვარული მანჩესტერელი გულშემატკივრების მიმართ, რომლებსაც 2003 წელს დაუმშვიდობებლად დაშორდა. მაგრამ ტრავმამ მისი და ორგანიზატორების გეგმები თავდაყირა დააყენა. ის თამაშის მონაწილეთა სიიდან ამოშალეს, მაგრამ როგორც ირკვევა, ბექზი "მანჩესტერში" მაინც ჩავა. "იუნაიტედის" ხელმძღვანელობა მისმა ენთუზიაზმმა ძალიან გაახარა. შეხვედრის წინ კომენტატორი საგანგებოდ გამოაცხადებს დევიდის გვარს. ის მინდორზე გავა და ტრიბუნებს მიესალმება. მადრიდში გამგზავრების შემდეგ დევიდმა რამდენჯერმე ითამაშა "ოლდ ტრეფორდზე", მაგრამ მხოლოდ ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში.

### ჰუნტელაარი ლოკომოტივში?

"ლოკომოტივს" ამბიციური გეგმა აქვს. რუსეთის სატრანსფერო ფანჯრის ბოლოს დღეს რკინიგზელებმა აიაქსელი **კლაას იან ჰუნტელაარის** შეძენა გადაწყვიტეს. მოსკოველები **დმიტრი სიჩოვის** მეწყვილედ ათლეტური აღნაგობის თავდამსხმელს ეძებენ. მათ ზენიტელი **ალექსანდრ კერჟაკოვი** და არმიელი **ივიცა ოლიჩი** სურდათ, მაგრამ ერთი "სევილიაში" გადავიდა, ხოლო მეორე - "ჰამბურგში". "ლოკომოტივის" ხელმძღვანელობამ ამსტერდამელ ვარკვლავს დაადგა თვალი. 23 წლის ჰუნტელაარი სიმაღლით 186 სანტიმეტრია და 80 კილოგრამს იწონის.

გასულ უქმეებზე მოსკოველთა პრეზიდენტი **იური სიომინი** ჰოლანდიაში გაემგზავრა და "აიაქსი"-"ჰერენვენის" მატჩს დაესწრო. მის დასულებისთანავე სიომინი ჰუნტელაარსა და მის აგენტს შეხვდა. "სპორტ ექსპრესის" ცნობით, მხარეებმა კონტრაქტის პირობები ადვილად შეათანხმეს. ლოკომოტივს მზადაა, 14 მილიონი ევრო გადაიხადოს. ერთი წლის წინ "აიაქსს" ამ ბიჭის "ჰენერვენიდან" გადაყვანა 9 მილიონი დაუჯდა. რუსების გარდა, კლაას იანს "მანჩესტერ იუნაიტედი", "ვალენსია", "იუვენტუსი" და "ვერდერი" აკვირდებიან.

ლიბერტადორესი 2007. ჯგუფური ტურნირი

#### I ჯგუფი

**ეს ნასიონ. (ეკვ)–ლიბერტადი (პარ) 1:1**

**ეს ნასიონალი:** ჯოვანი იბარა, ომარ დე ხესუსი, კარლოს კასტრო, პაველ საისედო, ერიკ დე ხესუსი, კარლოს იდალგო, კიროსი, ველინგტონ სანჩესი (42. ვალტერ აიოვი), ვალტერ კალდერონი, კრისტიან ბენიტესი, ივან კავიედესი (64. გუსტავო ფიგეროა).

**ლიბერტადი:** ბავა, პედრო ბენიტესი, ბალბუენა, სარაბია, ბონეტი, მარინი (63. ნელსონ რომერო), გინასუ, ოსვალდო მარტინესი (76. ედგარ ბენიტესი), აკინიო (81. რობლესი), რივეროსი, ერნან ლოპესი.

**გოლები:** 1:0 კალდერონი (68), 1:1 ლოპესი (79)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიბერტადი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 7 |
| 2. ბანფილდი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-2 | 3 |
| 3. ამერიკა | 2 | 1 | 0 | 1 | 3-5 | 3 |
| 4. ელ ნასიონალი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-7 | 1 |

#### VIII ჯგუფი

**ხიმნასია (არგ)–დეპ. პასტო (კოლ) 3:2**

**ხიმნასია:** კლეტნიკი, ხერმან ბასუალდო, სემინო, ლანდა, დანიელ რომერო (73. ალვარო ორმენიო), პიატი, ალდერეტე, კორნეხო, პაშეკუ (89. სან ესტებანი), პიერგუიდი, ლეალი (73. სანტიაგო სილვა).

**პასტო:** ბარაონა, ხამელ რამოსი, მერა, ვილმერ დიასი, მონროი, ხარამილიო, ჰაროლდ როდრიგესი, ვიდალი, ვილამილი (65. ლუის ვალენსია), ხუან გარსია (69. ოსკარ მარტინესი), როდასი.

**გოლები:** 0:1 როდასი (10), 1:1 ლეალი (30), 2:1 პაშეკუ (49), 2:2 ვალენსია (70), 3:2 პიერგუიდი (87)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სანტოსი | 2 | 2 | 0 | 0 | 2-0 | 6 |
| 2. დეფენსორი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-1 | 3 |
| 3. ხიმნასია | 2 | 1 | 0 | 1 | 3-5 | 3 |
| 4. დეპ. პასტო | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |

სევილია

# დანიელ ალვეში ჩელსისაც მოუნდა

## სავიოლა უარზეა, კანუტეს ფორლანი შეცვლისო

სევილიელ **დანიელ ალვეშს** კიდევ ერთი მსურველი გამოუჩნდა. "ბარსელონის" შემდეგ, მისი შეძენა მოისურვა "ჩელსიმაც". გასულ ზაფხულს ბრაზილიელ მცველს "ლივერპული" ეპატიჟებოდა. ალვეშმა ანდალუსიელებთან ჯენტლმენური შეთანხმება დადო: მან 2010 წლამდე გააგრძელა ხელშეკრულება, რამაც ფეხბურთელის ფასი ავტომატურად ასწია. სანაცვლოდ, დანიელმა პირობა მიიღო, რომ ევროპული გრანდების დაინტერესების შემთხვევაში "სევილია" ტრანსფერს ხელს არ შეუშლიდა. პრეზიდენტი **ხოსე მარია დელ ნიდო** სიტყვის გატეხვას არ აპირებს. სეზონის დასრულებისთანავე დანიელ ალვეშს უკეთეს გუნდში გადასვლა შეეძლება. ვნახოთ, აღმოჩნდება თუ არა მისი მორიგი გაჩერება "ჩელსი", რომელსაც წელს ყველაზე მეტი პრობლემა დაცვის ხაზში აქვს. სხვათა შორის, **ჟოზე მოურინიოსა** და **რომან აბრამოვიჩს** შორის ურთიერთობის გართულებაც იმას უკავშირდება, რომ იანვრის ტრანსფერებისას "არისტოკრატებმა" კვალიფიციური მცველი არ შეიძინეს.

დავბრუნდეთ სევილიაში. ხუანდე რამოსის გუნდი წელს ისეთ ფეხბურთს აჩვენებს, რომ საყოველთაო ყურადღების ცენტრშია. თუ ასე გააგრძელეს, ანდალუსიელებს დაშლა არ ასცდებათ. დანიელ ალვეშის გარდა, გრანდების ყურადღება მალელმა თავდამსხმელმა **ფრედერიკ კანუტემაც** მიიპყრო. აღარაფერს ვიტყვით საკუთრივ **ხუანდე რამოსზე,** რომელსაც, სპეკულაციების თანახმად, "ბარსელონა" ეპატიჟება. თუ კანუტე "სევილიას" დატოვებს, მის ნაცვლად "ვილიარეალის" თავდამსხმელ **დიეგო ფორლანს** გაუფორმებენ კონტრაქტს. ურუგვაელი თავდამსხმელი მას მერე გაახსენდათ, რაც პრეზიდენტმა დელ ნიდომ ბარსელონელი **ხავიერ სავიოლა** "სევილიაში" დაბრუნებაზე ვერ დაიყოლია. სავიოლამ ამ კლუბში იჯარით ერთი სეზონი გაატარა და უეფას თასი მოიგო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები

# რომა 23 წლის შემდეგ

## ნავარომ ბურდისოს მოუგოდიშა, ბარსელონური სასწაული არ მოხდა, საბრალო ფერეირა კი მოურინიოსთან მერვედ დამარცხდა...









**ლივერპული–ბარსელონა 0:1 (2:1)**

**ლივერპული:** რეინა, ფინენი, კარაგერი, აგერი, არბელოა, რიისე (77. ფაბიო აურელიო), ჯერარდი, სისოკო, ჩაბი ალონსო, კუიტი (89. კრაუჩი), ბელამი (67. პენანტი).

**ბარსელონა:** ვალდესი, ძამბროტა, ტურამი (71. გუდიონსენი), პუიოლი, რაფაელ მარკესი, ინიესტა, დეკუ, ჩავი, რონალდინიო, მესი, ეტო'ო (61. ჟიული).

**გოლი:** 0:1 გუდიონსენი (75)

**მაყურებელი:** 44 155

**არბიტრი:** ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

სასწაული არ მოხდა. დიდი იმედის მიუხედავად, "ბარსელონა" ჩემპიონთა ლიგის გათამაშების მიღმა აღმოჩნდა. კატალონიელებმა პირველიდან ბოლო წამამდე თავდაუზოგავად იბრძოლეს, მაგრამ საიმისო უნარი არ აღმოაჩნდათ, რომ პირველ შეხვედრაში დაშვებული შეცდომები გამოესწორებინათ და ფლეი ოფი გადაერჩინათ. სამშაბათს ნათელი გახდა, ამ წყვილის გამარჯვებულის ბედი ჯერ კიდევ "კამპ ნოუზე" გაირკვა. საკუთარ სტადიონზე ორი ბურთის გაშვება "ბარსას" ძალიან ძვირად დაუჯდა. ჩემპიონთა ლიგის შარშანდელი გამარჯვებული წლევანდელ გათამაშებას ფლეი ოფის პირველივე ეტაპიდან გამოეთიშა. კაცმა რომ თქვას, ეს სულაც არ არის გასაკვირი. "ბარსელონამ" ჯგუფური ეტაპიც დიდი გაჭირვებით დაძლია.

ბუნებრივია, "ენფილდის" მინდორზე გასვლისას არავინ ფიქრობდა, რომ პირველი დაპირისპირება წაგებული იყო. არც ჯგუფური რაუნდის პრობლემები გახსენებია ვინმეს. კატალონიელები მკაფიო გეგმით ჩავიდნენ ინგლისში. მათ სასწაული უნდა მოეხდინათ და "ლივერპულის" ლეგენდარულ სტადიონზე ორი ბურთი შეეგდოთ. **ფრანკ რიიკაარდი** კარგად აცნობიერებდა, ამისთვის შეტევის გაძლიერება იყო საჭირო. ჰოლანდიელი სპეციალისტი ასეც მოიქცა და საკმაოდ სარისკო ტაქტიკა შეიმუშავა. სტუმარმა "ბარსელონამ" 3-4-3 განლაგებით ითამაშა. პირველი წუთები მისი უპირატესობით აღინიშნა, თუმცა სტუმრები მოწინააღმდეგის საჯარიმოსთან მიახლოებას ვერ ახერხებდნენ. "ლივერპული" ამგვარი თამაშისთვის კარგად მომზადებული აღმოჩნდა. **ბენიტესმა** მოწინააღმდეგე ჩინებულად შეისწავლა და შეგირდებს კონტრშეტევებზე აქტიურად თამაში დაავალა. "წითელმა ეშმაკებმა" პირველ ტაიმში რამდენიმე 100-პროცენტიანი საგოლე მომენტი შექმნეს. ყველაზე მეტად **ჯონ არნო რიისე** აქტიურობდა. ნორვეგიელ ნახევარმცველს აზროვნების მრავალფეროვნებას ვერ მივაწერთ, თუმცა ფაქტია, მან **ვიქტორ ვალდესი** გვარიანად ანერვიულა. რიისესთვის საკმარისი იყო ბურთისთვის ფეხი მოერტყა, რომ უმალ სახიფათო სიტუაცია შეექმნა. ერთხელ მან სანტიმეტრებით ააცილა კარს. მეორედ კი ხარიხა შეაზანზარა. მოგვიანებით "ბარსას" გოლკიპერმა სამარცხვინო შეცდომა დაუშვა და მოგერიების ნაცვლად ბურთი **სისოკოს** ჩააბარა. ლივერპულელმა შორეული დარტყმით სცადა ბედი. ბურთი კვლავ ხარიხას მოხვდა. კატალონიელთა კართან კიდევ ერთი 100-პროცენტიანი მომენტი შეიქმნა. ვალდესმა კუთხიდან დარტყმული ბურთი დიდი გაჭირვებით მოიგერია. დამატებაზე **კუიტმა** ყველას დაასწრო, მაგრამ მეკარემ ფეხით მოიგერია. კიდევ ერთი დამატების შემდეგ **პუიოლმა** ბურთი ცარიელი კარიდან გამოიტანა. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ "ლივერპული" საგოლე მომენტების მხრივ ულაპარაკო უპირატესობას ფლობდა. თავად განსაჯეთ, იმ მომენტისთვის მასპინძლებმა კარის მიმართულებით ცხრაჯერ გაისროლეს. "ბარსამ" კი ეს ერთხელაც ვერ შეძლო.

მეორე ტაიმის დებიუტი ანალოგიური სცენარით წარიმართა. ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა კვლავ ინგლისელებს ჰქონდათ. მოვლენათა ეპიცენტრში **სტივენ ჯერარდი** მოექცა. დროთა განმავლობაში თამაშის რიტმი საგრძნობლად დაეცა. "ბარსელონის" დაცვამ მხოლოდ ამის შემდეგ ამოისუნთქა. "ბარსას" საშუალება გაუჩნდა, შეტევისთვის უფრო მეტი ენერგია მოეხმარა. **რონალდინიო**, რომელიც თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში ინერტული და უმაქნისი იყო, ინდივიდუალური ოსტატობის წყალობით **პეპე რეინასთან** პირისპირ გავიდა. "ლივერპულის" გოლკიპერმა აბსოლუტურად ზუსტი პოზიცია შეარჩია. თავდამსხმელს მან კუთხე შეუმცირა და რონალდინიომ მხოლოდ ძელის შეზანზარება შეძლო. დროის გასვლასთან ერთად რიიკაარდი მიხვდა, რომ შეცვლები უნდა განეხორციელებინა. პირველად მან **სამუელ ეტოო** მოხსნა მატჩიდან. კამერუნელმა ფორვარდმა ღირებული ვერაფერი გააკეთა. საზოგადოება კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ის ჯერაც საკმაოდ შორსაა სასურველი ფორმისგან. ეტოოს ნაცვლად მოედანზე **ლუდოვიკ ჟიული** შევიდა. ფრანგმა გარემარბმა შეტევას თითქოს ახალი სული შთაბერა, მაგრამ გლობალურად თუ ვიმსჯელებთ, მივხვდებით, რომ განსაკუთრებული მასაც არაფერი გაუკეთებია. დაახლოებით 10 წუთში "ბარსელონის" დამრიგებელმა კიდევ ერთი სარისკო გადაწყვეტილება მიიღო. კერძოდ, მან **ლილან ტურამის** ნაცვლად **ეიდურ გუდიონსენი** გამოიყვანა. სტუმრები, რა თქმა უნდა, დაცვაში ორი კაცით არ დარჩენილან. **რაფა მარკესმა** უკან დაიხია, გუდიონსენი კი ცენტრფორვარდად მოგვევლინა. ისლანდიელს სულ რაღაც 4 წუთი დასჭირდა იმისთვის, რომ გოლი გაეტანა. ის რეინასთან პირისპირ გავიდა, ცრუ მოძრაობით მეკარე ჩამოიცილა და ცარიელ კარში გაიტანა. პირენეულ გრანდს თამაშის გადასარჩენად ძირითადი დროის 15 და მსაჯის მიერ დამატებული 3 წუთი რჩებოდა. სტუმრებმა ნანატრი მეორე გოლი ველარ გაიტანეს. საფინალო სასტვენისთანავე "ენფილდზე" დიდი ზეიმი დაიწყო. ფანებმა ერთხმად დასჭექეს საკლუბო ჰიმნი და დროშები ააფრიალეს. "ლივერპული" პრემიერლიგაში გამარჯვების პრაქტიკულ შანსს დიდი ხანია გამოემშვიდობა. სენიორ ბენიტესს აქცენტი ჩემპიონთა ლიგაზე აქვს აღებული. ისეთი გიგანტის გზიდან ჩამოცილება, როგორიც "ბარსელონაა", დიადი თასისკენ მიმავალ გზაზე გადადგმულ გრანდიოზულ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მწვრთნელები, რა თქმა უნდა, განსხვავებული განწყობით გამოცხადდნენ. ასეთი დამწუხრებული რიიკაარდი დიდი ხანია, არავის უნახავს. აი, რა განაცხადა მან: *"ეს ის შემთხვევაა, როცა ჩემს ფეხბურთელებს აბსოლუტურად ვერაფერს ვუსაყვედურებ. ბიჭებმა თავგამოდებით იბრძოლეს. ცხადია, შეცდომებიც გვქონდა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ "ენფილდზე" უძლიერეს "ლივერპულს" ვეთამაშებოდით, გასაკვირი არაფერია. სამწუხაროდ, ამ ფლეი ოფის ბედი ჯერ კიდევ ორი კვირის წინათ გადაწყდა. ბუნებრივია, იმედს ბოლო წუთამდე არ ვკარგავდით, მაგრამ დღეს ცნობილი გახდა, რომ "კამპ ნოუზე" გაშვებულმა ორმა ბურთმა გადამწყვეტი როლი ითამაშა. გუდიონსენმა დაგვაწინაურა. შეგვეძლო ერთიც გაგვეტანა, მაგრამ ობიექტურობა მოითხოვს აღვნიშნოს, რომ "ლივერპულს" პირველ ტაიმში უამრავი მომენტი ჰქონდა. მასპინძლებმა მეოთხედფინალის საგზური სრულიად დამსახურებულად მოიპოვეს, ამიტომ ვალდებული ვარ, მათ ეს დიდი წარმატება მივულოცო. რაფა ბენიტესსა და მის შეგირდებს სამომავლო წარმატებებსაც ვუსურვებ."*

რიიკაარდს მისმა კოლეგამ ჩამოართვა სიტყვა. ბენიტესი უზომოდ კმაყოფილი და ბედნიერი იყო: *"ვამაყობ, რომ "ლივერპულის" მთავარი მწვრთნელი ვარ. გენიალურ ბიჭებთან მიწევს მუშაობა. პირველ ტაიმში მართლაც საოცარი მომენტები შევქმენით, მაგრამ იღბალმა ზურგი გვაქცია. შესვენების შემდეგ კი ჩვენი მოწინააღმდეგეები გააქტიურდნენ. მათ გოლიც გაგვიტანეს. ბოლო 15 წუთის განმავლობაში ბიჭები ძალიან ნერვიულობდნენ. დაღლაც დაეტყოთ, თუმცა ყველა გამოცდას გაუძლეს და საქმე საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანეს. მართალია, დღეს 0:1 დავთმეთ, თუმცა ფლეი ოფი ორ მატჩს მოიცავს. ახლა ისღა დაგვრჩენია, კენჭისყრას დაველოდოთ. იმედია, მომავალშიც წარმატებით ვიასპარეზებთ."*

იმედგაცრუებული "ბარსელონა" შინ დაბრუნდა. ბევრი ფიქრობდა, რომ კლუბის ხელმძღვანელობა ლიგიდან გამოვარდნას უმკაცრესად შეაფასებდა, თუმცა ვარაუდი არ გამართლდა. **ჩიკი ბეგირისტაინმა** საგანგებო პრესკონფერენცია მოიწვია და განაცხადა, თუ პრიმერა დივიზიონსა და ესპანეთის სამეფო თასზე გავიმარჯვებთ, ამ სეზონს ცალსახად დადებითად შევაფასებთო.

**ვალენსია–ინტერი 0:0 (2:2)**

**ვალენსია:** კანისარესი, მიგელი, აიალა, მორეტი, ალბიოლი, მარჩენა, სილვა, ანგულო (77. ხოაკინი), ბარახა (38. უგო ვიანა), მორიენტესი (67. ვისენტე), ვილია.

**ინტერი:** ჟულიო სეზარი, ბურდისო, კორდობა, მატერაცი, მაქსველი (75. გროსო), მაიკონი, ძანეტი, დაკური (64. ფიგუ), სტანკოვიჩი, იბრაჰიმოვიჩი, კრესპო (58. კრუსი).

**მაყურებელი:** 49 000

**არბიტრი:** ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

ადიოს "ინტერ"! ისე, როგორც შარშან, "შავ-ლურჯების" ევროპული თავგადასავალი ისევ ესპანურ მიწაზე დასრულდა. შარშან იყო მარცხი "ვილიარეალთან", ამჯერად არაფრისმომცემი 0:0 "ვალენსიასთან". რაკი თამაშიც უინტერესო იყო, სანახაობაზე ფეხბურთელებმა მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ იზრუნეს და ერთმანეთს შუა მოედანზე დაერივნენ. **მარჩენამ ბურდისოს** რაღაც უთხრა, რასაც ამ ორის კინკლაობა მოჰყვა. ამასობაში სათადარიგო **ნავარო** ბურდისოს მიეპარა და ცხვირში ისეთი ჩაარტყა, რომ ძვალი გაუტეხა, მერე კი გასახდელისკენ გაიქცა. "ინტერის" სამხრეთამერიკული ბანდა **კორდობას, კრუსისა და მაიკონის** შემადგენლობით, ნავაროს უკან გაეკიდა და როგორც ამბობენ, ჩხუბი კულისებშიც გაგრძელდა. მოკლედ, დიდი დავი-დარაბა იყო, მათ შორის, სტადიონის გარეთაც, სადაც ვალენსიელმა ფანებმა "ინტერის" ავტობუსს ქვები და ბოთლები დაუშინეს, **მატერაცი** კი (ცნობილი მიზეზის გამო) ბოლო სიტყვებით ლანძღეს. გუშინ ნავარომ აღიარა, ბურდისოს რომ ჩაარტყა და ბოდიში მოიხადა, ნერვები ვერ მოვთოკეო. ახლა უეფა გაარკვევს მტყუან-მართალს, 22 მარტს კი სადისციპლინო კომისია ვერდიქტებს გამოიტანს.

ძვირად დაუჯდა "ინტერს" "სან სიროზე" ნათამაშები 2:2. მანჩინის ხელში გუნდი ჩემპიონთა ლიგას ასე ნაადრევად ჯერ არ დამშვიდობებია (წინა ორ სეზონში ტურნირს მეოთხედფინალიდან გამოეთიშა). მწვრთნელი სასტარტო შემადგენლობის შერჩევაში შეცდა, მაგრამ უფრო დიდი შეცდომა თამაშისადმი უცნაურად პასიური მიდგომა იყო. "ინტერმა" ისე არ ითამაშა, როგორც ასეთ სიტუაციაში უნდა ეთამაშა. ტაქტიკური მოშლილობისა თუ ფსიქოლოგიური იმპოტენციის გამო, **იბრაჰიმოვიჩმა** და კომპანიამ პირველ ტაიმში **კანისარესი** ერთხელაც ვერ შეაწუხეს, მეორე ტაიმში კი მათმა თავგანწირულმა საფინალო შტურმმა შედეგად მხოლოდ ერთი სახიფათო მომენტი წარმოშვა: მატერაცის თავურის შემდეგ, მარჩენამ ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა. ისევ მატერაცი, ერთადერთი კაცი, რომელიც სტუმრებს შორის მოწოდების სიმაღლეზე იდგა. მაგრამ ეს ძალიან ცოტაა იმისთვის, რომ "ვალენსია" გამოაგდო. ესპანელები მხოლოდ 0:0-ს შენარჩუნებაზე არ ფიქრობდნენ და ბოლო წუთებზე იმდენჯერ იყვნენ ახლოს გოლთან, რომ მოგებასაც იმსახურებდნენ.

ექსპერიმენტების მოყვარულმა მანჩინიმ მორიგი სიურპრიზი შვა, როცა ნახევარდაცვაში უპრეცენდენტო და არალოგიკური შემადგენლობით წარსდგა. **ვიეირასა** და **კამბიასოს** არყოფნაში, საყრდენად, **ძანეტისა** და **დაკურს** შორის, ბურდისო დააყენა, იმის მაგივრად, რომ ფრანგი ჩვეულ პოზიციაზე დაეტოვებინა და მარჯვნივ **სტანკოვიჩი** გადაეწია. ამგვარად, სამიდან ორი ნახევარმცველი მისთვის უჩვეულო პოზიციაზე აღმოჩნდა. უფრო გასაკვირი ისაა, რომ ბურდისომ "ინტერში" გადასვლის დღიდან საყრდენად მეორედ ითამაშა. ფიგუ 90 წუთი ველარ დარბისო და სკამზე დარჩა, გამთამაშებლად კი, იბრაჰიმოვიჩი-კრესპოს უკან, სტანკოვი-

# ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები

ჩი წარსდგა. „ვალენსია" კი ისეთივე იყო, როგორც „სან სიროზე", მხოლოდ ერთი ცვლილებით – კაპიტანმა **ბარახამ** დისკვალიფიცირებული **ალბელდას** ადგილი დაიკავა. თამაშის წინ ვალენსიურმა პუბლიკამ ნარინჯისფერი ქაღალდებით მოზაიკაააწყო, რომელზეც იტალიურად იკითხებოდა – Vendetta. ვენდეტა იმისთვის, რომ 2003 წლის მეოთხედფინალში „ინტერმა" „ვალენსია" ლიგის მიღმა დატოვა.

ინიციატივას თავიდანვე „ვალენსია" დაეუფლა და შეუტია. „ინტერი" მოშვებული და რგოლებს შორის განყვეტილი ჩანდა. ბურდისოს ძალიან უჭირდა, დაკური და ძანეტი ქანცგაწყვეტამდე, მაგრამ უსარგებლოდ დარბოდნენ. დაცვა კი უძლებდა მატერაცისა და კორდობას ექსტრა ძალისხმევებით. **მაიკონსა** და **მაქსველს** წინ წასვლისა და საჯარიმოში ბურთის ჩასაწოდებლად აღარ ეცალათ, სტანკოვიჩი დაკარგული იყო და შედეგად, იბრაჰიმოვიჩი და **კრესპო** სრულ იზოლაციაში აღმოჩდნენ. „ინტერის" საბედნიეროდ, ვალენსიელი ფორვარდების დარტყმებს სიზუსტე აკლდათ, ერთხელ კი ბარახას **ჟულიო სეზარმა** მოუგერია.

უსახურად ჩატარებული პირველი ტაიმის მიუხედავად, მანჩინიმ შესვენების შემდეგაც იგივე შემადგენლობა გამოიყვანა. მხოლოდ 13 წუთის შემდეგ გადაწყვიტა მწვრთნელმა, რომ კრესპო კრუსით შეეცვალა, კიდევ 6 წუთიც და დაკურის მაგივრად ფიგუ შევიდა. ძანეტიმ მარჯვნივ გადაინაცვლა, სტანკოვიჩმა მარცხნივ, პორტუგალიელმა კი გამთამაშებლის ადგილი დაიკავა. „ინტერი" როგორც იქნა, ათამაშდა. ახლა უკვე ის დომინირებდა და 75-ე წუთისთვის ყველაზე სახიფათო მომენტიც შექმნა, როცა მატერაცის თავური მარჩენამ ცარიელი კარის ხაზიდან გამოიტანა. „ნერაძური" თავგანწირულ იერიშებზე გადავიდა და უკან სივრცეები გახსნა. „ვალენსიას" რამდენჯერმე უნდა გაეტანა, მაგრამ უამისოდაც სრულიად დამსახურებულად გავიდა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში. მანჩინის ევროპულ ამბიციებს წერტილი დაესვა, „ინტერი" თავის პატარა იტალიურ სამფლობელოში ბრუნდება.

*„ვალენსიაში მოსაგებად მივდივართ, მეოთხედფინალში ჩვენ გავალთ"* – იძახდა მანჩინი თამაშის წინ. თამაშის შემდეგ კი ეს თქვა: *„ტურნირს იმიტომ გამოვეთიშეთ, რომ „ვალენსიამ" მილანში ორი ბურთის გატანა შეძლო. მაშინ უყურადღებოდ ვითამაშეთ და საზღაური დღეს გადავიხადეთ, მიუხედავად იმისა, რომ ის 2:2 რეალობას არ ასახავდა. დღეს დაგვაკლდა ის, რისი ნაკლებობაც არასდროს გვაქვს – გოლი. ერთი გოლი სიტუაციას რადიკალურად შეცვლიდა, რადგან „ვალენსიას" იძულებულს გახდიდა, რომ გახსნილი ფეხბურთი ეთამაშა. ფიზიკურად კარგ ფორმაში ვიყავით, თამაში ჩვენ მიგვყავდა, „ვალენსია" კი, პირველ რიგში, დაცვაზე ფიქრობდა, თან რვა ფეხბურთელით, მხოლოდ ბოლო წუთებზე წავიდა შეტევაში, როცა სივრცეები გავუხსენით. საგოლე მომენტები გვქონდა, სამწუხაროდ, ვერ გამოვიყენეთ. არ გაგვიმართლა იმ მხრივაც, რომ ტრავმის გამო ვიეირა დავკარგეთ. ასეთ გადამწყვეტ მომენტში პატრიკი უმნიშვნელოვანესი იქნებოდა. მაგრამ ისეთი ფეხბურთელებიც გვყავდა, ვინც საუკეთესო კონდიციაში არ იყო. მაგალითად, დაკური. ამან გადამაწყვეტინა, რომ ცენტრში მის მაგივრად ბურდისო დამეყენებინა. საყრდენად ძალებით სავსე ფეხბურთელი მჭირდებოდა, განსაკუთრებით იმ მომენტებში, როცა მაქსველი და მაიკონი შეტევაში ჩაერთვებოდნენ. დასანანია, რომ ჩემპიონთა ლიგას მაინცა და მაინც იმ დროს ვემშვიდობებით, როცა ჩემპიონატში დიდი უპირატესობა მოვიპოვეთ და საშუალება მოგვეცა, რომ მთელი ძალები ევროპაზე გადაგვეტანა. ასეა თუ ისე, დღეს ჩემი გუნდით ვამაყობ: ბიჭებს შეუძლიათ, რომ გზა თავაწეულებმა გააგრძელონ, ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩენა მაინც ვერ დააკნინებს ამ სეზონს, რომელიც „ინტერისთვის" კვლავაც არაჩვეულებრივად რჩება."*

**კიკე სანჩეს ფლორესი**: *„ვიცოდი, რომ ეს არ იქნებოდა შეხვედრა იმ გულშემატკივრისთვის, ვისაც სუსტი გული და ნერვები აქვს. ბიჭებს დავავალე, რომ კონტრშეტევებზე არ ეთამაშათ, რადგან „ინტერის" საჯარიმოსთან ახლოს მიშვება არ შეიძლებოდა. საბოლოოდ, კარგად გამოვიყენეთ ის გარემოება, რომ „ინტერი" შეტევაში მთელი გუნდით წავიდა. ჩემი გუნდიდან არავის გამოყოფა არ მინდა, დღეს ყველამ დიდებულად ითამაშა. ურთულესი შეხვედრა იყო, მაგრამ კიდევ არ მჯერა, რომ მომდევნო წრეში ვართ. მეოთხედფინალი კიდევ უფრო რთული იქნება, ევროპის საუკეთესო რვა გუნდს შორის ყოფნა დიდი პასუხისმგებლობაა."*

| ლიონი-რომა | 0:2 (0:0) |
|---|---|

**ლიონი**: კუპე, რევეიერი (69. ბენზემა), კრისი, სკილაჩი, აბიდალი, ა. დიარა (46. კალსტრიომი), ტიაგო, ჟუნინიო, მალუდა, ფრედი, გოვუ (46. ვილტორი).

**რომა**: დონი, კასეტი, მექსე, კივუ, ტონეტო, დე როსი, პისარო, ტადეი, პეროტა, მანსინი (89. ფატი), ტოტი.

**გოლები**: 0:1 ტოტი (22), 0:2 მანსინი (44)

**მაყურებელი**: 40 000

**არბიტრი**: მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

„რომაული სასწაული", „რომაული შედევრი", „სუპერ რომა". იტალიური გაზეთები ერთმანეთს ეჯიბრებიან, რომ „რომას" ამ წარმატებას ლამაზი ეპითეტი შეურჩიონ. თამაშის წინ რომაელი ფეხბურთელების საუბრებში ხშირად იყო სიტყვები „ისტორია" და „ისტორიული". და ეს შემთხვევით არ ყოფილა: 23-წლიანი პაუზის შემდეგ „რომა" ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალშია. ცოტა მოულოდნელად, მაგრამ ზედამსახურებულად. „ჯალოროსიმ" მართლაც რომ იდეალური შეხვედრა ჩაატარა და იტალიური საქმეც გააკეთა. „ინტერი", რომელიც ჩემპიონატში ასე დომინირებს, ევროპაში შერცხვა. „რომაც" რომ გავარდნილიყო, იტყოდნენ, აი, სულ ეს არის თქვენი იტალიის ჩემპიონატის დონეო. მაგრამ ახლა ველარ იტყვიან, იმიტომ, რომ მეორეადგილოსანმა გუნდმა დიდ ფავორიტად გამოცხადებული „ლიონი" შინ ზედიზედ 18 ჩემპიონთალიგურ შეხვედრაში რომ არ წაეგო, მიწასთან გაასწორა. **ტოტისა** და **მანსინის** გოლებით, სტუმრებმა საფრანგეთის ჩემპიონები თავიდანვე გაგუდეს, მეორე ტაიმში კი აკონტროლეს. რომაელებში ვინმეს გამორჩევა ძნელია. ყველა ბრწყინვალე იყო, ყველამ საკუთარ თავს აჯობა. მაგალითისთვის, **მექსემ** ისე ითამაშა, რომ თანამემამულე მიმომხილველები პირღია დატოვა. „სულ ასე თამაშობს? ეს ახლავე ნაკრებშია ასაყვანი" – იძახდნენ თურმე ფრანგი ჟურნალისტები.

მოკლედ, ტოტალური გამარჯვება: თამაში, კლასი, ხასიათი, თავდაჯერებულობა. ესენი არ იყვნენ იტალიელი პროვოკატორები, როგორც ფრანგები მოიხსენიებენ ბერლინური ფინალის შემდეგ. ბოლოსკენ მასპინძლებმა დაკარგეს მოთმინება და **ფრედმა კივუს** ორჯერ იდაყვი ისე ჩაარტყა, რომ ცხვირიდან სისხლი ადინა. მაგრამ **მეხუტო გონსალესმა** ვერ დაინახა. სამაგიეროდ, 0:0-ზე არარსებული წესების დარღვევა დაინახა და **დე როსის** წმინდათაწმინდა გოლი გაუუქმა – ტოტიმ მცველს ხელი ჰკრა და დე როსის ისე გადააწოდა ბურთიო. მალე **პეროტაზე** დააფიქსირა თამაშგარე, რომელიც მხოლოდ მან და მისმა თანაშემწემ დაინახეს. იგივე პეროტას წაქცევისთვის ესპანელმა რეფერიმ მეორე ტაიმში 11-მეტრიანი არ დანიშნა. მაგრამ არა უშავს: 2:0, მედიდური და შოკირებული „ლიონი" ევროპის მიღმაა. მხოლოდ **ჟუნინიომ** ითამაშა ისე, როგორც ჟუნინიოს ეკადრება. ბრაზილიელი ცდილობდა, თავისი გუნდის თამაში დაელაგებინა, მაგრამ საკმარისი არ აღმოჩნდა.

მე-6 წუთზე დე როსის გოლი გაუუქმეს, მაგრამ „რომამ" იგრძნო, რომ ყველაფერი გამოუვიდოდა, თუ გაბედავდა. „ლიონის" პასუხი ჟუნინიოს ორი მეტ-ნაკლებად სახიფათო დარტყმა იყო. „რომამ" კი მეტოქეს აქილევსის ქუსლი მარჯვენა ფლანგზე, კერძოდ **რევეილერის** სახით უპოვა. შემთხვევითი არ იყო, რომ ორივე გოლს სათავე იქედან დაედო. პირველი 22-ე წუთზე გავიდა, როცა **ტონეტომ** რევეილერს ჩაუქროლა და საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც ყველასგან მივიწყებულმა ტოტიმ თავი დაჰკრა და გაიტანა. 44-ე წუთზე ტოტიმ გრძელი გადაცემით იპოვა მანსინი, დანარჩენი კი იყო სამბა: ბრაზილიელმა რევეილერს ფინტების კასკადით თავბრუ დაახვია (ბურთს ფეხები 5-ჯერ გადაატარ-გადმოატარა), მერე კი ძლიერად დასცხო და ახლო კუთხეში გაიტანა. ეს იყო პირველი ჩემპიონთალიგური გოლი მანსინის კარიერაში: უკეთეს მომენტსა და უკეთეს ფორმას ვერც იპოვიდა.

**ულიეს** ისღა რჩებოდა, რომ შესვენების შემდეგ ახალი ხალხი გამოეყვანა. თამაშის სცენარი შეიცვალა. დასაწყისში **დონის** ორი სასწაულის ჩადენა მოუხდა ჯერ **ვილტორდის** და მერე ჟუნინიოს დარტყმების მოსაგერიებლად. ცოტა ხანში **კალსტრიომს** აულო ტყვიასავით გასროლილი ბურთი, რის შემდეგაც საქმეში კივუ და მექსე ჩაერიენ და საჯარიმოში ალავინ შეუშვიათ. „ლიონი" უკანმოუხედავად და ქაოტურად უტევდა, მაგრამ ზემოთჩამოთვლილი მომენტების გარდა, კუთხურების მეტს ვერაფერს გამორჩა. ის კი არა, „რომას" მიეცა რამდენიმე შანსი, რომ კონტრშეტევებზე კიდევ გაეტანა. არ გამოუვიდა, მაგრამ ესეც საკმარისი იყო.

**ლუჩანო სპალეტი**: *„უზომოდ ბედნიერი ვარ. ჩემმა ბიჭებმა უნაკლოდ ითამაშეს. შესაფერის მომენტში იმას აკეთებდნენ, რაც უნდა გაეკეთებინათ. განსაკუთრებულად გამოვყოფდი იმ შეტევას, რომელსაც მეორე გოლი მოჰყვა. ეს კომბინაცია საფეხბურთო სახელმძღვანელოებშია შესატანი. ასევე უნდა აღვნიშნო ჩემი ფეხბურთელების გამბედაობა და სიმშვიდე, მეტოქის პროვოკაციებს ერთხელაც არ აყოლიან. არადა, პროვოცირების მცდელობა არაერთი იყო, კივუს ცხვირი გაუტეხეს, მაგრამ ბიჭებმა ნერვები მოთოკეს. ეს ჩვენი კურთხევის საღამო იყო, გუნდმა უდიდესი საჩუქარი გამიკეთა (გუშინ სპალეტი 48 წლის გახდა). დავამტკიცეთ, რომ „რომა" ის გუნდია, რომელსაც ნებისმიერის დამარცხება შეუძლია. იტალიაში იძახდნენ, რომ ჩავარდნა გვქონდა, მაგრამ არ არის მართალი. არ შეიძლება, ჩავარდნა ეწოდოს იმას, როცა გუნდი 14 შეხვედრაში ერთხელ აგებს. მას შემდეგ, რაც კვირას ასკოლიში ფრე ვითამაშეთ, ვიღაც-ვიღაცეებმა კრიზისზე დაიწყეს ლაპარაკი, რითაც უნდოდათ, რომ „ლიონთან" თამაშის წინ გუნდში დაძაბულობა შემოეტანათ. კრიზისზე საუბარიც ზედმეტია, ამ გუნდმა გააკეთა ის, რაც უნდა გაეკეთებინა, მათ შორის ჩემპიონატში."*

**ჟერარ ულიე**: *„დღეს „რომამ" უკეთესად ითამაშა. დაცვაში ორი შეცდომა დავუშვით და ორივეჯერ დავისაჯეთ. შეტევაში სიმწვავე გვაკლდა, კოლექტიური მოქმედებებიც არ გვივარგოდა. ასეთი დონის თამაშებში უნდა ეცადო, რომ ინიციატივა არ დათმო და მანამდე შეუტიო, სანამ გოლს არ გაიტან. პრობლემა ის იყო, რომ „რომა" არა მხოლოდ კარგად იცავდა თავს, არამედ შეტევაშიც სწრაფად გადადიოდა. უნდა ვაღიარო, რომ მეტოქემ აშკარად გვაჯობა. იტალიელებს ბრწყინვალე გუნდი ჰყავთ, ამიტომ სინანულის მიზეზი არ მაქვს."*

| ჩელსი-პორტუ | 2:1 (1:1) |
|---|---|

**ჩელსი**: პ. ჩეხი, ლ. დიარა (66. პაულო ფერეირა), კარვალიო, ე. კოული, მაკელელე (46. ობი მიკელი), ბალაკი, ლემპარდი, ესიენი, რობენი, დროგბა, შევჩენკო (85. კალუ).

**პორტუ**: ელტონი, პეპე, ფუჩილე, პაულო ასუნსაო, მ. ჩეხი (56. ლუზადა), ბრუნო ალვეში, მაირელეში (56. და სილვა), ლუჩო გონსალესი, რიკარდო კოშტა, კვარეშმა, ლოპესი (82. ბრუნო მორაეში).

**გოლები**: 0:1 კვარეშმა (15), 1:1 რობენი (48), 2:1 ბალაკი (79)

**მაყურებელი**: 42 877

**არბიტრი**: რობერტო როზეტი (იტალია)

„პორტუს" თავკაცი **ჟესუალდო ფერეირა** მწვრთნელის რანგში მერვედ დაუპირისპირდა თავის თანამემამულე **ჟოზე მოურინიოს** და ისევ ვერ მოუგო. თუმცა აქ ისიც აღსანიშნავია, რომ გუნდების სიძლიერის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ფერეირა და მოურინიო არათანაბარ მდგომარეობაში იყვნენ. პირველ ტაიმში „ჩელსი" თავის თავს არ ჰგავდა და ის, რომ „პორტუმ" დაწინაურება მოახერხა, სულაც არ გახლდათ გასაკვირი. სამაგიეროდ, ლონდონელებმა მეორე ტაიმში მოუმატეს და საწადელს მაინც მიაღწიეს, თუმცა უნდა ითქვას, რომ გაუმართლათ, ანგარიში რომ გაათანაბრეს – **არიენ რობენის** გოლი „პორტუს" მეკარე **ელტონის** სინდისზეა.

მოურინიომ ზუსტად იგივე შემადგენლობა დააყენა, რომლითაც „პორტსმუთს" 2:0 მოუგო. რაკი „არისტოკრატებს" ისევ აკლდათ **ჯონ ტერი**, პორტუგალიელმა მწვრთნელმა დაცვის ცენტრში **რიკარდო კარვალიოს** კვლავ **მიკაელ ესიენი** შეუწყვილა. ორი კვირის წინანდელი მატჩისგან განსხვავებით, **ჟესუალდო ფერეირამ** ძირითად შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილებას მიმართა: დაცვაში **ფუსილემ** მარცხნიდან მარჯვნივ გადაინაცვლა, სადაც მან ტრავმირებული **ბოსინგვა** შეცვალა. ძირითადში ვიხილეთ **მარეკ ჩეხიც**. სასტარტო შემადგენლობაში აღარ უთამაშიათ თავდამსხმელებს **ელდერ პოშტიგასა** და **ადრიანოს**, სამაგიეროდ ფერეირამ ორი საყრდენი ნახევარმცველით თამაში ამჯობინა (**პაულო ასუნსაოს** გვერდით ამ პოზიციაზე ადგილი **რიკარდო კოშტამ** დაიკავა).

მართალია, 0:0 მასპინძლებს აწყობდათ, მაგრამ ლონდონელებმა თავიდანვე ანგარიშის შენარჩუნებაზე ზრუნვა არ დაიწყეს და მედგრად შეუტიეს, მაგრამ „პორტუმ" მყისვე დაამტკიცა, რომ ლონდონელებს, მისი დაცვის გარღვევა გაუჭირდებოდათ - ფერეირას შეგირდები ორგანიზებულად თამაშობდნენ. თუმცა ვერც იმას ვიტყვით, რომ პორტუგალიელები მხოლოდ დაცვაზე ზრუნავდნენ – „პორტუ" უტევდა კიდეც და გრძელი პასებით ცდილობდა ფონს გასვლას. ანგარიში მე-15 წუთზე გაიხსნა: **ლუჩო გონსალესმა** შესანიშნავი პასით დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა **რიკარდო კვარეშმა**, რომელმაც სისწრაფის ხარჯზე გაასწრო ლონდონური გუნდის მცველებს, **ჩეხთან** ფაქტობრივად პირისპირ გავიდა და ძლიერი დარტყმით გაიტანა.

ამ გოლის შემდეგ თამაშს სენსაციის სუნი აუვიდა და არცაა გასაკვირი, „ჩელსის" ფეხბურთელები ცოტათი შოკირებულები რომ ჩანდნენ. მოურინიოს ბიჭებმა თამაში ოდნავ ქაოტური შეტევებით განაგრძეს და ელტონის კართან რამდენიმე მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტიც შექმნეს. ანგარიშის გათანაბრების შანსი **დიდიე დროგბასა** და **ფრენკ ლემპარდს** ჰქონდათ, ასევე **მიხაელ ბალაკს**, რომელმაც ელტონის შეცდომით ვერ ისარგებლა და ბურთი კარს ახლო მანძილიდან ააცილა. მაგრამ ასეთი შეტევები არ გახლდათ საკმარისი იმისთვის, რომ „ჩელსის" მუდმივი ზეწოლის ქვეშ ჰყოლოდა მეტოქე. ლონდონელებს კი უიდეობა ეტყობოდათ. 35-ე წუთზე რობენმა იტალიელი არბიტრის **რობერტო როსეტის** სიმულაციაზე წამოგება სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და გამოცდილი მსაჯისგან გაფრთხილება მიიღო.

შესვენებაზე მოურინიომ **კლოდ მაკელელე** სკამზე დასვა, მის ნაცვლად კი თამაშში **ობი მიკელი** ჩართო - ნიგერიელი ხომ უფრო მოიერიშე ნახევარმცველია. მეორე ტაიმის დაწყებიდან ზუსტად 3 წუთში „ჩელსიმ" ანგარიში გაათანაბრა და როგორც გითხარით, ლონდონელები ამის გამო „პორტუს" მეკარეს უნდა უმადლოდნენ. ელტონმა რობენის დარტყმის შემდეგ ბურთი ხელებში ვერ შეიმაგრა და „ჩელსის" ძალიან საჭირო გოლი, ფაქტობრივად, აჩუქა. ამის შემდეგ თამაში უფრო ჩაკეტილი და უხეში გახდა. ხშირი იყო პაუზები, რაც იმას უნდა დავაბრალოთ, რომ ორივე გუნდის ფეხბურთელები ძალიან ნერვიულობდნენ. რისკზე წასვლას ვერცერთი მხარე ვერ ბედავდა, რაც სავსებით გასაგებია, რადგან დიდი შანსი იყო, რომ რისკი ორივე გუნდს ძვირად დაჯდომოდა.

საბოლოო ჯამში, „ჩელსიმ" „პორტუს" მაინც კლასით აჯობა, რაც იმ შესანიშნავ კომბინაციაში გამოიხატება, რომელიც მოურინიოს გაწვრთნილებმა 79-ე წუთზე გაითამაშეს და რომელსაც ბალაკის გადამწყვეტი გოლი მოჰყვა. საჯარიმოს ხაზთან დროგბამ საჰაერო ორთაბრძოლა მოიგო და ბურთი **ანდრეი შევჩენკოსკენ** გაგზავნა, რომელმაც ასევე თავით ითამაშა და ბურთი იქვე მდგარ ბალაკს დაუგდო, გერმანელმა კი ვარდნაში, მარცხენა ფეხით, ახლო მანძილიდან დაურტყა ელტონს – ეს უკანასკნელი უძლური გახლდათ. აღსანიშნავია, რომ ამ გოლით გერმანიის ნაკრების კაპიტანმა ხანგრძლივი მშრალი სერია შეწყვიტა – ბალაკმა 17 დეკემბრის შემდეგ პირველად იხეირა.

**ჟოზე მოურინიო**: *„პირველ ტაიმში მეტოქემ აშკარად გვაჯობა, სამაგიეროდ, მეორე ნახევარში მოვუმატეთ და საწადელს მაინც მივაღწიეთ, რის გამოც საბოლოო ჯამში ყველაფრით კმაყოფილი ვარ. შესვენებაზე ბიჭებს ვუთხარი, მიუხედავად იმისა, რომ ვაგებთ და ამის გამო უდიდესი ზეწოლის ქვეშ ხართ, მეორე ტაიმს მაინც სიხარულით უნდა შეხვდეთ-მეთქი. ჩემი გუნდი მეორე ნახევარში მენტალურად ძალიან ძლიერი იყო და მოგებაც დაიმსახურა. ვფიქრობ, „პორტუ" უნდა ამაყობდეს იმით, რომ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში „ჩელსის" ტოლი არაფერში დაუდო და საბოლოოდ დამარცხდა გუნდთან, რომელიც ძალიან ძლიერია. მიხარია, რომ გადამწყვეტი გოლი ბალაკმა გაიტანა – ეს მას კიდევ უფრო გააძლიერებს."*

**ჟეზუალდო ფერეირა**: *„პირველ ნახევარში ჩვენზე გაცილებით ძლიერ მეტოქეს აშკარად ვაჯობეთ და ის გოლი, რომელიც კვარეშმამ მატჩის დებიუტში გაიტანა, აბსოლუტურად დამსახურებული იყო. ის, რომ საბოლოოდ „ჩელსიმ" მოიგო, მოურინიოს მიერ შესვენებაზე განხორციელებული ცვლილების დამსახურებაა (მიკელი მაკელელეს ნაცვლად). სამწუხაროა, რომ ჩემპიონთა ლიგას ვემშვიდობებით, ჩვენ ნამდვილად შეგვეძლო ლონდონური გრანდის გაგდება. ვამაყობ ჩემი ფეხბურთელების მონდომებითა და შემართებით. მომავალ სეზონში ფურორის მოხდენას შევეცდებით."*



ჩელსი-პორტუ. მიხაელ ბალაკის გამარჯვების გოლი

ჰამბურგი

# საიქიოდან მობრუნებულნი

## რა შეცვალა AOL არენაზე მისულმა ახალმა მწვრთნელმა ჰუუბ სტივენსმა?



ჰამბურგელებს მეორე სუნთქვა გაეხსნათ

„ჰამბურგის" ბოსებმა თომას დოლი მთავარი მწვრთნელის პოსტიდან როგორც კი გაათავისუფლეს, გუნდმა მოგებები დაიწყო. მაინც რას აკეთებს HSV-ს ახალი დამრიგებელი **ჰუუბ სტევენსი** ისეთს, რასაც დოლი ვერ აკეთებდა? ამ კითხვაზე ჩრდილოგერმანული გუნდის ფეხბურთელები მოკლედ და მაინც გაუგებრად პასუხობენ, სტევენსი თომასისგან კარდინალურად განსხვავდება, თუმცა არც დოლი იყო ცუდი სპეციალისტიო. ყოველ შემთხვევაში, ფაქტი ის გახლავთ (რაც გარედან ჩანს), რომ სტევენსმა „ჰამბურგში" მხოლოდ ტაქტიკა შეცვალა – თუკი დოლი ორი ფორვარდით თამაშობდა, ჰუუბი ბუნდესლიგის უკანასკნელ დინოს მხოლოდ ერთი თავდამსხმელით ათამაშებს ხოლმე.

სტევენსის დანიშვნის შემდეგ „ჰამბურგმა" 5 მატჩი გამართა, აქედან 4 მოიგო და მხოლოდ ერთში დამარცხდა. და ეს იმ დროს, როცა პირველ წრეში HSV-ს მოგება ენატრებოდა და ქულას ქულაზე კარგავდა. თუმცა იმ ერთი მარცხისთვის, რომელიც ჩრდილოელებმა სტევენსის დებიუტში განიცადეს (ბერლინში 1:2), მწვრთნელს პასუხს ვერავინ მოსთხოვს, რადგან ჰუუბი მაშინ „ჰამბურგში" სულ 1 დღის დანიშნული იყო და ფეხბურთელებს ხეირიანად არც კი იცნობდა – მათი შესაძლებლობების ცოდნაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

სწორედ „ჰერტასთან" მარცხის შემდეგ შეცვალა სტევენსმა ტაქტიკა და 4-4-2-იდან 4-4-1-1-ზე გადაერთო. შედეგმაც არ დააყოვნა: HSV-მ ჯერ დორტმუნდის „ბორუსია" გაანადგურა (3:0), შემდეგ, ყველასთვის მოულოდნელად, ჩემპიონობის მაძიებელ „ვერდერს" აართვა 3 ქულა (2:0 ბრემენში), მერე ფრანკფურტის "აინტრახტს" 3:1 მოუგო, წინა პარასკევს კი, როგორც იცით, „შალკეც" გაამწარა (2:0 გელზენკირხენში). პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: ის, რაც მიმდინარე სეზონში ვერცერთმა გერმანულმა კლუბმა ვერ მოახერხა (საუბარია გელზენკირხენიდან და ბრემენიდან 3 ქულის წაღებაზე), მაინც და მაინც იმ „ჰამბურგმა" შეძლო, რომელიც პირველ წრეში მთელ გერმანიას ეცოდებოდა.

ყველაფერთან ერთად HSV-მ გასავარდნ ზონასაც დააღწია თავი და თუკი „ჰერტასთან" წაგების შემდეგ ბოლო ადგილზე, უიმედოდ იმყოფებოდა, ახლა, ზედიზედ 4 თამაშის მოგების შემდეგ, გუნდი მე-12 ადგილზეა. თუმცა ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ „ჰამბურგი" მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებას საბოლოოდ გადაურჩა, რადგან მე-16 ადგილზე მყოფ „აინტრახტს" მხოლოდ 1 ქულით უსწრებს. მაგრამ სტევენსის მოსვლის შემდეგ გუნდი იმდენად დალაგებული და შემართულია, რომ მით უმეტეს ასეთი მნიშვნელოვანი თამაშების მოგების შემდეგ, ცოტას თუ ეპარება ეჭვი იმაში, რომ ჩრდილოელები ელიტაში დარჩებიან.

მომდევნო ტურში „ჰამბურგი" „ლევერკუზენს" მასპინძლობს – გუნდს, რომელმაც ასევე გაამწარა „შალკე" და ჩემპიონობის კიდევ ერთი მაძიებელი „შტუტგარტი". გელზენკირხენულ მატჩში HSV-ს კაპიტანი და ლიდერი **რაფაელ ვან დერ ვაარტი** დაუშავდა და თუ გახსოვთ, მატჩის მიწურულს სტევენსი იძულებული გახდა, ჰოლანდიელი ნახევარმცველი მოედნიდან გაეყვანა. ექიმებმა ვან დერ ვაარტს კუნთის დაჭიმვის დიაგნოზი დაუსვეს, რითაც „ლევერკუზენთან" რაფაელის ასპარეზობა ფაქტობრივად გამოირიცხა, მაგრამ უკანასკნელი ინფორმაციით, შესაძლოა ჰოლანდიელმა „ფარმაცევტების" წინააღმდეგ მაინც ითამაშოს. თვითონ 24 წლის ნახევარმცველი ამბობს, რომ ეს გამორიცხული არაა, რადგან თავს კარგად გრძნობს. მაგრამ თუ ექიმები სტევენსს 100-პროცენტიან გარანტიას არ მისცემენ, მწვრთნელი ლიდერზე უარს იტყვის, რადგან ზედმეტ რისკზე წასვლა არ სურს – ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა, ვან დერ ვაარტმა უფრო სერიოზული ტრავმა მიიღოს და გაცილებით დიდი ხნით გამოაკლდეს გუნდს.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ თუ ჰოლანდიელი „ლევერკუზენთან" ვერ ითამაშებს, „ჰამბურგს" ლიდერთან და კაპიტანთან ერთად ის ფეხბურთელი დააკლდება, რომელმაც ბოლო 4 თამაშში 5 გოლის გატანა შეძლო და რომელიც გუნდის სული და გულია. აქვე იმასაც გეტყვით, რომ „შალკესთან" შეხვედრაში HSV-ს მცველი **გი დემელიც** დაუშავდა, რომელიც ლაზარეთში ერთ თვეს გაატარებს.

თუმცა, რამდენი თამაშიც არ უნდა მოიგოს „ჰამბურგმა" ჩემპიონატის დასკვნით ფაზაში, ფაქტია, რომ ეს სეზონი ამ გუნდისთვის ბოლოს მაინც ჩაგდებულად გამოცხადდება. მიუხედავად საშინელი დავრდომისა, რაც HSV-მ მიმდინარე სეზონში განიცადა, საკვირველია, მაგრამ ფაქტი, რომ გუნდის ფინანსური მდგომარეობა მაინც საგრძნობლად გაუმჯობესდა. კლუბის ფინანსურ მმართველებს ახლა უკვე ეჭვი აღარ ეპარებათ, რომ „ჰამბურგი" 2007 წელს სარეკორდო მოგებით დაასრულებს. ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობამ და ასევე **დანიელ ვან ბუიტენის** „ბაიერნში", ხოლო **ხალიდ ბულარუზის** „ჩელსიში" გაყიდვამ, გუნდის ბიუჯეტი 103.9 მილიონიდან 135 მილიონ ევრომდე გაზარდა. ბოსებმა ზამთარში **ფრანკ როსტისა და ივიცა ოლიჩის** შეძენა (ორივე ერთად 4 მილიონი დაუჯდათ) სწორედ მყარი ფინანსური მდგომარეობის გამო გადაწყვიტეს.

**გოტფრიდ ლენცი**

სკანდალი

# აილტონის ზარბაზანი იყიდება

## ბრაზილიელი თავდამსხმელი ვალებში იხრჩობა...



აილტონი

ვებგვერდზე, www.ebay.de სადაც ფაქტობრივად ყველაფრის ყიდვაა შესაძლებელი, ბრაზილიელი თავდამსხმელის, ბუნდესლიგის ყოფილი ბომბარდირის, ამჟამად ბელგრადის „პარტიზანიდან" „ციურიხში" განათხოვრებული **აილტონის** ის ზარბაზანი გამოჩნდა, რომელიც მან 2003/04 წლების სეზონში გერმანიის ჩემპიონატში გატანილი 28 გოლისთვის მიიღო. ეს არის ტრადიციული ჯილდო, რომელსაც ბუნდესლიგის ბომბარდირები იღებენ ხოლმე. ხსენებულ ვებ-გვერდზე მითითებულია, რომ აილტონის კუთვნილ ნივთს 60 წლის **ვერნერ ჰელენკესი**, თავდამსხმელის ყოფილი მრჩეველი ყიდის. აილტონის ზარბაზანზე აუქციონი ერთი კვირის დაწყებულია და უკანასკნელი შეთავაზება 25 000 ევრო გახლავთ, მაგრამ ჰელენკესი მის გაყიდვას არ ჩქარობს და იმედი აქვს, რომ სულ მალე მეტს შესთავაზებენ.

როგორ აღმოჩნდა აილტონის საკუთრება მისი ყოფილი მრჩევლის ხელში და რატომ ყიდის ეს უკანასკნელი ფეხბურთელის ჯილდოს? ყველაფერში გაგარკვევთ. საქმე ის გახლავთ, რომ აილტონს ჰელენკესის ვალი აქვს - დაახლოებით 200 000 ევრო და რაც მთავარია, ფეხბურთელს ვალის დაბრუნება არ სურს. ჰელენკესის თქმით, ეს ის თანხაა, რომელიც სატელეფონო საუბრების გადასახადებით, სასტუმროების საფასურებითა და სხვა ასეთი ხარჯებით დაგროვდა. ამიტომაც, 60 წლის მრჩეველმა გადაწყვიტა, ფეხბურთელს მისი პირადი ნივთები აუქციონზე გაუყიდოს. ბომბარდირობისთვის მიღებული ზემოთ ხსენებული ჯილდო და სხვა ნივთები ჰელენკესს ფეხბურთელმა თვითონ ჩააბარა. ეს 2006 წლის ზაფხულში მოხდა, იმ დროს, როცა აილტონი „ჰამბურგიდან" „პარტიზანში" გადადიოდა. მაშინ 33 წლის ბრაზილიელმა ფორვარდმა თავისი ნივთები დროებით ჰელენკესს დაუტოვა.

*„ეს ნამდვილი სისასტიკეა. მისი ვალი არ მაქვს, პირიქით, თვითონ მატყუებდა ყველაფერს და ახლა უნდა, რომ ფული გამომძალოს. ადვოკატი უკვე ავიყვანე და ჰელენკესს ნამდვილად არ მივცემ იმის უფლებას, რომ ჩემი კუთვნილი ჯილდო გაყიდოს. ეს ზარბაზანი ძალიან მიყვარს და ყოველთვის იმ შესანიშნავ სეზონს მახსენებს, როცა „ვერდერთან" ერთად გერმანიის ჩემპიონი და საუკეთესო ბომბარდირი გავხდი,"* – აცხადებს აილტონი, რომელსაც, სხვათა შორის, „ციურიხში" შესანიშნავი დებიუტი ჰქონდა (ორი თამაში, ორი გოლი).

## რუსეთის ჩემპიონატის კალენდარი

**I ტური**

10 მარტი
ლუჩ ენერგია-მოსკოვი
ტომი-ნალჩიკი
კრილია-ხიმკი

11 მარტი
დინამო-სპარტაკი
ამკარი-როსტოვი
ზენიტი-სატურნი
ყუბანი-ლოკომოტივი
ცსკა-რუბინი

**II ტური**

17 მარტი
ლოკომოტივი-რუბინი
ხიმკი-ყუბანი
ნალჩიკი-კრილია
მოსკოვი-ტომი

18 მარტი
სატურნი-ლუჩ ენერგია
როსტოვი-ზენიტი
სპარტაკი-ამკარი
დინამო-ცსკა

**III ტური**

31 მარტი
ამკარი-დინამო
ზენიტი-სპარტაკი
ტომი-სატურნი
კრილია-მოსკოვი
რუბინი-ხიმკი
ცსკა-ლოკომოტივი

1 აპრილი
ლუჩ ენერგია-როსტოვი
ყუბანი-ნალჩიკი

**IV ტური**

7 აპრილი
მოსკოვი-ყუბანი
სატურნი-კრილია
დინამო-ლოკომოტივი

8 აპრილი
ხიმკი-ცსკა
ნალჩიკი-რუბინი
როსტოვი-ტომი
სპარტაკი-ლ. ენერგია
ამკარი-ზენიტი

**V ტური**

13 აპრილი
ყუბანი-სატურნი

14 აპრილი
ზენიტი-დინამო
ლუჩ ენერგია-ამკარი
კრილია-როსტოვი
რუბინი-მოსკოვი
ლოკომოტივი-ხიმკი

15 აპრილი
ტომი-სპარტაკი
ცსკა-ნალჩიკი

**VI ტური**

21 აპრილი
სატურნი-რუბინი
როსტოვი-ყუბანი
დინამო-ხიმკი
ამკარი-ტომი

22 აპრილი
ნალჩიკი-ლოკომოტივი
მოსკოვი-ცსკა
სპარტაკი-კრილია
ლუჩ ენერგია-ზენიტი

**VII ტური**

28 აპრილი
ლუჩ ენერგია-დინამო
ტომი-ზენიტი
ლოკომოტივი-მოსკოვი
ხიმკი-ნალჩიკი

29 აპრილი
კრილია-ამკარი
ყუბანი-სპარტაკი
რუბინი-როსტოვი
ცსკა-სატურნი

**VIII ტური**

5 მაისი
სატურნი-ლოკომოტივი
დინამო-ნალჩიკი
ამკარი-ყუბანი
ლუჩ ენერგია-ტომი

6 მაისი
მოსკოვი-ხიმკი
როსტოვი-ცსკა
სპარტაკი-რუბინი
ზენიტი-კრილია

**IX ტური**

12 მაისი
ტომი-დინამო
კრილია-ლუჩ ენერგია
ცსკა-სპარტაკი
ნალჩიკი-მოსკოვი

13 მაისი
ყუბანი-ზენიტი
რუბინი-ამკარი
ლოკომოტ.-როსტოვი
ხიმკი-სატურნი

**X ტური**

19 მაისი
სატურნი-ნალჩიკი
როსტოვი-ხიმკი
სპარტაკი-ლოკომოტ.
ლუჩ ენერგია-ყუბანი

20 მაისი
დინამო-მოსკოვი
ამკარი-ცსკა
ზენიტი-რუბინი
ტომი-კრილია

**XI ტური**

25 მაისი
ლოკომოტივი-ამკარი
ხიმკი-სპარტაკი

26 მაისი
კრილია-დინამო
ყუბანი-ტომი
რუბინი-ლუჩ ენერგია
ცსკა-ზენიტი
ნალჩიკი-როსტოვი
მოსკოვი-სატურნი

**XII ტური**

9 ივნისი
ამკარი-ხიმკი
ტომი-რუბინი
კრილია-ყუბანი

10 ივნისი
დინამო-სატურნი
როსტოვი-მოსკოვი
სპარტაკი-ნალჩიკი
ზენიტი-ლოკომოტივი
ლუჩ ენერგია-ცსკა

**XIII ტური**

16 ივნისი
რუბინი-კრილია
ცსკა-ტომი
ლ. ენერგია-ლოკომოტ.
ნალჩიკი-ამკარი
სატურნი-როსტოვი

17 ივნისი
ყუბანი-დინამო
ხიმკი-ზენიტი
მოსკოვი-სპარტაკი

**XIV ტური**

22 ივნისი
სპარტაკი-სატურნი

23 ივნისი
დინამო-როსტოვი
ზენიტი-ნალჩიკი
ლუჩ ენერგია-ხიმკი
ყუბანი-რუბინი

24 ივნისი
ამკარი-მოსკოვი
ტომი-ლოკომოტივი
კრილია-ცსკა

**XV ტური**

30 ივნისი
ლოკომოტივი-კრილია
ნალჩიკი-ლუჩ ენერგია
სატურნი-ამკარი
როსტოვი-სპარტაკი

1 ივლისი
რუბინი-დინამო
ცსკა-ყუბანი
ხიმკი-ტომი
მოსკოვი-ზენიტი

**XVI ტური**

14 ივლისი
ამკარი-სპარტაკი
ლუჩ ენერგია-სატურნი
ყუბანი-ხიმკი
რუბინი-ლოკომოტივი
ცსკა-დინამო

15 ივლისი
ზენიტი-როსტოვი
ტომი-მოსკოვი
კრილია-ნალჩიკი

**XVII ტური**

20 ივლისი
დინამო-ამკარი

21 ივლისი
სატურნი-ტომი
როსტოვი-ლუჩ ენერგია
სპარტაკი-ზენიტი

22 ივლისი
ლოკომოტივი-ცსკა
ხიმკი-რუბინი
ნალჩიკი-ყუბანი
მოსკოვი-კრილია

**XVIII ტური**

28 ივლისი
ზენიტი-ამკარი
ლ. ენერგია-სპარტაკი
რუბინი-ნალჩიკი
ლოკომოტივი-დინამო

29 ივლისი
ტომი-როსტოვი
კრილია-სატურნი
ყუბანი-მოსკოვი
ცსკა-ხიმკი

**XIX ტური**

3 აგვისტო
სატურნი-ყუბანი

4 აგვისტო
ხიმკი-ლოკომოტივი
როსტოვი-კრილია
დინამო-ზენიტი
ამკარი-ლუჩ ენერგია

5 აგვისტო
ნალჩიკი-ცსკა
მოსკოვი-რუბინი
სპარტაკი-ტომი

**XX ტური**

11 აგვისტო
ზენიტი-ლუჩ ენერგია
კრილია-სპარტაკი
ლოკომოტივი-ნალჩიკი
ხიმკი-დინამო

12 აგვისტო
ტომი-ამკარი
ყუბანი-როსტოვი
რუბინი-სატურნი
ცსკა-მოსკოვი

**XXI ტური**

18 აგვისტო
ნალჩიკი-ხიმკი
სატურნი-ცსკა
დინამო-ლუჩ ენერგია
ამკარი-კრილია

19 აგვისტო
მოსკოვი-ლოკომოტივი
როსტოვი-რუბინი
სპარტაკი-ყუბანი
ზენიტი-ტომი

**XXII ტური**

25 აგვისტო
ტომი-ლუჩ ენერგია
კრილია-ზენიტი
რუბინი-სპარტაკი
ლოკომოტივი-სატურნი

26 აგვისტო
ყუბანი-ამკარი
ცსკა-როსტოვი
ხიმკი-მოსკოვი
ნალჩიკი-დინამო

**XXIII ტური**

31 აგვისტო
მოსკოვი-ნალჩიკი

1 სექტემბერი
სატურნი-ხიმკი
დინამო-ტომი
ამკარი-რუბინი
ლუჩ ენერგია-კრილია

2 სექტემბერი
როსტოვი-ლოკომოტ.
სპარტაკი-ცსკა
ზენიტი-ყუბანი

**XXIV ტური**

21 სექტემბერი
ხიმკი-როსტოვი

22 სექტემბერი
ყუბანი-ლუჩ ენერგია
ნალჩიკი-სატურნი
მოსკოვი-დინამო

23 სექტემბერი
კრილია-ტომი
რუბინი-ზენიტი
ცსკა-ამკარი
ლოკომოტ.-სპარტაკი

**XXV ტური**

29 სექტემბერი
სპარტაკი-ხიმკი
ამკარი-ლოკომოტივი
ზენიტი-ცსკა
ლუჩ ენერგია-რუბინი

30 სექტემბერი
სატურნი-მოსკოვი
როსტოვი-ნალჩიკი
დინამო-კრილია
ტომი-ყუბანი

**XXVI ტური**

6 ოქტომბერი
ყუბანი-კრილია
ხიმკი-ამკარი
მოსკოვი-როსტოვი
სატურნი-დინამო

7 ოქტომბერი
რუბინი-ტომი
ცსკა-ლუჩ ენერგია
ლოკომოტივი-ზენიტი
ნალჩიკი-სპარტაკი

**XXVII ტური**

20 ოქტომბერი
სპარტაკი-მოსკოვი
ლოკომოტ.-ლ. ენერგია
ტომი-ცსკა

21 ოქტომბერი
როსტოვი-სატურნი
დინამო-ყუბანი
ამკარი-ნალჩიკი
ზენიტი-ხიმკი
კრილია-რუბინი

**XXVIII ტური**

27 ოქტომბერი
რუბინი-ყუბანი
ხიმკი-ლუჩ ენერგია
მოსკოვი-ამკარი
როსტოვი-დინამო

28 ოქტომბერი
ცსკა-კრილია
ლოკომოტივი-ტომი
ნალჩიკი-ზენიტი
სატურნი-სპარტაკი

**XXIX ტური**

3 ნოემბერი
სპარტაკი-როსტოვი
დინამო-რუბინი
ამკარი-სატურნი
ზენიტი-მოსკოვი
ლუჩ ენერგია-ნალჩიკი
ტომი-ხიმკი
კრილია-ლოკომოტივი
ყუბანი-ცსკა

**XXX ტური**

11 ნოემბერი
რუბინი-ცსკა
ლოკომოტივი-ყუბანი
ხიმკი-კრილია
ნალჩიკი-ტომი
მოსკოვი-ლუჩ ენერგია
სატურნი-ზენიტი
როსტოვი-ამკარი
სპარტაკი-დინამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

ლეგიონერები

# ულების თასზე აღარ დავწერთ

## ოთხი ქართველის 5 ქულა

სიენას "მონტეპასკის" მწვრთნელმა **სიმონე პიანიჯანიმ** ყაზანში კი დაიქადნა - 30-ქულიან ჩამორჩენას იტალიაში აღმოვფხვრითო, მაგრამ განმეორებითი მატჩის ბოლო წუთს სიენელები 30-ის ნაცვლად 3-ქულიანი უპირატესობით შეხვდნენ (96:93)... და მაინც დამარცხდნენ: **ლავრინოვიჩმა** და **სამოილენკომ** მე-40 წუთზე ორ-ორი ორქულიანი ჩააგდეს და "უნიქსმა" "მონტეპასკის" 97:96 სძლია.

ასე და ამგვარად ულების თასს მეოთხედფინალებიდან ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი გამოეთიშა. ყაზანელებთან ბოისას თანაგუნდელების წაგების მიზეზი პირველ რიგში თავდაჯერებულობა იყო. "უნიქსთან" მატჩამდე თავად ვოვა ამბობდა - ჩვენი მიზანი ამ თასის მოგებააო. ულების თასზე ბოლო შეხვედრაში მონტეპასკელთა სნაიპერობა **ჯოზეფ ფორტემ** იკისრა (30 ქულა ჩააგდო), ხოლო ბოისამ 12 წუთში 4-4-ქულა-მოხსნას 1 ჩაჭრა ნაუმატა.

სიენელებისგან განსხვავებით, ევროთასის ფლეი ოფი წარმატებით დაიწყო **ვიქტორ სანიკიძის** "ესტუდიანტესმა", რომელმაც შინ მოსკოვის ოლქის "დინამოს" "მრგვალი" ანგარიშით სძლია - 80:70. თუმცა აქვე უნდა დავამატოთ, რომ ამ ტურნირზე ქულათა სხვაობას მნიშვნელობა არ ენიჭება - მომდევნო ეტაპზე ის გუნდი გავა, რომელიც ორ მატჩს მოიგებს.

ასე რომ, "ესტუს" ნახევარფინალში გასვლის შანსი 9 მარტს რუსეთში მიეცემა. თუმცა არც წაგება იქნება ტრაგედია, რადგან საჭიროების შემთხვევაში, მესამე მატჩი კვლავ მადრიდში აიმართება (14 მარტს).

ალბათ გაგიკვირდებათ, საუბარი ვიქტორ სანიკიძეთი რომ არ დავიწყეთ. მასზე სალაპარაკო ბევრი არაფერია - მწვრთნელმა მის თამაშში ჩართვისგან თავი შეიკავა.

ბალტიის თასზე **გიორგი ცინცაძის** "ტარტუ როკმაც" წარუმატებლად იასპარეზა და **სერგო ათუაშვილის** "ნეპტუნმაც". პირველმა ლატვიაში "ლიეპაიასთან" 84:92 წააგო, მეორემ სტუმრად ლიტვის "ვანევეჟისთან" - 84:85. ცინცაძემ მხოლოდ 11 წუთი ითამაშა და მონაგარში მხოლოდ 2 ფოლი და 1 ჩაჭრა ჩაიწერა. ათუაშვილს შედარებით უკეთესი მარგი ქმედების კოეფიციენტი ჰქონდა - 2 წუთში თითო ქულა-მოხსნა.

ბალტიის თასი. 11 ტურის შემდეგ. **1. როკი (ესტონეთი)-9 მოგება,** 2. ლიეპაია (ლატვია)-8 / 3. კალევი (ესტონეთი)-7, 4. ნევეჟისი (ლიტვა)-6, **5. ნეპტუნასი (ლიტვა)-4,** 6. საკალაი (ლიტვა)-4, 7. პანევეჟისი (ლიტვა)-3, 8. ატლეტასი (ლიტვა)-2



ფაჩულია სან ანტონიოსთან მატჩში. 21 - ტიმ დანკანი

ინტერვიუ ზაზა ფაჩულიასთან

# დანკანი რომ დამემარცხებინა...

**საქართველოს ნაკრებისა და "ატლანტა ჰოქსის" ცენტრს ზაზა ფაჩულიას NBA-ს ოლ სტარის შემდეგ თითქოს მეორე სუნთქვა გაეხსნაო - ჯერ "ფინიქსთან" შეასრულა ორმაგი დუბლი, შემდეგ "კლიპერსთან", მერე "სან ანტონიოსთან"...**

**თუმცა ამას ნაკლებადეფექტური სამი მატჩი მოჰყვა. დღეს ზაზას ინტერვიუს შემოგთავაზებთ და ვეცდებით, არასტაბილურობის მიზეზებიც გავარკვიოთ.**

**- ზაზა, ჯერ გავიხსენოთ "სან ანტონიოსთან" დაპირისპირება, რომელშიც 23 ქულისა და 10 მოხსნის გასაკეთებლად 23 წუთი გეყო...**

- იმ მატჩში მთელმა "ატლანტამ" კარგად ითამაშა. მეც ეფექტური სტატისტიკა მქონდა, თუმცა ციფრებზე არანაკლებ მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ ბოლო მეოთხედში მოედანზე დაბრუნებისთანავე თამაში გარდავტეხე. თამაში წამივიდა და ანგარიშიც არაერთხელ გავათანაბრე. მაგრამ სამწუხაროდ გამარჯვება მაინც ძლიერ მეტოქეს დარჩა.

**- "ატლანტას" მწვრთნელმა მაიკ ვუდსონმა აღნიშნა - ზაზამ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მეფარის ტიმ დანკანის წინააღმდეგ ღირსეულად ითამაშაო.**

- NBA-ს ვარსკვლავებთან ჭიდილს უკვე მივეჩვიე, თუმცა არც თავიდან მქონდა ვინმეს რიდი. დანკანის წინააღმდეგ ერთი კარგი მატჩი შარშანაც ჩავატარე და ახლაც ვეცადე, შესაძლებლობები სრულად გამომევლინა. ხოლო ტიმს ვაჯობე-მეთქი, მხოლოდ მაშინ ვიტყოდი, "სან ანტონიო" რომ დაგვემარცხებინა.

**- ფინიქსში "ჰოქსის" გამარჯვება სენსაციად მოინათლა. "ფინიქს სანზის" ძლევა როგორ მოახერხეთ?**

- ამ კითხვაზე პასუხი მარტივია - ფინიქსელებს ჩვენთან შეხვედრაში სტივ ნეში არ ჰყავდათ.

**- "სანზი" ნეშია?**

- რა თქმა უნდა. ამ კალათბურთელის გარეშე "ფინიქსი" შეიძლება ფლეი ოფებს მიღმა დარჩენილიყო. ეს ნათელი მაგალითია იმისა, რომ ერთ კაცზე მთელი გუნდი არ უნდა იყოს დამოკიდებული. ასეთ შემთხვევაში ლიდერის გამოკლებით შეიძლება სისტემა სერიოზულად მოიშალოს.

**- სეზონის დასაწყისში კარგად გამოიყურებოდით, მატჩს მატჩზე იგებდით. შემდეგ ტრავმიანობის გამო აშკარად მოუკელით. მაინტერესებს, იბრუნებთ თუ არა ისეთ ფორმას, როგორშიც დასაწყისში იყავით?**

- ტრავმირებულები მომჯობინდნენ და ჩავარდნის შემდეგ თამაშიც გავაუმჯობესეთ, მაგრამ ბოლო მატჩებში ხშირი წაგებების მიზეზი ურთულესი სერია იყო - ერთმანეთს მიეწყო შეხვედრები ისეთ ძლიერ გუნდებთან, როგორებიცაა "დალასი", "ფინიქსი"...

**- ფლეი ოფში მოხვედრის შანსი დღითი-დღე მცირდება...**

- შანსს ვინარჩუნებთ. სატურნირო მდგომარეობას რომ გადავხედოთ, დაკარგული ჯერ არაფერია. მაგრამ სიტუაციას ვარდისფერი სათვალის გარეშე რომ შევხედოთ, აღმოვაჩენთ, რომ შანსი ძალიან მცირეა - რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი თველა დარჩა, ჩვენ კი ფლეი ოფის ზონას ძალიან ჩამოვრჩებით. თუკი მომდევნო ეტაპზე თამაში გვინდა, წაგებები მოგებებით უნდა ჩავანაცვლოთ.

**- დღეს შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ წლევანდელი სეზონი შარშანდელზე უკეთესად ჩაატარე?**

- სეზონის დასრულებამდე მცირე დრო რჩება და ამ კითხვაზე გადაჭრით პასუხს ვერ გაგცემ. ისევე როგორც შარშან, წელსაც მქონდა მინუსები, ჩავარდნები... თუმცა იყო ეფექტურად ჩატარებული შეხვედრებიც. ზოგადად შემიძლია ვთქვა, რომ წინა სეზონის შემდეგ ერთი წელი მომემატა და შედარებით უკეთესად ვთამაშობ. იანვარში მცირე ტრავმები მქონდა და მატჩების სათანადო დონეზე ჩატარებაში ხელს მიშლიდა, ოლ სტარის შემდეგ კი მოვუმატე... ვეცდები, რომ დარჩენილ შეხვედრებში სტატისტიკა გავაუმჯობესო და ეს ჩემპიონატი შარშანდელზე უკეთესი შედეგით დავასრულო.

**- "ატლანტას" ერთ-ერთ თამაშს ჯამლეტ ხუხაშვილი და გიორგი შერმადინი დაესწრნენ. რა ურჩიე ახალგაზრდა კოლეგას?**

- ისინი "კლიპერსი"-"ჰოქსის" მატჩს დაესწრნენ, რომლის შემდეგ მათთან შესახვედრად ძალიან მცირე დრო მქონდა, ატლანტაში გუნდთან ერთად ვბრუნდებოდი. თუმცა დალაპარაკება მაინც მოვასწარი. მიხარია, რომ რაც დრო გადის, გიორგი თამაშს აუმჯობესებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ვლადიმერ ბოისა (მარჯვნივ) საპასუხო მატჩის დროს

## ხსოვნის ტურნირი

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ფინანსური შემწეობითა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით, ამ სასწავლებლის დარბაზში მესამედ გაიმართა ვეტერანი კალათბურთელის ნოდარ დარახველიძის ხსოვნის ტურნირი. მონაწილეობდა 16-წლიანთა 6 გუნდი. პირველ ადგილზე გავიდა თსუ (მწვრთნელი ნ. მარკოიშვილი), მეორე იყო საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები (მწვრთნელი გ. წულაძე), მესამე - "მართვე-1" (მწვრთნელი კ. შენგელია), მეოთხე - "მართვე"-"კოლხა" (მწვრთნელი კ. ქაჯაია).

**ამირან ზუხბაია,**
სეოკ-ის აფხაზეთის რეგიონული კომიტეტის თავმჯდომარე

## პროფესიული კრივი

**ვერის ბაღში, პროფესიული კრივის ფედერაციის დარბაზში, დღეს, 18 საათზე მორიგი სარეიტინგო ორთაბრძოლები გაიმართება. როგორც უკვე გაცნობეთ, დღეისთვის დაგეგმილი იყო საქართველოს ქამრების გათამაშების დაწყება. თუმცა, ეს შემდეგი ხუთშაბათისთვის გადაიდო. გვესაუბრება პროფესიული კრივის ფედერაციის გენერალური მდივანი ზურაბ კიკნაველიძე.**

სარეიტინგო ორთაბრძოლები

# 15 მარტიდან: ბრძოლა 7 ქართული ქამრისთვის

- საქართველოს ქამრების გათამაშების დაწყების ერთი კვირით გადაწევა მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკურ პრობლემებს უკავშირდება. საქმე ის არის, რომ ვამზადებთ მაღალი ხარისხის ქამრებს, რასაც სხვანაირი მიდგომა და ტექნოლოგია სჭირდება. ამასთან, ნაჩქარევად დაწყებაც არ გვინდა. ორშაბათს ან სამშაბათს, დიდ პრეზენტაცია-პრესკონფერენციას გავმართავთ და 15 მარტიდან, საქართველოს ქამრების გათამაშებასაც დავიწყებთ. სულ შვიდი წონა და, შესაბამისად, 7 ქამარია. ისტორიული პირველი სარტყელისთვის 15 მარტს, ვერის ბაღის კალათბურთის სასახლის არენაზე იბრძოლებენ ზემძიმე წონითი კატეგორიის წარმომადგენლები – ვლადიმერ ჭანტურია და დავით გეგეშიძე.

რა თქმა უნდა, ამ ტიტულისთვის მებრძოლი მოკრივეები იმაზე გაცილებით დიდ ჰონორარს აიღებენ, ვიდრე სარეიტინგო ორთაბრძოლებში ვაძლევდით. ამას გარდა, თითოეული ქამრის მფლობელი ვალდებული იქნება, რომ მისი მოპოვებიდან ექვს თვეში, ტიტული დაიცვას.

პარალელურად კი, კვლავ არაერთი მოწვევა მოგვდის საზღვარგარეთიდან და ვცდილობთ, რაც შეიძლება მეტი მოკრივე გავუშვათ უცხოელებთან საჩხუბრად, რათა გამოცდილება მიიღონ. ახლახან, მე, ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი კანდელაკი და ცნობილი სპეციალისტი ზურაბ გუნია დავსხედით და ქართველ მოკრივეთა ბოლოდროინდელი საზღვარგარეთული ორთაბრძოლები დეტალურად გავაალიზეთ. საბოლოოდ, მოვედით იმ დასკვნამდე, რომ ნიჭი უდავოდ აქვთ, მაგრამ მათი ყველაზე დიდი მინუსებია გამოუცდელობა და არასათანადო ფიზიკური კონდიციები. თუკი პირველი პრობლემის გამოსწორებას შედარებით დიდი დრო სჭირდება, მეორე ნამდვილად მალე გამოსწორებადია. მოკლედ, შევიმუშავეთ სამოქმედო გეგმა, რომელსაც დეტალურად განვახორციელებთ და მალე ქართველი მოკრივეები უცხოეთში მხოლოდ გამოცდილების მიღებად კი არა, მოსაგებად და ტიტულების მოსაპოვებლად წავლენ ხოლმე.

რაც შეეხება დღევანდელ ბრძ[...]ლებს, სულ 5 სარეიტინგო ჩხუბი შედ[...]ბა. ორკვირიანი პაუზის შემდეგ, ი[...] ორი მოკრივით დაბრუნდნენ აზერ[...]ჯანელები, რომლებსაც ქართველ[...] დაუწყვილეს. დღის პირველი ჩხუბი [...]ვან შონიასა და აზერბაიჯანელ ზა[...]იმანოვს შორის, იქნება ექვსრაუნდია[...] დანარჩენები კი ოთხიანები. გაგ[...]ნობთ დღევანდელი ჩხუბების განრიგ[...]

**72 კგ. ლევან შონია (სენაკი) – ზაურ იმ[...]ნოვი (აზერბაიჯანი)**
**54 კგ. გიორგი გაჩეჩილაძე (ქუთაისი) – თეიმურაზ საბაშვილი (გორი)**
**62 კგ. დავით ინასარიძე (რუსთავი) – უშანგი რურუა (თბილისი)**
**72 კგ. ჯუმბერ ბასილაძე (სამტრედია) – ზურაბ ფალიანი (მესტია)**
**79 კგ. ლევან ჯომარდაშვილი (ვარიანი) – გაბი გუმბათოვი (აზერბაიჯანი)**

**კობა ხატისაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელბურთი

ინტერვიუ ზურაბ კაკაბაძესთან

# გვეყო ინტრიგები! საით მივდივართ?

**სანაკრებო** ბატალიების შემდეგ, თვეზე მეტია, რაც ჩვენს ხელბურთში სრული სიმშვიდე სუფევს. დარბაზები დაახლოებით 15 მარტისთვის ახმაურდება, როდესაც ეროვნული ჩემპიონატი განახლდება. რა პრობლემებს აწყდება საქართველოს ხელბურთის ასოციაცია? რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ქართული ხელბურთი წინ წავიდეს? ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე გვესაუბრება ხელბურთის ასოციაციის გენერალური მდივანი ზურაბ კაკაბაძე.

**- ეროვნული ნაკრებით დავიწყოთ. როგორ შეაფასებთ გუნდის გამოსვლას ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე?**

- როგორი მიზეზიც არ უნდა მოვუძებნოთ ნაკრები გუნდის გამოსვლას 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე, ეს იყო მარცხი არა მარტო ჩვენი ნაკრები გუნდისა, არამედ მთლიანად განვლილ პერიოდში ჩვენს მიერ გაწეული საქმიანობისა. სამწუხაროდ, მოვლენები თავიდანვე არასახარბიელოდ განვითარდა - ჯერ იყო და ნაკრების მწვრთნელის დანიშვნის საკითხი, სამონაწილეო განაცხადის გაკეთების შემდეგ, ხუთი თვე გაიწელა. ტურნირის დაწყებამდე ათი დღით ადრე ნაკრებს ასე წვალებით დანიშნული მთავარი მწვრთნელი შეეცვალა, ამას დაემატა სამი წამყვანი ლეგიონერის დანაკლისი, მერე ლატვიაში კატასტროფული მარცხით დავიწყეთ ტურნირი და პირველი მატჩის შემდეგვე ცხადი გახდა, რომ კარგი შედეგი არ გვექნებოდა. მიმაჩნია, რომ ეროვნული ნაკრები 18 ბურთის სხვაობით არ უნდა აგებდეს.

ნაკრები გუნდი ნებისმიერი სპორტის სახეობისთვის განვითარების უმაღლესი საფეხურია. მის შესაქმნელად და კარგი შედეგის მისაღწევად მრავალწლიანი სისტემატიური მუშაობაა საჭირო. სრულყოფილად უნდა იყოს განვითარებული რეგიონალური სტრუქტურა, განსაზღვრული უნდა იყოს ხელბურთის კლუბებისა და სკოლების იურიდიული სტატუსი, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ეროვნული ჩემპიონატების ჩატარება ყველა ასაკობრივ ჯგუფებში, ასევე ასაკობრივი ნაკრები გუნდების შექმნა და მათი მონაწილეობა სხვადასხვა ოფიციალურ შეჯიბრებებში, უნდა ხორციელდებოდეს მწვრთნელების, მსაჯების მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

2006 წელს ჩვენ ინტენსიურად შევუდექით მუშაობას ეროვნული ნაკრები გუნდის აღსადგენად. გუნდი საერთაშორისო ასპარეზზე ოთხწლიანი პაუზის შემდგომ უნდა დაბრუნებულიყო. ასოციაციის მთელი შემადგენლობა აქტიურად ცდილობდა, ყველა პირობა შეექმნა ნაკრების ღირსეულად მოსამზადებლად, მაგრამ სამწუხაროდ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მოვლენები თავიდანვე არასახარბიელოდ განვითარდა. ნაკრების წარუმატებელი გამოსვლის ანალიზმა თვალნათლივ დაგვანახა ყველა ის პრობლემა, რომელიც ასოციაციის წინაშე დგას. თუნდაც ლეგიონერების ჩამოუსვლელობა - ეს თამაშების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე არ უნდა გაგვეგო.

დანარჩენზე კი რა გითხრათ, გადაავლეთ თვალი პრესას და თავად დაასკვენით, ბოლო ორი წლის განმავლობაში სისტემატურად ვის არ სურდა ახალგაზრდული ნაკრები გუნდების განაცხადების გაგზავნა ოფიციალურ შეჯიბრებებზე მონაწილეობის მისაღებად, მუდმივად ვინ ეწინააღმდეგება ეროვნული ჩემპიონატის ნორმალურ ჩატარებას...



**- ხელბურთის ასოციაციის მხრიდან თუ იყო შეცდომები?**

- შარშან ზაფხულიდან, ევროპის ჩემპიონატზე განაცხადის გაგზავნის დღიდან ვცდილობდით, რაც შეიძლება სწრაფად გარკვეულიყო ნაკრების მწვრთნელის ვინაობა. გუნდს მაშინვე უნდა დაეწყო მზადება შესარჩევი ტურნირისთვის, თუმცა...

ყველაზე ცუდი კი დეკემბერში მოხდა. ასოციაციის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, ეროვნული ჩემპიონატი შევაჩერეთ - მოტივი ნაკრების უკეთ მომზადება იყო. ამ საკითხის განხილვისას უმცირესობაში მოვყევი, თუმცაღა დღემდე მჯერა ჩვენი მწირი ბიუჯეტის გათვალისწინებით, ჩემპიონატების თამაშები ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება იყო საქართველოში მოთამაშე ნაკრების კანდიდატების მომზადების დონის განსასაზღვრელად და ღირსეული მოთამაშეების ნაკრებში გამოსაძახებლად.

აქსიომაა, რომ ეროვნული ჩემპიონატის გარეშე, ძლიერი ეროვნული ნაკრები ვერცერთ შემთხვევაში ვერ გვეყოლება და ეს ამ საკვალიფიკაციო ტურნირმაც ნათლად დაგვანახა. თუმცაღა ჩვენში უმრავლესობას სხვა მოსაზრება აქვს ამის შესახებ – "გამოვიყვანოთ ეროვნული ნაკრები, ვითამაშოთ საკვალიფიკაციო ტურნირზე, გულშემატკივარს მოვიზიდავთ და ხელბურთის ბუმი დაიწყებაო". თუკი ნაკრებით ამის გაკეთება გვსურს, მაშინ სულ ცოტა სოლიდური დაფინანსება მაინც უნდა გქონდეს, რაც დღევანდელ მდგომარეობაში ჩვენთვის არარეალურია. მოუმზადებელი გუნდი რომ პირდაპირ საკვალიფიკაციო ეტაპზე გაგყავს და 6-დან 5 თამაშს აგებ, როგორ გინდა ამით ხელბურთის პოპულარიზაცია?

ჩვენი ნაკრების ძირითად ბირთვს ისევ ვეტერანი ხელბურთელები წარმოადგენდნენ. ახლა ვერ ვიტყვი, რომ ვთქვათ, წივწივაძის, ფორაქიშვილისა თუ გრიშიკაშვილის თამაშით სხვა შედეგი გვექნებოდა, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ხელბურთელების პოტენციალი სრულიად იმიტომ ვერ გამოვიყენეთ, რომ ჩემპიონატი სასურველ დონეზე ისედაც ვერ ტარდება და საკვალიფიკაციო ეტაპის წინ, საერთოდ შევაჩერეთ.

აგერ, ბოყოჩაძე და ყიფიანი, ფაქტობრივად, წასულები იყვნენ ხელბურთიდან, მაგრამ დავაბრუნეთ, რადგან ალტერნატივა არ იყო. დღეს ხელბურთი ისეთი ტემპებით მიდის წინ, 14 სრულფასოვანი მოთამაშის გარეშე წარმატების შანსი არ გაქვს, ჩვენ კი 7-8 ხელბურთელით მოვინდომეთ ფონს გასვლა, რაც არარეალურია.

სამწუხაროდ, ბევრი კვლავ ვერ გამოსულა პოსტსაბჭოური ეპოქიდან, როდესაც ესა თუ ის სპორტული ფედერაცია უხვად ფინანსდებოდა სახელმწიფოსგან, ფედერაცია ატარებდა ყველა ღონისძიებას, ჰყავდა თავისი მწვრთნელთა საბჭოები, ერეოდა ნაკრების მწვრთნელთა კომპეტენციაში და ასე შემდეგ. ასეთი ხალხი ახლა ჩვენსკენ იშვერს ხელს, სულ კრიჭაში გვიდგას და ყველაფერზე პასუხისმგებლობას ჩვენ გვთხოვს. ერთხელ და საბოლოოდ გაიგოს ყველამ, რომ დღეს სულ სხვა მდგომარეობაა – ხელბურთის ასოციაცია სულაც არაა ვალდებული, რომ ფინანსურად დაეხმაროს კლუბებს თუ სპორტსკოლებს, მათი დოკუმენტაცია მოაგვაროს, ეროვნული ნაკრების დაკომპლექტებაში ჩაერიოს და ასე შემდეგ. ჩვენი ძირითადი მოვალეობაა, უზრუნველვყოთ საქართველოს ჩემპიონატების ჩატარება, ასაკობრივი ნაკრებების სხვადასხვა შეჯიბრებებზე გაშვება და საერთაშორისო ურთიერთობების მოგვარება. ამ ფუნქციებს ნამდვილად ვართმევთ თავს და არცთუ ურიგოდ. როდესაც უმაღლესი ლიგის კლუბებს საწევრო 640 ლარი ვერ გადაუხდიათ, დაკუმენტაცია ვერ მოუგვარებიათ, ჩემპიონატის კალენდარულ მატჩებში არ გამოდიან და მერე ყველაფერს ჩვენ გვაბრალებენ, ეს უბრალოდ, აბსურდია.

რა დასამალია და ხელბურთის ასოციაციაზე იყო სერიოზული დარტყმები, რათა პრობლემები შეგვქმნოდა ეროვნულ ჩემპიონატში და საქართველოს ნაკრებს კარგი შედეგი ვერ ეჩვენებინა. ის ხალხი, ვინც ამას აკეთებს, ხელბურთს უნდა ჩამოშორდეს და სხვა საქმე აკეთოს.

ამას წინათ, "თბილისის" მწვრთნელი მამუკა მჟავანაძე ინტერვიუში წერდა, რომ თუ ხელბურთის ასოციაცია ვერ ახერხებს ჩემპიონატის ჩატარებას, მე მივხედავ ამ საქმესო. ერთი მხრივ, მამუკას გულისტკივილი მესმის – მან თავისი კლუბის ჩამოყალიბებაში ბევრი ოფლი დაღვარა, გაღებული აქვს ფული საკუთარი ჯიბიდან, წლეულს კი სულაც ორი გუნდი გამოჰყავს ეროვნულ ჩემპიონატში. თუმცა, არსებობს მედლის მეორე მხარე, რაც მამუკამაც კარგად იცის. ჩვენ მზად ვართ, რომ ხვალვე დავიწყოთ ჩემპიონატი, მაგრამ ყველა კლუბი მზად არის ამისთვის? ის პრობლემები, რაც შარშან ჰქონდათ, კვლავ აწუხებთ და ამ კუთხით, საერთოდ არაფერი შეცვლილა. ისე კი, ჩვენი ასოციაციის კარი ყველასთვის ღიაა და ვისაც უნდა რომ მონაწილეობა მიიღოს ჩვენს საქმიანობაში, დიდი სიამოვნებით ვითანამშრომლებთ მათთან.

ერთსაც ვიტყვი: ჩვენმა ასოციაციამ ევროპისა და ნორვეგიის ხელბურთის ფედერაციებთან საქართველოში ხელბურთის განვითარებისთვის ხელშეკრულება გავაფორმეთ და მალე ეს პროექტი ამუშავდება. ჩვენ ევროპელებსა და სკანდინავიელებს გავუგზავნეთ, თუ რაში გვინდა მათი თანადგომა. მაგალითად, აუცილებელია მწვრთნელთა სემინარების ჩატარება. ასევე გვინდა ხელბურთის წესების ქართულ ენაზე გამოცემა, რაც რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, დღემდე არ არსებობს. დარწმუნებული ვარ, პროექტის დაწყების შემდეგ, ბევრი ოპონენტი გამოგვიჩნდება – რას გვეხმარებიან, ფულს არ გვაძლევენ და ასე შემდეგ. ასეთ ხალხს ვეტყვი, რომ სულ 100 ბურთი რომ გამოგვიგზავნონ უკვე კარგი იქნება და თუ მათ ეს ეცოტავებათ, თავად გვაჩუქონ 100 ბურთი.

3-4 წლის წინათ ევროპის ხელბურთის ფედერაცია საქართველოს ახალგაზრდა მწვრთნელთათვის პროექტს ახორციელებდა, რისთვისაც თბილისში ევროპელი სპეციალისტები ჩამოდიოდნენ და სემინარებს ატარებდნენ, მწვრთნელებს დანიშნული ჰქონდათ სტიპენდიები 25 და 50 დოლარის ოდენობით. მაშინ ხელბურთის ხელმძღვანელები ფეხზე დადგნენ, 25 დოლარი რა არის, ასე ცოტა როგორ გვაკადრესო და იმდენი ქნეს, რომ პროექტი ჩაიშალა. აი, ეს არის ჩვენი მენტალიტეტი...

**- ალბათ მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ ეროვნულ ჩემპიონატში სულ 5 კლუბია და ასეთი მცირე რაოდენობის გამო, ვერავის დასჯით მკაცრად...**

- ასეთი მიდგომაც საკმაოდ გამაღიზიანებელია. თუკი გუნდი ჩემპიონატიდან მოკვეთას იმსახურებს, უნდა მოვკვეთოთ კიდეც. ან ოთხგუნდიან ჩემპიონატს ჩავატარებთ, ან სამგუნდიანს, ანდაც ვთქვათ, რომ უფროსებში ეროვნული ჩემპიონატის ჩატარება არ გვინდა - არ გვყავს საამისოდ ხელბურთელები და გუნდები და მივხედოთ უმცროსებს. გვაქვს ორი ასაკობრივი ჩემპიონატი 1990-93 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის, სადაც 8 და 9 გუნდი თამაშობს. ეს ჩემპიონატები ქართული ხელბურთის ხვალინდელი დღეა, რომელსაც დიდი ყურადღება უნდა და აუცილებლად ბოლომდე უნდა მივხედოთ.

**- დაბოლოს, დადგინდა თუ არა, როდის განახლდება ეროვნული ჩემპიონატი?**

- კალენდრის თანახმად, 15 მარტს უნდა განვაახლოთ. ამ დღეებში კლუბების ხელმძღვანელობას შევხვდებით, სადაც ერთხელ და საბოლოოდ უნდა გაირკვეს, ვის რა უნდა, სადამდე შეიძლება გაგრძელდეს ამდენი გაუგებრობა, ინტრიგების ხლართვა და საით მივდივართ.

**კობა ხატისაშვილი**

სპორტული ნარდი

# 3 და 8 მარტს მიეძღვნა

**დედისა** და ქალთა საერთაშორისო დღეს მიეძღვნა საქართველოს ჩემპიონატი სპორტულ ნარდში ქალთა შორის, რომელიც ეროვნულმა ფედერაციამ (პრეზიდენტი **თემურ ქურციკიძე** ჩაატარა). 32 მონაწილიდან ფინაში **ლია კახაძე** და **ნაირა მუშკუდიანი** გავიდნენ. გაიმარჯვა კახიძემ 7:5 და მთავარ პრიზს "ოქროს კამათელს" დაეუფლა. მუშკუდიანს "ვერცხლის კამათელი" გადაეცა. მესამე ადგილი ორმა ქალბატონმა - **ლალი ქურციკიძემ** და ცირა **ტუსკიამ გაიყვეს**.

საპრიზო ადგილის მიღმა დარჩენილთათვის დამამშვიდებელი ტურნირი ჩატარდა, რომელიც მოიგო **მზია ნებულიშვილმა**, მეორე ადგილზე გავიდა **ეთერ ჭიჭილაშვილი.**

ფედერაცია ახლა ქალთა კიდევ ერთი ტურნირისა და ვაჟთა შორის საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ჩასატარებლად ემზადება.

**ომარ ჩხაიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავისუფალი ჭიდაობა

ინტერვიუ ზაზა თურმანიძესთან

# გუნდს ჯერ არ ვასახელებ!



ზაზა თურმანიძე და ლუკა კურტანიძე

**საქართველოს ნაკრები დაბრუნდა ტაშკენტიდან, სადაც გასულ უქმეებზე „ოქროს დიდ პრიზზე" იჭიდავა. ჭიდაობის ქართველი ქომაგისთვის სანატრელი ფინალიც იქ შედგა - 96 კილოგრამში გადამწყვეტ შეხვედრაში გიორგი გოგშელიძემ ლუკა კურტანიძე დაამარცხა. გარდა ამისა, ჩვენებმა კიდევ ორი მედალი მოიპოვეს - რევაზ მინდორაშვილი (84) მეორეზე გავიდა, ლექსო მოდებაძე (მძიმე) - მესამეზე.**

**ეს ტურნირი ერთ-ერთი მოსამზადებელი ეტაპი გახლდათ 17-22 აპრილს სოფიაში გასამართი ევროპის პირველობისთვის. ნაკრებს თავკაც ზაზა თურმანიძესაც ამიტომ ვთხოვეთ ტურნირის შეფასება, თუმცა დასამალი არაა, ყველაზე მეტად გოგშელიძე-კურტანიძის დაპირისპირების პერიპეტიები გვაინტერესებდა.**

**- დავიწყოთ 96-ის ფინალით, რომელიც გულშემატკივართა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. როგორ წარიმართა იგი?**

- ჯერ იმას გეტყვით, რომ სანახაობრივად ეს ფინალიც ძალიან ლამაზი გამოდგა და 84-ისაც, სადაც მინდორაშვილი სომეხ გენადი ლალიევს შეხვდა.

კურტანიძე-გოგშელიძის შეხვედრის პირველი პერიოდი უქულოდ, 0:0 დამთავრდა. მონეტის აგდებით ფეხში შესვლის უფლება გოგშელიძემ მოიპოვა და პირველი პერიოდი მოიგო კიდეც. მეორეში კურტანიძემ თავისი საყვარელი ილეთი - ტრიალი გააკეთა, მაგრამ მსაჯმა ხაზსგარეთ გდება აღნიშნა და არ ჩაუთვალა. მერე გოგშელიძემ ერთი ქულა მოიპოვა, პერიოდიც მოიგო და ფინალიც. მართლაც ძალიან კარგი ბრძოლა იყო.

**- რამდენად იმოქმედებს ეს შედეგი მათ შემდგომ სანაკრებო კარიერაზე? შეიძლება იმის თქმა, რომ ამ წონაში ევროპის პირველობაზე წამსვლელი ფალავანი გაირკვა?**

- ჯერ ადრეა ამის თქმა. ევროპის პირველობამდე სამი კვირით ადრე კრასნოიარსკში მსოფლიო თასის გათამაშებაა. თავდაპირველად იქ არც ვაპირებდით გამოსვლას, მაგრამ საერთაშორისო ფედერაციამ მკაცრად მოგვთხოვა და მივდივართ. სპორტსმენთა ნაწილი იქ იჭიდავებს, ნაწილიც - ევროპის ჩემპიონატზე. რაც შეეხება კონკრეტულად ამ წონას, მწვრთნელთა საბჭოზე ვიმსჯელებთ, ვინ წავიდეს კრასნოიარსკში და ვინ - სოფიაში.

**- ტურნირზე გუნდის გამოსვლით რამდენად კმაყოფილი დარჩით?**

- მთლიანობაში კმაყოფილი ვარ. გუნდი ჯერ არ იყო ფორმის პიკზე, რადგან მოსამზადებელი ეტაპი ჯერ არ დაგვიმთავრებია. თან, ტაშკენტში წასვლამდე ერთი კვირით ადრე ჩამოვედით ბაკურიანიდან, სადაც პირველი, ფიზმომზადებისთვის განკუთვნილი საბაზო შეკრება გავიარეთ. მთიდან ბარში ან პირიქით ასე უეცარი გადანაცვლება მუდამ ძნელია. მინდორაშვილის მარცხიც ძირითადად ამან განაპირობა. თან, ტურნირიც ძალიან ძლიერი იყო. ამ რანგის ტურნირებზე საკმაოდ მაღალი საპრიზო ფონდია დაწესებული და მისი ხათრით უძლიერესი შემადგენლობა იკრიბება ხოლმე. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, გუნდის გამოსვლით კმაყოფილი ვარ. იყო ცოტ-ცოტა ხარვეზები, მაგრამ, იმედია, გამოასწორებენ.

**- მინდორაშვილი ევროპის ჩემპიონატის გამოტოვებას აპირებდა. ხომ არ შეუცვლია გადაწყვეტილება?**

- მინდორაშვილი პროფესიონალია და დადგება იქ, სადაც საქართველოს ნაკრებს დასჭირდება. შესაძლოა, ევროპაზე გამოვიდეს, შესაძლოა - მსოფლიო თასზე.

**- დაბოლოს, ხომ არ შეიძლება სოფიაში წასაყვან შემადგენლობაზე საუბარი? იქნებ რომელიმე წონაში გაირკვა კანდიდატი?**

- მოდით, ჯერ ნურც ამაზე ვილაპარაკებთ. ბუნებრივია, იქ ნაკრების ბირთვი უკვე არსებობს, მაგრამ წინ მზადების კიდევ რამდენიმე ეტაპია და შემადგენლობის დასახელებას არ ვჩქარობ. მინდა, სტიმულიც ბოლომდე შევინარჩუნო და კონკურენციაც.

**ირაკლი თავაძე**

## ჭადრაკი

საქართველოს ჩემპიონატი

# დარჩა ორი, ნანა და ინგა



ნანა ძაგნიძე

ქალთა ეროვნული ჩემპიონატის მეექვსე ტური საკმაოდ საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა. იყო კარგი სვლებიც, შეცდომებიცა და ემოციებიც. ბოლოს კი, მივიღეთ ისეთი შედეგები, რომ თუკი მეხუთე ტურის შემდეგ, ერთბაშად ოთხი მოჭადრაკე ლიდერობდა, ახლა მათი რიცხვი განახევრდა.

ტურის ორი ცენტრალური შეხვედრიდან ყველაზე საინტერესოდ, ხანგრძლივად და უშეღავათოდ წარიმართა **ნანა ძაგნიძისა და ინგა ჭარხალაშვილის** პარტია. ხუთსაათნახევრიანმა შეხვედრამ გამარჯვებული ვერ გამოავლინა და მოჭადრაკეები ყაიმზე შეთანხმდნენ. არადა, ძაგნიძეს ჯერ ზედმეტი პაიკი ჰქონდა, ენდშპილშიც ეტლი და მხედარი ჰყავდა ეტლის წინააღმდეგ, მაგრამ ყაიმის მეტს ვერაფერს გამორჩა. აკი თქვა კიდეც ნანამ ნამატჩევს დანანებით – აშკარად უნდა მომეგოო.

არანაკლებ საინტერესოდ წარიმართა ტურის კიდევ ერთი ცენტრალური შეხვედრა **მაია ლომინეიშვილსა** და **ლელა ჯავახიშვილს** შორის. ვერ გეტყვით, რა ხდება მაიას თავს, მაგრამ მან ამ ჩემპიონატზე უკვე მესამე პარტიაში დაუშვა ისეთი უხეში შეცდომა, რომლითაც, ფაქტობრივად, მოგებული შეხვედრა ვერის ნიავს გაატანა. თუკი წინა შეხვედრებში ნახევარი ქულა მაინც შერჩა, ამჯერად მან ზედმეტი ხარისხი ვერ გამოიყენა და გამარჯვებას ვინ ჩივის, საერთოდ დამარცხდა.

**თამარ წერეთელმა ნინო ხურციძესთან** იღბლიანი შეწირვა განახორციელა და მრისხანე, მაგრამ ამჯერად არასტაბილურად მოთამაშე მეტოქეს დანებება აიძულა, ხოლო **ნინო ბაციაშვილმა** ენდშპილში ორი ზედმეტი პაიკის წყალობით ერთ-ერთ ლიდერს, **სოფო გვეტაძეს** მოუგო.

რაც შეეხება **სალომე მელია – მაკა ფურცელაძისა** და **სოფიკო ხუხაშვილ – მირანდა მიქაძის** პარტიებს, აქ დიდად საინტერესო არაფერი მომხდარა. ორივე შეხვედრა თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და ყაიმებით დასრულდა.

დღეს, ჩემპიონატში შესვენებაა და ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ბლიცტურნირი მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში გაიმართება. ჩემპიონატი კი ხვალიდან განახლდება. რა თქმა უნდა, უკიდურესად დაძაბული სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, მეშვიდე ტურშიც თითქმის ყველა შეხვედრა საინტერესო იქნება, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საქართველოს ნაკრების წამყვანი მოჭადრაკეების – **ლომინეიშვილისა** და **ხურციძის** პარტია. მართალია, ამჟამად არც მაიაა ფორმაში და არც ნინო, მაგრამ მაინც...

**კობა ხატისაშვილი**

მეექვსე ტური. მაია ლომინეიშვილი – ლელა ჯავახიშვილი 0:1; ნინო ბაციაშვილი – სოფიო გვეტაძე 1:0; სალომე მელია – მაკა ფურცელაძე 0.5:0.5; თამარ წერეთელი – ნინო ხურციძე 1:0; სოფიკო ხუხაშვილი – მირანდა მიქაძე 0.5:0.5; ნანა ძაგნიძე – ინგა ჭარხალაშვილი 0.5:0.5

| | |
|---|---|
| ნანა ძაგნიძე | - 4.0 |
| ინგა ჭარხალაშვილი | - 4.0 |
| მაია ლომინეიშვილი | - 3.5 |
| ლელა ჯავახიშვილი | - 3.5 |
| ნინო ბაციაშვილი | - 3.5 |
| სოფიო გვეტაძე | - 3.5 |
| სოფიკო ხუხაშვილი | - 3.5 |
| ნინო ხურციძე | - 2.5 |
| სალომე მელია | - 2.5 |
| მირანდა მიქაძე | - 2.0 |
| სალომე მელია | - 2.0 |
| მაკა ფურცელაძე | - 1.5 |

ხვალ, მეშვიდე ტურში: ფურცელაძე – ძაგნიძე, გვეტაძე – მელია, ჯავახიშვილი – ბაციაშვილი, ხურციძე – ლომინეიშვილი, მიქაძე – წერეთელი, ჭარხალაშვილი – ხუხაშვილი

## ჩოგბურთი

### შედგა თუ არა რევანში?

გუშინ ინდიან ველსში "პასიფიკ ლაიფ ოუფენის" დიდი საერთაშორისო ტურნირის (2,1 მლნ. დოლარი) პირველ წრეში "უაილდ ქარდით" დაშვებული 17 წლის ქართველი **ანა ტატიშვილი** ავსტრიელ **ივონ მოისბურგერს** ხვდებოდა. სწორედ იმ მოისბურგერს, რომელმაც ორი დღის წინ საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველოს პირველ ჩოგანს **მაკა ჩახნაშვილს** მოუგო დაძაბულ ბრძოლაში, შემდეგ კი ძირითადი ბადის საგზურიც მოიპოვა. თამაში წუხელ, ჩვენი დროით გამთენიისას, გაიმართა.

### ჩიხლაძეს ფრთები შეესხა

საქართველოს მეორე ჩოგანი **ლადო ჩიხლაძე** შვეიცარიულ ლოიგერნში 10-ათასიანი ტურნირის მოგების შემდეგ ლიხტენშტეინში გადავიდა, სადაც ვადუცის "რეიფაიზენ ტროფიში" მონაწილეობს. ეს ტურნირიც 10-ათასიანია. პირველ წრეში ჩიხლაძე ხვდებოდა მე-4 ნომრად განთესილ გერმანელ **მარსელ ციმერმანს**, რომელიც რეიტინგში დაახლოებით 150 ადგილით უსწრებს ქართველს. მიუხედავად ამისა, ლადოს უპირატესობა აშკარა იყო. მან მეტოქეს მხოლოდ ორი გეიმი დაუთმო - 6:2, 6:0 და მერვედფინალში ბელგიელ **მაქსიმ ოთომს** შეხვდება. ამან პირველ წრეში მოულოდნელად ჩეხი **მარტინ ვაჩეკი** დაამარცხა.

### შაფაქიძე მეოთხედფინალში

ისრაელში, რამათ-ჰაშარონის ტურნირში (10 ათასი დოლარი) წარმატებით თამაშობს **მანანა შაფაქიძე**. მანანა ძირითად ბადეში საკვალიფიკაციო ტურნირიდან გავიდა და პირველ წრეში სამხრეთაფრიკელ **ლიზაან დიუპლესის** გაუსწორდა - 6:4, 7:5. მეორე მეტოქე იყო უზბეკი **ვლადა ეკშიბაროვა** (742) - 7: 6 (9), 6:0. მანანა უკვე მეოთხედფნალშია, სადაც მე-7 ნომრად განთესილ ფრანგ **კლერ ფურსტეინს** (574) ხვდება. **ნათია გეგიას** და მანანა შაფაქიძის წყვილი მეოთხედფინალში დამარცხდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## კრივი

ინტერვიუ თენგიზ მესხაძესთან

# ახალი დარბაზი 60 წლისთავზე

**დამოუკიდებელი ქართული კრივის ისტორიაში, თენგიზ მესხაძე ერთ-ერთი ყველაზე უფრი წარმატებული მწვრთნელია. მისი თავკაცობით საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატებზე ერთი ვერცხლის (ნიკოლოზ იზორია) და ორიც ბრინჯაოს (კონსტანტინე კუპატაძე) მედალი მოიპოვეს. ამ მოკრივეებმა ათენის ოლიმპიადაზეც იასპარეზეს.**

**შარშან, წლის დასაწყისში, მესხაძემ თანამდებობა დატოვა. მას შემდეგ საქართველოს ნაკრებმა ორი მწვრთნელი შეიცვალა – ჯერ დავით ცერცვაძე წვრთნიდა გუნდს, ახლახან კი ნაკრები ავთანდილ შოშიაშვილს ჩააბარეს. მესხაძე ეროვნული ნაკრებიდან წასვლის შემდეგ, კვლავაც კრივში დარჩა და მშობლიურ ქალაქში მუშაობს.**

- საქართველოს ნაკრებში დიდი გეგმები მქონდა, არც ენერგიასა და ენთუზიაზმს ვუჩიოდი, მაგრამ, სამწუხაროდ, თანამდებობის დატოვება მომიხდა. ამის შემდეგ, მშობლიურ ქუთაისს დავუბრუნდი და მე-18 სპორტსკოლის დირექტორად დავინიშნე. ყველაფერს გავაკეთებ, რომ ის ენერგია და გამოცდილება, რომელიც ეროვნულ ნაკრებში ბოლომდე ვერ ამოვწურე, იმ ქალაქს მოვახმარო, სადაც დავიბადე, გავიზარდე და მოკრივედ ჩამოვყალიბდი.

**- რა გაკეთდა მე-18 სკოლაში თქვენი მისვლის შემდეგ?**

- კაპიტალურად ვარემონტებთ სკოლის ორ დარბაზს, საიდანაც ერთი სავარჯიშო იქნება, მეორე კი სადემონსტრაციო – 200-კაციანი ტრიბუნებით. ვერ ვიტყვი, რომ სპონსორებით განებივრებული ვართ. უბრალოდ, ყველა, ვინც ქუთაისურ კრივში ვართ ჩაბმულები, ერთად ვდგევართ და საერთო ძალისხმევით ვაკეთებთ ამ დიდი საქმეს. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო თანხა ერთი რინგის შესაძენად, მაგრამ იმდენი მოვახერხეთ, რომ გვაქვს 4 ახალი რინგი, რასაც 15 სავარჯიშო ტომარაც მივაყოლეთ. ამას გარდა, ვაახლებთ ქუთაისის კიდევ ორ დარბაზს. წლეულს, ქუთაისურ კრივს 60 წელი უსრულდება და გვინდა, ამ საიუბილეო თარიღს ღირსეულად შევხვდეთ.

ჩვენს ქალაქს რომ ძალიან დიდი საკრივო ტრადიციები და მაღალი დონის სკოლა აქვს, ეს ახლახან გამართულმა საქართველოს ეროვნულმა და ახალგაზრდულმა ჩემპიონატებმაც კიდევ ერთხელ დაადასტურეს. უფროსებში ორი ქუთაისელი გახდა ჩემპიონი, ახალგაზრდებში კი ერთბაშად ექვსი ოქროს მედალი მოვიპოვეთ. საქართველოს კრივის ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობა დიდი პასუხისმგებლობითა და ენთუზიაზმით ეკიდება საქმეს და რეგიონებს შესაძლებლობების ფარგლებში, მაქსიმალურად გვეხმარება.



თენგიზ მესხაძე

დასასრულ, მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით დიდი მადლობა გადავუხადო ყველა იმ ქუთაისელ სპეციალისტს, რომლებიც ყვალანაირად მხარში მიდგანან. იმედია, არავის ეწყინება, თუ განსაკუთრებით გამოვარჩევ კუკური შავგულიძეს. იგი ადრე ჩემი მწვრთნელი იყო, ახლა კი მე-18 სკოლაში მეხმარება.

**კობა ხატისაშვილი**

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ვესტერნის კანონებით

ალბათ გახსოვთ, რა პირობით შეუნარჩუნეს "ნიუ იორკის" ბოსებმა თანამდებობა გუნდის საკალათბურთო ოპერაციების პრეზიდენტსა და მთავარ მწვრთნელს, **აიზია ტომასს**? წარსულის ლეგენდარულ მოთამაშესა და ძალიან უხეირო თავკაცს, "მედისონ სკვერ გარდენის" ბინადარი ფლეი ოფში უნდა გაეყვანა.

ბოლო ორი კვირის განმავლობაში, "ნიქსი" საფლეიოფო ზონას კი ეპოტინება, მაგრამ აღმოსავლეთის რვა საუკეთესოში შესვლასა და მით უმეტეს, იქ დამკვიდრებას ვერაფრით ახერხებს.

გუნდმა ეს შანსი ამჯერადაც ვერ გამოიყენა. "ნიუ ჯერსი" გასვლაზე უშანსოდ იყო "მავერიქსთან" და "ნიქსს" რომ მოეგო, თანამხარელს უკან ჩამოიტოვებდა. არ გამოვიდა და რამდენადაც კურიოზულად არ უნდა ჟღერდეს, ამაში დამნაშავე "სიეტლთან" წაგებულ შეხვედრაში 40 ქულის მომხვეჭი **სტეფონ მარბერია.**

"ორლანდოსთან" მოგება-წაგების მაჩვენებლით გატოლება რეალური იყო. ძირითადის დასრულებამდე 0.9 წამით ადრე, მარბერი საჯარიმოს ხაზზე იდგა. სტუმრები **რაშარდ ლიუისის** სამქულიანით 100:98 იყვნენ წინ და წესით, ოვერტაიმი გარდაუვალი უნდა გამხდარიყო. მარბერიმ პირველი სროლა გამოიყენა, მეორე ვერა. დრო მყისვე ამოიწურა და "სიეტლმაც" ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა.

*"არავის ვუსურვებდი ასეთ სიტუაციაში საჯარიმოს გაფუჭებას. გამიკვირდა, სტეფონმა მატჩი დამატებით დროში რომ ვერ გადაიყვანა. უკვე ოვერტაიმისთვის ვიყავი განწყობილი, თუმცა ყველაფერი ჩვენთვის სასიკეთოდ დასრულდა"*, - იტყვის ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე "სუპერსონიქსის" ლიდერი **რეი ალენი.**

მასპინძლები საჯარიმოებს მთელი მატჩის განმავლობაში საშინლად ასრულებდნენ. "ნიქსის" მოთამაშეები 38-ჯერ დადგნენ საჯარიმოს ხაზზე და მხოლოდ 24 ერთქულიანი შეასრულეს ზუსტად.

*"არა მარტო სტეფონმა , არამედ მთელმა გუნდმა გავუშვით ხელიდან დიდებული შანსი. "სიეტლისთვის" ნებისმიერ შემთხვევაში უნდა მოგვეგო"*,- მიაჩნია მასპინძელთა ცენტრ **ედი კარის,** რომელმაც 10 საჯარიმოდან მხოლოდ 5 გამოიყენა.

"სიეტლი" კი ნელ-ნელა დასავლეთის საფლეიოფო ზონას უახლოვდება. "ზებგერითებმა" ზედიზედ მესამე მოგებით მიმდინარე რეგულარულის გუნდური რეკორდი გაიმეორეს და ამ ეტაპზე, რეი ალენი და კომპანია მერვე ადგილზე მყოფ "კლიპერსს" მხოლოდ 4 მოგებით ჩამორჩება. თუ გავითვალისწინებთ, რომ "სიეტლს" რეგულარულში კიდევ 22 მატჩი დარჩა ჩასატარებელი, ყველაფერია შესაძლებელი.

"სონიქსის" გამთამაშებელმა **ერლ უოტსონმა** 23 ქულით კარიერის რეკორდი გაიმეორა, "ნიქსს" კი შვიდმატჩიანი საშინაო წარმატებული სერია დაასრულა. სტუმართა ფორვარდმა **კრის უილკოქსმა** მესამე მეოთხედში მარბერისგან სახეში მტკივნეული დარტყმა მიიღო და ბოლო 12-წუთეული გუნდმა მის გარეშე ჩაატარა.

"სიეტლს" ტრავმის გამო ძირითადი ფლეიმეიქერი **ლიუკ რიდნური** არ ჰყოლია, მასპინძლებმა კი დაშავებულები, **დევიდ ლი, ნეიტ რობინსონი** და **ჯამალ კროუფორდი** ვერ იახლეს. განსაკუთრებით მტკივნეული ლის არყოფნაა, რომელიც გუნდის საუკეთესო მომხსნელი და სათადარიგოა.

■ ■ ■

ძალიან გაერთნენ ფანები "მინესოტისა" და "ლეიკერსის" მატჩისას.

მთელი შეხვედრის განმავლობაში, "მგლებს" სამქულიანების შესრულებისას ფატალურად არ უმართლებდათ. **რიკი დევისი, რენდი ფოიე** და სხვები, ჯიუტად ცდილობდნენ ნავსის გატეხვას, მაგრამ არაფერი იცვლებოდა.

ჰოდა, ძირითადის დასრულებამდე 2 წუთი და 35 წამი რომ რჩებოდა, "მინესოტის" მთავარი მწვრთნელი **რენდი უიტმენი** წუთშესვენებისას ტაქტიკას ცვლის და პერიმეტრზე ცენტრი **მარკ ბლაუნტი** აჰყავს.

დარჩენილ დროში ბლაუნტმა ზედიზედ სამი შორეული ტყორცნა შეასრულა ზუსტად და მასპინძლებმა მატჩი დამატებით დროში გადაიყვანეს, სადაც "ლეიკერსს" პირველი ხუთი წუთი კიდევ ედგა სული, მერე კი კალიფორნიელებმა თეთრი დროშაააფრიალეს.

არადა, მეოთხე მეოთხედის დასაწყისამდე, ბლაუნტს თამაშიდან 6-დან მხოლოდ 2 სროლა გამოეყენებინა და ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ უმნიშვნელოვანეს მომენტში სწორედ მარკი ამუშავებდა შორეულ არტილერიას.

ბლაუნტმა მეოთხე 12-წუთეული უმაღლეს დონეზე ჩაატარა და თავისი 18 ქულიდან, 11 სწორედ ამ მონაკვეთში მოიმკო.

შეუდარებელი იყო **კობი ბრაიანტი,** მაგრამ **ლამარ ოდომისა** და **ლიუკ უოლტონის** გარეშე დარჩენილ "ლეიკერსს" ძალიან დიდი ძალისხმევა დასჭირდება, რათა დარჩენილ მატჩებში საფლეიოფო ადგილი შეინარჩუნოს. ამ შემადგენლობაში **ფილ ჯექსონს** კობის გარდა არავის სტაბილურობის იმედი არ უნდა ჰქონდეს. მართალია, ტრავმა მოიშუშა **კვამე ბრაუნმა,** მაგრამ ბოლო ორ მატჩში მან ჯამში მხოლოდ 7 ქულა გააკეთა, რაც ჯექსონისთვის კარგის მანიშნებელი არ უნდა იყოს.

31 იანვრის მერე, კობიმ პირველად დააგროვა 40 ქულა, რაც მიმდინარე სეზონში მისთვის ყველაზე დიდი შუალედი გახლდათ. ბრაიანტი გამოიფიტა დამატებით ათ წუთში და ამ დროში მისმა მონაგარმა ოდენ 3 ქულა შეადგინა. ამასთან ერთად, "ლეიკერსის" მეგავარსკვლავმა დაცვაში ორჯერ ელემენტარულად "გაატარა" რიკი დევისი (ამ უკანასკნელმა კარიერაში საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა). მოკლედ, ბრაიანტი გადაიღალა. "ლეიკერსმა" უნდა ილოცოს, რომ კობიმ რეგულარული ჯანმრთელმა და ენერგიულმა დაასრულოს.

"მინესოტამ", რომლის ლიდერმა **კევინ გარნეტმა** ამ სეზონში მეათედ დააგროვა 16 და მეტი მოხსნა, სამმატჩიანი წარუმატებელი სერია დაასრულა. აღსანიშნავია, რომ ბლაუნტის პირველ ზუსტ სამქულიანამდე, "მგლებს" 14 სამქულიანიდან 13 გაეფუჭებინათ.

*"მარკი ძალიან კარგ სეზონს ატარებს. სამწუხაროდ, გუნდმა ვერა და ვერ აღიდგინა სტაბილურობა, რის გამოც ცალკეული მოთამაშეების კარგი გამოსვლა ეგრევე მივიწყებას ეძლევა. იმედი მაქვს, წლევანდელი ფლეი ოფი ჩვენს გარეშე არ ჩაივლის"*, - განაცხადა ნამატჩევს გარნეტმა.

"მინესოტა" აღნიშნულ შეხვედრაში არ ჰყოლია ტრავმირებული **ტრენტონ ჰასელი** და **მარკ მედსენი**. უიტმენის თქმით, მედსენი 3-4 დღეში შეძლებს მოედანზე გასვლას, აი, ჰასელი კი ალბათ, მინიმუმ 10 დღეს ვერ ივარჯიშებს.

**ზურაბ თალაკვაძე**

**პორტლენდი–ს. ანტონიო 94:99**

**29:22, 25:25, 20:18, 20:34**

**პორტლენდი:** როი (19 ქ. 9 პ. 5 მ), ზ. რენდოლფი (14 ქ. 12 მ), ლ. ოლდრიჯი (14 ქ. 4 მ), უდოკა (13 ქ), ტ. აუთლო (10 ქ).

**სან ანტონიო:** დანკანი (24 ქ. 8 მ. 2 დ), ჯინობილი (23 ქ. 4 მ), ფინლი (20 ქ. 5 პ).

**საკრამენტო–ინდიანა 102:98**

**30:22, 27:20, 24:32, 21:24**

**საკრამენტო:** კევინ მარტინი (27 ქ. 7 მ), ბიბი (22 ქ), უილიამსონი (13 ქ), აბდურ-რაჰიმი (10 ქ).

**ინდიანა:** მ. დანლივი-უმცროსი (24 ქ. 2 ჩ), ჯ. ონილი (22 ქ. 12 მ), მერფი (19 ქ. 6 მ. 3 პ), დ. გრეინჯერი (11 ქ. 5 მ), ტინსლი (11 ქ. 7 პ).

**დენვერი–ნ. ორლეანი 106:91**

**24:25, 29:18, 34:22, 19:26**

**დენვერი:** აივერსონი (25 ქ. 5 პ), ენტონი (21 ქ. 7 მ. 6 პ), ნენე (15 ქ. 14 მ. 3 პ), ს. ბლეიკი (13 ქ. 6 პ), ნახერა (10 ქ. 6 მ), კემბი (8 ქ. 11 მ. 6 პ. 6 დ. 4 ჩ).

**ნიუ ორლეანი:** ჩენდლერი (15 ქ. 18 მ. 4 დ), პოლი (13 ქ. 14 პ. 4 მ), რ. ბატლერი (11 ქ).

**დალასი–ნიუ ჯერსი 102:89**

**25:18, 22:23, 25:27, 30:21**

**დალასი:** ტერი (24 ქ. 3 პ), ნოვიცკი (22 ქ. 11 მ. 5 პ), დემპიე (12 ქ. 14 მ. 2 დ), დ. ჰარისი (11 ქ. 3 პ), ბაკნერი (10 ქ), ჯოშ ჰოვარდი (10 ქ), სტექჰაუზი (10 ქ).

**ნიუ ჯერსი:** ვ. კარტერი (32 ქ. 8 პ. 6 მ), მური (20 ქ. 3 დ), კიდი (11 ქ. 8 მ. 8 პ).

**მინესოტა–ლეიკერსი 117:107 (2 ო)**

**23:28, 27:25, 21:25, 27:20, 7:7, 12:2**

**მინესოტა:** რ. დევისი (33 ქ. 10 მ. 8 პ. 4 ჩ), გარნეტი (26 ქ. 17 მ. 4 პ. 2 დ), მ. ბლაუნტი (18 ქ. 6 მ), იარიჩი (12 ქ. 5 პ. 3 დ. 2 ჩ), ფოიე (10 ქ. 5 პ), კ. სმიტი (7 ქ. 11 მ).

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (40 ქ. 13 მ. 8 პ. 3 დ. 2 ჩ), ს. პარკერი (24 ქ. 4 ჩ. 4 მ), კუკი (14 ქ. 8 მ. 4 დ), ბინუმი (10 ქ. 6 მ).

**ნიუ იორკი–სიეტლი 99:100**

**18:31, 24:24, 24:18, 33:27**

**ნიუ იორკი:** მარბერი (40 ქ. 3 პ), კარი (15 ქ. 8 მ), კ. რიჩარდსონი (12 ქ. 9 მ. 5 პ), ფრენსისი (10 ქ. 6 მ. 2 ჩ).

**სიეტლი:** რ. ალენი (29 ქ. 8 მ. 7 პ. 2 ჩ), რ. ლიუისი (24 ქ. 8 მ. 7 პ), უოტსონი (23 ქ. 9 პ), უილკოქსი (12 ქ. 5 მ).

**ვაშინგტონი–ტორონტო 129:109**

**31:28, 40:29, 30:26, 28:26**

**ვაშინგტონი:** არენასი (25 ქ. 6 პ. 2 ჩ), ჯეიმისონი (25 ქ), ა. დენიელსი (18 ქ. 6 პ. 3 ჩ), კ. ბატლერი (12 ქ. 12 მ), ჰეივუდი (10 ქ. 6 მ), ჯ. ჰეიესი (10 ქ. 5 მ).

**ტორონტო:** ბოში (25 ქ. 3 დ), ტი. ჯეი. ფორდი (14 ქ. 6 პ. 3 ჩ), დიქსონი (14 ქ. 4 პ), კალდერონი (14 ქ. 4 პ. 2 ჩ), პიტერსონი (10 ქ), ბარნიანი (9 ქ. 2 მ. 1 პ).



მარბერი (მარჯვნივ) მატჩის გმირიც იყო და ანტიგმირიც



ეროვნული ბიბლიოთეკა



როჯერ ფედერერი

ინდიან ველსი

# ფედერერი ახალი რეკორდის დასამხობად ემზადება

გუშინ ღამით სტარტი აილო მიმდინარე საჩოგბურთო სეზონის მასტერსის სერიის პირველმა ტურნირმა, რომელიც ინდიან ველსის სახელითაა ცნობილი. რა თქმა უნდა, ტურნირის მთავარი მოვლენა მასში მსოფლიოს პირველი ჩოგნის, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერის** გამოსვლაა, ვისგანაც ამჯერად არგენტინელი **გილერმო ვილასის** რეკორდის დამხობას ელის.

თუ ფედერერი ტურნირის ფინალს მიაღწევს, მაშინ ის ვილასის მიერ 1977 წელს დამყარებულ რეკორდს გააუმჯობესებს, რაც ზედიზედ 46 თამაშის მოგებას ნიშნავს. ლეგენდარული შვედი **ბიორნ ბორგი** დარწმუნებულია, რომ ფედერერს ამ რეკორდის დამყარება ხელეწიფება.

*"როჯერის თამაში, პრაქტიკულად, უნაკლოა. მე ყოველთვის დიდ სიამოვნებას ვღებულობ, როცა მის თამაშს ვუმზერ. პირადად ჩემთვის, ფედერერი ეტალონი უნდა იყოს ყველა დამწყები ჩოგბურთელისთვის. საოცრებაა, მაგრამ ისედაც უმაღლეს დონეზე მოთამაშე როჯერი ყოველთვის ახერხებს თავისი სტილის დახვეწას. მის კარიერას რომ ვუყურებ, ვრწმუნდები, რომ ადამიანის სრულყოფას ზღვარი არ აქვს. მგონი, არ არსებობს დარტყმა, რომლის შესრულებაც მას არ შეუძლია. გარწმუნებთ, რაც კი ჩოგბურთში რეკორდები არსებობს, ის ყველას დამხობას შეძლებს. რა თქმა უნდა, თუ ამაში ტრავმა არ შეუშლის ხელს. ის იმდენად სრულყოფილად თამაშობს, რომ ვერ ვხედავ სხვა ჩოგბურთელს, ვისაც მისი ჰეგემონიის დამხობა შეუძლია. მოკლედ, ამ ეტაპზე მისთვის მთავარი ტრავმებისგან თავის არიდებაა"*, - "გალფ ნიუსთან" საუბარში ამბობს ბორგი.

სხვათა შორის, ვილასის რეკორდის შემდეგ, ფედერერს კიდევ ერთი რეკორდი ელის, რომელიც იმ შემთხვევაში გაუმჯობესდება, თუ შვეიცარიელი მაესტრო ზედიზედ მეოთხედაც მოიგებს ინდიან ველსს. ორივე რეკორდის გაუმჯობესებამდე, მას სერიოზული ბარიერის გადალახვა მოუწევს მეოთხედფინალში, სადაც მისი პოტენციური მეტოქე ტურნირის ორგზის (2002 და 2003 წლებში) ჩემპიონი, ავსტრალიელი **ლეიტონ ჰიუიტი** იქნება.

ორივე ჩოგბურთელი პირველ წრეს გამოტოვებს. მერე კი ბრძოლაში ჩაერთვებიან. ფედერერის მეტოქეს ჩეხ **იან ჰაიეკსა** და ჯერაც უცნობ, კვალიფიკაციაგამოვლილ ჩოგბურთელს შორის შეხვედრა გაარკვევს. ჰიუიტის მეტოქე კი სერბი **იანკო ტიპსარევიჩისა** და ტაილანდელი **პარადორნ შრიჩაპჰანის** შეხვედრაში გაირკვევა. ტურნირში მეორე წრიდან ჩაერთვება ესპანელი **რაფაელ ნადალიც,** ვისაც ფრანგ **არნო კლემანსსა** და კვალიფიკაციაგამოვლილ ჩოგბურთელს შორის მოგებულთან ექნება საქმე.

შეგახსენებთ, რომ ჰიუიტი ბოლო ხანს აღმავლობის გზას ადგას. ყოველ შემთხვევაში, წინა კვირაში მან ლას ვეგასის ტურნირი მოიგო და ამით წერტილი დაუსვა რვათვიან პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ვერცერთი ტურნირის მოგება ვერ მოახერხა. მის მსგავსად, წინა კვირაც ტურნირის მოგებით აღნიშნა ფედერერმაც, რომელმაც დუბაის ტურნირის ფინალში ორ სეტში აჯობა რუს **მიხაილ იუჟნის**.

ცნობისთვის, შვეიცარიელ მაესტროს ინდიან ველსამდე ატპ-ს ზედიზედ შვიდი ტურნირი აქვს მოგებული და ის ამჯერადაც ჩემპიონობის უმთავრესი ფავორიტია. მით უმეტეს, რომ მას "ინდიან ველს ტენის გარდენის" კორტებზე თამაში ძალიან მოსწონს. არადა, იქ მისი დებიუტი (1999 წელს) საკმაოდ წარუმატებელი იყო.

*"რა დამავიწყებს, რომ აქ ჩემი პირველი გამოსვლა კრახით დასრულდა - საკვალიფიკაციოს პირველივე ეტაპზე წავაგე და ტურნირს გამოვეთიშე. მაგრამ ამის მიუხედავად, აქაურობა მაშინვე ძალიან მომეწონა. აქ რაღაც სხვანაირი სიმშვიდე მეუფლება ხოლმე. თითქოს, ეს უფრო დიდი მოვლენისთვის მამზადებს. უფრო დიდის რა გითხრათ, მაგრამ აქედან მაიამის მასტერსზე მიწევს გადასვლა. მოკლედ, მეტად დატვირთული თვე იქნება და კარგია, რომ ის აქ გამოსვლით იწყება. უბედნიერესი ადამიანი ვიქნები, თუ ტურნირს ზედიზედ მეოთხედ მოვიგებ"*, - დუბაის ტურნირზე გამარჯვების შემდეგ განაცხადა 25 წლის ფედერერმა.

იგი არ მალავს, რომ ძალიან სიამოვნებს ძველი რეკორდების გაუმჯობესება, თუმცა იქვე დასძენს, რომ ეს მისი თვითმიზანი არაა და ის, რომ რეკორდებზე ფიქრობს, მეტწილად პრესის დამსახურებაა: *"მომწონს, როდესაც ისტორიულ მიღწევებს ვაფიქსირებ, მაგრამ მერწმუნეთ, თქვენ რომ არა, ამ რეკორდების შესახებ ბევრი არაფერი მეცოდინებოდა. ჩემი მთავარი მიზანი სხვაა - როცა კორტზე გავდივარ, იმ კონკრეტული ჩოგბურთელის წინააღმდეგ სათამაშოდ განვეწყობი ხოლმე, რომელიც კორტის მეორე მხარეს დგას. თამაშის დროს მე უზარმაზარ სიამოვნებას ვღებულობ, შედეგებზე კი თქვენ ლაპარაკობთ"*.

ალბათ სწორედ ესაა ფედერერის გამარჯვებათა მთავარი ფორმულა - ის შორსმიმავალ გეგმებს არასოდეს აწყობს და ყოველთვის კონკრეტული ჩოგბურთელის წინააღმდეგ სათამაშოდ განეწყობა. ამჯერად მის მთავარ მეტოქეთა შორის, ნადალისა და ჰიუიტის გარდა იქნებიან: ამერიკელები - **ენდი როდიკი** და **ჯეიმს ბლეიკი,** რუსი **ნიკოლაი დავიდენკო** და ჩილელი **ფერნანდო გონსალესი**.

და კიდევ, ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპი დღეს ღამით დასრულდება და მის შედეგად გამოვლენილი 12 მოთამაშე ტურნირზე ხვალვე ჩაერთვება.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

# ფეხბურთი

## ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები

### მილანი-სელტიკი 1:0 დ.დ. 0:0

მილანი: დიდა, ოდო (116. შიმიჩი), ბონერა, მალდინი, იანკულოვსკი, გატუზო (79. ბროკი), პირლო, ამბროზინი, ზეედორფი, კაკა, ფ. ინძაგი (73. ჯილარდინო).

სელტიკი: ბორუცი, ტელფერი, მაკმანუსი, ო'დი, ნეილორი, ნაკამურა (106. კ. მილერი), ლენონი, სნო (97. ბიტი), მაკგიდი, იაროშიკი (62. გრავესენი), ვენეგოორ ოფ ჰესელინკი.

გოლი: 1:0 კაკა (93)

მაყურებელი: 60 000

არბიტრი: კონრად პლაუტცი (ავსტრია)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** მილანი
**პირველი ჯარიმა:** სელტიკი
**პირველი კუთხური:** სელტიკი
**პირველი თამაშგარე:** მილანი
**პირველი გაფრთხილება:** სელტიკი

| | | |
|---|---|---|
| 25(6) | დარტყმა | 5(2) |
| 16 | ჯარიმა | 20 |
| 7 | კუთხური | 2 |
| 1 | გაფრთხილება | 3 |
| 50% | ბურთის ფლობა | 50% |

### ბაიერნი-რეალი 2:1

ბაიერნი: კანი, სანიოლი (85. გიორლიტცი), ლუსიო, ვან ბუიტენი, ლამი, სალიჰამიჯიჩი, ვან ბომელი, ჰარგრივზი, შვაინშტაიგერი, მაკაი (69. პისარო), პოდოლსკი (88. დემიკელისი).

რეალი: კასილიასი, რობერტო კარლოსი, ივან ელგერა, სერხიო რამოსი, ტორესი, მ. დიარა, ემერსონი (32. გუტი), გაго (75. რობინიო), იგუაინი (46. კასანო), რაული, ვან ნისტელროი.

გოლები: მაკაი (1), 2:0 ლუსიო (66), 2:1 ვან ნისტელროი (83-პენ)

გაძევება: ვან ბომელი (82. ბაიერნი), დიარა (82. რეალი)

მაყურებელი: 66 000

არბიტრი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** რეალი
**პირველი ჯარიმა:** რეალი
**პირველი კუთხური:** რეალი
**პირველი თამაშგარე:** ბაიერნი
**პირველი გაფრთხილება:** რეალი

| | | |
|---|---|---|
| 19(8) | დარტყმა | 13(5) |
| 23 | ჯარიმა | 17 |
| 7 | კუთხური | 4 |
| 3 | გაფრთხილება | 4 |
| 49% | ბურთის ფლობა | 51% |

### მანჩესტერი-ლილი 1:0

მანჩესტერი: ვან დერ სარი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, ვიდიჩი, სილვესტრი, ქერიქი, სქოულზი, ო'ში, კრისტიანო რონალდო (82. რიჩარდსონი), ლარსონი (75. სმიტი), რუნი (82. ჟი-სუნ პარკი).

ლილი: სილვა, შალმე, ტავლარიდისი, პრესტანი, ტაფორო, მაკუნი, დუმონი (74. ფოვერგი), კეიტა, ობრანიაკი, ბასტოსი (46. დებუში), ოდემვინგი (74. მირალა).

გოლი: 1:0 ლარსონი (72)

მაყურებელი: 76 000

არბიტრი: ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** მანჩესტერი
**პირველი ჯარიმა:** ლილი
**პირველი კუთხური:** მანჩესტერი
**პირველი თამაშგარე:** მანჩესტერი
**პირველი გაფრთხილება:** ლილი

| | | |
|---|---|---|
| 9(4) | დარტყმა | 17(6) |
| 14 | ჯარიმა | 15 |
| 4 | კუთხური | 2 |
| 2 | გაფრთხილება | 4 |
| 55% | ბურთის ფლობა | 45% |

### არსენალი-ეინდჰოვენი 1:1

არსენალი: ლემანი, კოლო ტურე, ჟილბერტო სილვა, გალასი, კლიში (85. უოლკოტი), გლები, ფაბრეგასი, დენილსონი, ლიუნგბერგი (76. დიაბი), ადებაიორი, ჟულიო ბაპტიშტა (66. ანრი).

ეინდჰოვენი: გომეში, ფეჰერი, ალექსი, სალსიდო, სუნ სიანი, სიმონსი, მენდესი (90+2. ვაირინენი), კულინა, კოკუ, ა. კრნე (41. აფელეი), ფარფანი (89. ადო).

გოლები: 1:0 ალექსი (58-საკ. კარში), 1:1 ალექსი (83)

მაყურებელი: 65 000

არბიტრი: ალენ ჰამერი (ლუქსემბურგი)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** ეინდჰოვენი
**პირველი ჯარიმა:** არსენალი
**პირველი კუთხური:** ეინდჰოვენი
**პირველი თამაშგარე:** ეინდჰოვენი
**პირველი გაფრთხილება:** ეინდჰოვენი

| | | |
|---|---|---|
| 20(6) | დარტყმა | 8(1) |
| 17 | ჯარიმა | 14 |
| 7 | კუთხური | 4 |
| 1 | გაფრთხილება | 1 |
| 58% | ბურთის ფლობა | 42% |



ალექსის (4) ამ გოლმა ეინდჰოვენი შემდეგ ეტაპზე გაიყვანა

# ჰოკეი

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

### ბოსტონი-კოლორადო 0:2

0:0, 0:0, 0:2

გოლები: 0:1 ბ. კლარკი-8 (ჰეიდუკი-29, პ. შჩასტნი-41), 0:2 ჰეიდუკი-26.

### ვანკუვერი-ტამპა ბეი 5:1

1:0, 1:1, 3:0

გოლები: 1:0 კოუენი-4 (ბ. მორისონი-23, კრაიჩეკი-11), 1:1 ლეკავალიე-43 (კუბა-21, ბოილი-39), 2:1 ბიეკსა-11 (დ. სედინი-35, ჰ. სედინი-54), 3:1 დ. სედინი-30 (ჰ. სედინი-55, ბიეკსა-25), 4:1 სმოლინსკი-15, 5:1 კოუენი-5 (ბულისი-9, კუკი-13).

### მინესოტა-სან ხოსე 0:3

0:0, 0:3, 0:0

გოლები: 0:1 მ. მიხალეკი-18 (ჯ. ტორნტონი-67, ვლასიჩი-18), 0:2 ქლოუ-15 (ბერნიე-16, ჰენანი-16), 0:3 ჩიჩუ-23 (მ. მიხალეკი-28, ჯ. ტორნტონი-68).

### სენტ ლუისი-კალგარი 2:4

2:0, 0:1, 0:3

გოლები: 1:0 ჩაიანეკი-10 (ბოიესი-22, უეიტი-37), 2:0 დვორაკი-9 (ბრიუერი-19), 2:1 ტანგეი-19 (იგინლა-43, ჰამრლიკი-25), 2:2 კონროი-9 (ტანგეი-48, იგინლა-44), 2:3 პრიმო-10 (კონროი-20), 2:4 კონროი-10 (იგინლა-45, ფანოფი-27).

### ჩიკაგო-ლოს ანჯელესი 3:0

1:0, 2:0, 0:0

გოლები: 1:0 რენე ბურკი-5 (ჰამილტონი-13, სიბრუკი-14), 2:0 შარპი-12 (სიბრუკი-15), 3:0 შარპი-13 (ტ. რუუტუ-20, ჰამილტონი-14).

### ფილადელფია-ნიუ ჯერსი 5:4 (ო)

0:1, 4:2, 0:1, 1:0

გოლები: 0:1 პარიზე-27 (გომესი-41, ჯონტა-20), 1:1 სანდერსონი-10 (უმბერგერი-10), 1:2 ელიაში-21 (გომესი-42, პ. მარტინი-22), 2:2 ს. კაპანენი-11 (პიტკანენი-33, აპშოლი-4), 2:3 ბრილინი-14 (ელიაში-41, ოდუია-7), 3:3 მ. რიჩარდსი-6 (ს. კაპანენი-12, აფანასენკოვი-8), 4:3 აპშოლი-6 (განიე-19, ჯ. კარტერი-19), 4:4 ლუკოვიჩი-4 (გომესი-43, ელიაში-42), 5:4 განიე-36 (რ. ჯონსი-14, მ. რიჩარდსი-18).

### ატლანტა-ფლორიდა 4:2

0:0, 1:0, 3:2

გოლები: 1:0 ტკაჩუკი-21 (კოვალჩუკი-29, დე ვრისი-20), 1:1 უეისი-17 (ვან რინი-18, გელინასი-26), 2:1 მარიან ჰოსა-39 (ჟიტნიკი-22, კოვალჩუკი-30), 2:2 კოლნიკი-9 (გრეტონი-15, ბოუმისტერი-24), 3:2 კოვალჩუკი-35 (მელანბი-20, ჟიტნიკი-23), 4:2 ტკაჩუკი-22 (მელანბი-21, დუპუი-4).

### ტორონტო-ვაშინგტონი 3:0

0:0, 2:0, 1:0

გოლები: 1:0 ტაკერი-20 (პოლი-13, გილი-11), 2:0 პერო-20 (კილგერი-14, მაკეიბი-36), 3:0 პონიკაროვსკი-18 (ანტროპოვი-11, კუბინა-11).

### ოტავა-პიტსბურგი 4:5 (ბ)

3:1, 1:0, 0:3, 0:0

გოლები: 0:1 კ. არსტრონგი-9 (მელოუნი-11, სკუდერი-10), 1:1 მ. ფიშერი-15 (შეფერი-26, პრისინგი-27), 2:1 შუბერტი-6 (მაკამონდი-13, საპრიკინი-21), 3:1 კ. კელი-13 (ალფრედსონი-45, ვოლჩენკოვი-16), 4:1 ჰიტლი-41 (კომრი-19, ალფრედსონი-46), 4:2 ჯ. სტაალი-27, 4:3 გ. რობერტსი-15 (კრისტენსენი-10), 4:4 მელოუნი-14 (ჯ. სტაალი-9, ლარაკი-18).

ბულიტები გაიტანეს: კრისტენსენი (პიტსბურგი), მაკამონდი (ოტავა), კროსბი (პიტსბურგი).

### დეტროიტი-ნეშვილი 4:3 (ბ)

1:1, 2:1, 0:1, 0:0

გოლები: 1:0 დაციუკი-20 (ფრანცენი-16), 1:1 ერატი-15 (კარია-45, კ. ტიმონენი-37), 1:2 არნოტი-22 (სმიტსონი-6, დუმონი-37), 2:2 ლანგი-16 (კალდერი-16, შნაიდერი-37), 3:2 შნაიდერი-11 (ლანგი-26, ჰადლერი-4), 3:3 ზენონი-2 (ერატი-40, ლეგვანდი-32).

ბულიტები გაიტანეს: დაციუკი (დეტროიტი), კარია (ნეშვილი), ფრანცენი (დეტროიტი).

# TV სპორტი

## 8 მარტი. ხუთშაბათი

### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

**13:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**13:30** ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ტურნირი. ამერიკა (მექსიკა)-ბანფილდი (არგენტინა).
**15:05** ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბაიერნი-რეალი.
**17:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**17:15** ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. მილანი-სელტიკი.
**19:10** ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. არსენალი-ეინდჰოვენი.
**21:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**21:20** უიქენდის მატჩების ანონსი.
**21:25** ტოქ-შოუ - 2:1.
**22:10** ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ტურნირი. ამერიკა (მექსიკა)-ბანფილდი (არგენტინა).
**23:55** უეფას თასი. 1/8 ფინალი. პირველი მატჩი. (LIVE).
**01:50** ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. მანჩესტერ იუნ-ლილი.

### SPORT 1 (უკრაინა)

**08:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მესინა-პალერმო.
**09:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის მიმოხილვა.
**10:45** კალათბურთი. ევროლიგა. II ჯგუფური ეტაპი. ტაუგრესი (ესპანეთი)-მაკაბი (ისრაელი).
**12:50** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
**13:15** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. მილანი-სელტიკი.
**15:05** სინქრონული ცურვა. მსოფლიო თასი. მოსკოვი. რუსეთი.
**16:35** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. არსენალი-ეინდჰოვენი.
**18:48** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის მიმოხილვა.
**19:48** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**20:15** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ტურნირი. ამერიკა (მექსიკა)-ბანფილდი (არგენტინა).
**22:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/8 ფინალი. პირველი მატჩი. ლანსი-ლევერკუზენი (LIVE).
**23:55** კალათბურთი. ევროლიგა. II ჯგუფური ეტაპი. ბენეტონი (იტალია)-უნიკახა (ესპანეთი) (LIVE).
**01:35** უეფას თასი. 1/8 ფინალი. პირველი მატჩი. ბრაგა-ტოტენჰემი (LIVE).
**03:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის მიმოხილვა.
**04:30** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ოტავა-ტორონტო (LIVE).
**07:05** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

### EUROSPORT

**11:30** აფროსნობა.
**11:45** ფეხბურთი. ალგარვის თასი. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-ნორვეგია. პორტუგალია.
**13:15** ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. გამოდევნება. ლაჰტი. ფინეთი.
**14:00** ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. სპრინტი. ჰოლმენკოლენი. ნორვეგია (LIVE).
**15:30** ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. გამოდევნება. ლაჰტი. ფინეთი.
**16:00** ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ინდივიდუალური. ჰოლმენკოლენი. ნორვეგია (LIVE).
**17:30** ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. სპრინტი. ჰოლმენკოლენი. ნორვეგია.
**18:30** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩები.
**19:15** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მექსიკა.
**19:45** ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. სპრინტი. ჰოლმენკოლენი. ნორვეგია.
**20:45** ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ინდივიდუალური. ჰოლმენკოლენი. ნორვეგია.
**21:45** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/8 ფინალი. პირველი მატჩი. ლანსი-ლევერკუზენი (LIVE).
**00:00** კრივი. დ. ინკინი (რუსეთი)-ე. დუმა (ს. აფრიკა). გერმანია.
**01:00** კრივი. WBC-ის ვერსია. ო. მასკაევი (რუსეთი)-პ. ოხელო (უგანდა). მოსკოვი. რუსეთი.
**02:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/8 ფინალი. პირველი მატჩები.
**03:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები.

### EUROSPORT-2

**10:30** ახალი ამბები.
**13:00** ფრისტაილი. მსოფლიო ჩემპიონატი. სკიპროსი. ფინალი. მადონა დი კამპილიო. იტალია.
**14:00** ექსტრემალური სპორტი.
**15:00** ახალი ამბები.
**17:00** ფეხბურთი. ალგარვის თასი. ჯგუფური ეტაპი. შვედეთი-ფინეთი. პორტუგალია.
**18:00** ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ესპანეთი.
**19:00** ექსტრემალური სპორტი.
**20:00** ფეხბურთი. ალგარვის თასი. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-ნორვეგია. პორტუგალია.
**21:00** ახალი ამბები.
**21:30** ექსტრემალური სპორტი.
**22:00** მულტისპორტი.
**22:30** ახალი ამბები.
**23:00** სუპერკროსი.
**01:00** ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ესპანეთი.
**02:00** ახალი ამბები.
**02:15** ავტოსპორტი. FIA WTCC. სეზონის წინ.
**02:45** რალი.
**03:15** ახალი ამბები.
**03:30** ექსტრემალური სპორტი.
**04:30** ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ყაზახეთი-თურქმენეთი | 2:0 |
| უზბეკეთი-აზერბაიჯანი | 0:1 |

**ინგლისი**
**I ლიგა**

| | |
|---|---|
| ჩესტერფილდი-ბრისტოლი | 1:3 |

**გერმანია**
**რეგიონალლიგა (ჩრ)**

| | |
|---|---|
| ჰერტა II-ვილჰელმშავენი | 2:2 |

**შოტლანდია**
**III დივიზიონი**

| | |
|---|---|
| არბროთ-ელჯინი | 2:1 |
| ბირუიკი-დამბარტონი | 2:1 |

**რუსეთის თასი**

| | |
|---|---|
| რუბინი-როსტოვი | 0:1 |
| დინამო (მ)-ტორპედო | 0:0 |

**პოლონეთის ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| კრაკოვია-ვიძევი | 0:4 |

### კალათბურთი

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი-პარტიზანი | 79:75 |
| პო ორტეზი-რომა | 74:69 |
| ტაუგრესი-მაკაბი | 94:73 |
| ხუვენტუდი-ცსკა | 65:73 |

### ჰოკეი

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ქლინი-სპარტა | 2:2 პენ. 2:3 |

**ბარის თხილამურები**

## რუსი დოპინგის მიღებისთვის დაისაჯა

რუსმა მოთხილამურემ **სერგეი შირიაევმა** დოპინგის მიღებისთვის 2 წლიანი დისკვალიფიკაცია მიიღო. სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც სპორტსმენის მეორე დოპინგ-ტესტმაც დადებითი შედეგი აჩვენა. შირიაევის სისხლში ერითროპოეტინის კვალი იქნა აღმოჩენილი.

*"ფედერაციამ B სინჯის შედეგებიც გამოაქვეყნა და სამწუხაროდ, ის პირველი ანალიზის შედეგებს დაემთხვა. ვერ გამიგია, როგორ მოხდა ეს ყველაფერი"*, - განაცხადა რუსეთის სათხილამურო ნაკრების მწვრთნელმა **იური ბოროდავკომ**.

**ოლიმპიზმი**

## ვანკუვერში ოლიმპიური დროშა მოიპარეს

სამშაბათს, კანადის ქალაქ ვანკუვერში მოიპარეს გიგანტური ოლიმპიური დროშა, რომელიც მუნიციპალიტეტის შენობაზე იყო გამოფენილი და ამ ქალაქში 2010 წელს გასამართი ზამთრის ოლიმპიური თამაშების სიმბოლოს წარმოადგენდა. ეს ფაქტი ვანკუვერში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დელეგაციის ვიზიტს დაემთხვა.

ჯერჯერობით ცნობილი არ არის, ეს უბრალო ქურდობა იყო, თუ ვანკუვერში ოლიმპიადის ჩატარების წინააღმდეგ დაგეგმილი საპროტესტო აქცია.

მსოფლიო თასი

# ოთხეული გადამწყვეტი პაექრობისთვის ემზადება

სამთო-სათხილამურო სეზონი დასასრულს მიუახლოვდა. რამდენიმე დისციპლინაში უკვე გამოვლინდნენ ბროლის მცირე გლობუსების მფლობელები, თუმცა, ვინ მოიგებს მთავარ თასს - ბროლის დიდ გლობუსს, რომელიც აბსოლუტური კლასიფიკაციის გამარჯვებულს გადაეცემა, ეს ალბათ ბოლო ეტაპამდე გაურკვეველი იქნება.

სანუკვარი მიზნისთვის ოთხი მოთხილამურე - სამი ავსტრიელი და ერთიც ამერიკელი იბრძვის. ამასთან, მათ მხოლოდ 29 ქულა აშორებს. ამ ეტაპზე კი აბსოლუტურ კლასიფიკაციას ორი ლიდერი ჰყავს **რენატე გოიჩლი** და ამერიკელი **ჯულია მანკუზოს** სახით, რომლებსაც 1199 ქულა დაუგროვდათ. **ნიკოლ ჰოსპს** 1183 ქულა აქვს, **მარლის შილდს** კი - 1170.

პირველმა სამმა ბოლო სამი ეტაპიდან თითო მოიგო. მათგან ყველაზე წარმატებული კი მანკუზო იყო, რომელმაც ერთი გამარჯვების გარდა, დანარჩენ ორ რბოლაშიც კვარცხლბეკზე ასვლა შეძლო. მათგან გოიჩლმა კარიერაში მე-17 სუპერგიგანტი მოიგო, რაც სარეკორდო მაჩვენებელია. სამივე რბოლა ჩქაროსნულ დისციპლინებში (სუპერ კომბინაციაში ერთი დაშვების ცდაა) ჩატარდა, რომლებშიც შილდი ვერაფრის მაქნისია და მხოლოდ ერთხელ, სუპერკომბინაციაში შეძლო მესამე ადგილის დაკავება. მისმა მეტოქეებმა კი ქულები აგროვეს და ის ოდნავ ჩამოიტოვეს. არადა, ტარვიზიომდე (იტალია), სადაც პირველად ჩატარდა მსოფლიო თასის რბოლები, აბსოლუტურში სწორედ შილდი ლიდერობდა.

ლენცერჰაიდემდე (შვეიცარია), სადაც სეზონის ბოლო რბოლები ყველა დისციპლინაში ჩატარდება, ქალებს მხოლოდ ორი რბოლა აქვთ და ორივე ტექნიკურ დისციპლინებში (სლალომი და გიგანტური სლალომი), რომლებშიც შილდს დაწევის საშუალება ექნება. მით უმეტეს, რომ ამ სეზონში ჩატარებული შვიდი სლალომიდან მან ექვსი მოიგო.

ამ ოთხეულიდან ყველაზე უკეთესი პოზიცია მაინც ჰოსპს უნდა ჰქონდეს, ვინც ბოლო ხანებში უნივერსალად ყალიბდება. ადრე მისი სპეციალობა ტექნიკური დისციპლინები იყო, მაგრამ ახლა ჩქაროსნულ რბოლებშიც ახერხებს კვარცხლბეკზე ასვლას.

იმ გარემოებას, რომ სეზონის ბოლომდე უფრო მეტი ტექნიკური რბოლა რჩება, ჰოსპი თავის უპირატესობად მიიჩნევს, მაგრამ დასძენს, რომ ეს რბოლები უფრო რისკიანია და არის შანსი იმისა, რომ მოთხილამურემ რისკის საფასურად, ფინიშამდე მისვლა ვერ შეძლოს. ამიტომ, ბევრი რამ იღბალზეც იქნება დამოკიდებულიო. მის ამ მოსაზრებას მანკუზოც ეთანხმება.

*"ამ სეზონში, ამინდის გამო, უფრო მეტი სლალომის რბოლა გვქონდა, ვიდრე სხვა დისციპლინების, ამიტომაც სლალომის სპეციალისტებმა გარკვეული უპირატესობა მიიღეს, მაგრამ ამ ეტაპზე ეს არაფერს ნიშნავს. თუ დიდი გლობუსი გინდა, ნებისმიერ რბოლაში უნდა შეგეძლოს მოგება"*, - ამბობს ამერიკელი, ვინც იმედოვნებს, რომ სლალომებში ათეულში შესვლას ეცდება და ამისთვის საგანგებოდ ემზადება - ამ სეზონში პირველად, სლალომში სრულფასოვან ვარჯიშს ჩაატარებს.

გოიჩლი ტექნიკურ რბოლებს სრულად გამოტოვებს და ამით ფაქტობრივად, თავადვე იტყვის უარს დიდ გლობუსზე. ის ამბობს, რომ აბსოლუტურში გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი ამერიკელს აქვს. მას ნებისმიერი რბოლის მოგება შეუძლია და თუ ახლა ვერა, მომავალში აუცილებლად მიაღწევს თავის მიზანსო.

დაბოლოს, ქალებს ერთადერთი მცირე გლობუსი დარჩათ გასათამაშებელი - გიგანტური სლალომისა. დანარჩენ დისციპლინებში ყველაფერი უკვე გარკვეულია. გიგანტურის ჩათვლას კი ჰოსპი ლიდერობს, რომელსაც 36 ქულით ჩამორჩება ფინელი **ტანია პოუტიაინენი**. დანარჩენი გლობუსებიდან ორი (დაშვებასა და სუპერგიგანტში) უკვე გაინაღდა გოიჩლმა, დანარჩენი ორი (სლალომსა და სუპერ კომბინაციაში) კი შილდის საკუთრება გახდა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**



მარცხნიდან: ჰოსპი, გოიჩლი და მანკუზო

ჰოკეი

## პიტსბურგი ჰოკეის გარეშე რჩება

როგორც "პიტსბურგ პინგვინზის" ერთ-ერთი მფლობელი **მარიო ლემიე** აცხადებს, შტატ პენსილვანიის მთავრობასთან პიტსბურგში ახალი სტადიონის აშენების თაობაზე მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. სწორედ ამის გამო, კლუბის ბოსები სასწრაფოდ და აქტიურად განიხილავენ "პინგვინების" სხვა ქალაქში გადაბარგების საკითხს.

*"სამწუხაროდ, ჩვენი მოლაპარკებები უშედეგო აღმოჩნდა. ამიტომაც, ჰოკეის ეროვნული ლიგის კომისარ გერი ბეტმენს გავუგზავნეთ შეტყობინება იმის შესახებ, რომ კლუბი სხვა ქალაქში გადასვლაზე იწყებს ზრუნვას"*, - განაცხადა ლეგენდარულმა მარიო ლემიემ.

## ფორსბერგს ისევ ტრავმა აქვს

"ნეშვილ პრედატორზის" ახალწვეულმა **პიტერ ფორსბერგმა** ტრავმის გამო ზედიზედ მეორე შეხვედრა გამოტოვა.

შვედი ვეტერანის ტრავმის სერიოზულობასა და მისი დაბრუნების სავარაუდო თარიღზე არანაირი ინფორმაცია არ ვრცელდება.

შეგახსენებთ, რომ 33 წლის ფორსბერგი სულ ახლახან გადავიდა "ნეშვილში", ამ სეზონში მისი მონაგარი კი, 40 ქულა (11 გოლი+29 პასი) გახლავთ.

## რეინჯერსმა ჰოსა დაკარგა

სერიოზული დანაკლისი განიცადა ფლეი ოფის საგზურისთვის მებრძოლმა "ნიუ იორკ რეინჯერსმა". მის შემადგენლობაში დაახლოებით ერთი თვე ვერ ითამაშებს სლოვაკი თავდამსხმელი **მარსელ ჰოსა**, რომელსაც მუხლის ტრავმა აწუხებს.

25 წლის ფორვარდმა ამჟამინდელ ჩემპიონატში 64 მატჩი ჩაატარა და 18 ქულა (10 გოლი+ 8 პასი) დააგროვა.

კალათბურთი

## უეიდის შემდეგ კაპონო

**დუეინ უეიდის** შემდეგ, "მაიამი ჰიტს" კიდევ ერთი წამყვანი კალათბურთელი გამოაკლდა - მარცხენა ფეხის ტრავმის გამო, დაახლოებით 10 დღე ვერ შეძლებს თამაშს **ჯეისონ კაპონო**, რომელმაც ამას წინ, "ყველა ვარსკვლავის უიქენდზე" სამქულიანების კონკურსში გაიმარჯვა.

წლევანდელ სეზონში 26 წლის ფორვარდმა 58 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 11 ქულასა და 2.7 მოხსნას აგროვებდა. მიმდინარე რეგულარულში კაპონოს სამქულიანების რეალიზაცია 51.3 პროცენტს უტოლდება.





ინტერვიუ ვიტალი კლიჩკოსთან

# რაჰმანს სამაგიერო უნდა გადავუხადო

**ბოლო პერიოდში, კრივის სამყაროს მთავარი მოქმედი პირი უკრაინელი მძიმეწონოსანი ვიტალი კლიჩკო იყო, რომელმაც ბოლომდე მოირჩინა ტრავმა და კრივში დაბრუნება გადაწყვიტა. თუმცა, დღემდე არ არის გარკვეული, თუ ვის შეხვდება უფროსი კლიჩკო რინგზე დაბრუნების შემდეგ. მის პირველ მეტოქედ WBC-ის მოქმედი ჩემპიონი, რუსი ოლეგ მასკაევი კი სახელდება, მაგრამ ამ უკანასკნელთან შეხვედრის პრეტენზია (და სრულიად საფუძვლიანი) სამუელ პიტერსაც გააჩნია, რომელიც WBC-მ ოფიციალურ პრეტენდენტად გამოაცხადა.**

**სანამ მოკრივეები გაარკვევენ, თუ ვის ეკუთვნის მასკაევთან შეხვედრა, მანამდე, კერძოდ კი 10 მარტს, ვიტალის ძმა - ვლადიმერი, IBF-ის ვერსიით, საჩემპიონო ტიტულს რეი ოსტინთან ბრძოლაში დაიცავს. ხოლო, თუ უფროსმა კლიჩკომაც დაიბრუნა ჩემპიონის ტიტული, მაშინ ზემძიმე წონის ისტორიაში ეს იქნება პირველი შემთხვევა, როცა ძმები ერთდროულად იქნებიან პროფესიულ კრივში საჩემპიონო ქამრების მფლობელები.**

**თუ რა ხდება ძმები კლიჩკოების ბანაკში, ამას კრივში დაბრუნებული ვიტალი კლიჩკოს ინტერვიუდან შეიტყობთ.**

**- კრივში თქვენი დაბრუნების შესახებ დიდხანს საუბრობდნენ. მაინც რამ გადაგადგმევინათ ეს ნაბიჯი?**

- ჩემმა ჯანმრთელობამ. თუ ბოლომდე გულახდილი ვიქნები, ჯერ კიდევ შემოდგომაზე დავიწყე მთელი დატვირთვით ვარჯიში და დაბრუნებისთვის მზადება. მაშინ დიდი იყო ალბათობა იმისა, რომ მასკაევს ჩემი ძმა - ვლადიმერი შეხვდებოდა, ამიტომაც არ მინდოდა მისთვის ხელი შემეშალა. მაგრამ, დროთა განმავლობაში გაირკვა, რომ არც WBC და არც IBF ამ ბრძოლით არ იყვნენ დაინტერესებულნი და ახლა, ვლადიმერი რეი ოსტინთან შესახვედრად ემზადება.

**- მუხლის ტრავმა აღარ გაწუხებთ, რომლის გამოც ჰასიმ რაჰმანთან ბრძოლის წინ, მოულოდნელად კარიერის დასრულება მოგიწიათ?**

- გასული წელი მთლიანად რეაბილიტაციის პროცესს მოხმარდა. მუხლის სრულად აღდგენას 9 თვე დასჭირდა. თავიდან ტკივილი მაინც მაწუხებდა, მაგრამ საბედნიეროდ, უსიამოვნო შეგრძნებებმა გაიარა და მივხვდი, რომ კრივში დაბრუნება შემეძლო.

**- ოლეგ მასკაევთან ბრძოლის შესახებ ათასგვარი ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია ვრცელდება. ბოლოს და ბოლოს, შედგება თუ არა ეს შეხვედრა?**

- მოლაპარაკებები ახლაც მიმდინარეობს. იმედია, დასკვნით სტადიაში ვიმყოფებით და უახლოეს დღეებში ყველაფერი დადებითად გადაწყდება. მაგრამ, თუ კონტრაქტი მაინც ვერ გავაფორმეთ, ალბათ, საქმე სტრასბურის უმაღლეს სპორტულ არბიტრაჟამდე მივა. სასამართლომ ან ჩემი, ან სამუელ პიტერის მხარე უნდა დაიჭიროს. ჩემი ადვოკატები აცხადებენ, რომ ამ პროცესის მოგების უფრო მეტი შანსი მაქვს.

**- ერთი შეხედვით, შექმნილ სიტუაციაში დამნაშავე არავინაა. თქვენ და პიტერს მსოფლიო ჩემპიონთან შეხვედრის თანასწორი უფლება გაქვთ. პიტერი ტიტულის ოფიციალური პრეტენდენტია, თქვენ - საპატიო ჩემპიონი, რომელმაც რინგი დაუმარცხებელმა დატოვა...**

- დიახ, ერთგვარ იურიდიულ კაზუსთან გვაქვს საქმე. ერთი შეხედვით, შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი WBC-ის ხელმძღვანელობას უნდა მოენახა, მაგრამ მან ნეიტრალიტეტის შენარჩუნება გადაწყვიტა. ამ ორგანიზაციამ პრობლემის მოგვარების უფლება ჩვენ ან სტრასბურის სასამართლოს დაუტოვა.

**- ცოტა ხნის წინათ, გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ თქვენ და მასკაევი პიტერს 2.5 მილიონ დოლარს სთავაზობდით იმის სანაცვლოდ, რომ ის გვერდზე გამდგარიყო და თქვენი ბრძოლისთვის ხელი არ შეეშალა. ეს სიმართლეა?**

- დიახ, პიტერს ფული მართლაც შევთავაზეთ. ამაში გასაკვირი არაფერია. ასეთ შემთხვევებში ეს ჩვეულებრივი პროცედურაა.

**- როცა ვიტალი კლიჩკოს დაბრუნების შესახებ ცნობა გავრცელდა, პიტერმა თქვენი და თქვენი ძმის მისამართით არც თუ ისე კორექტული განცხადებები გააკეთა. არადა, მას ვლადიმერ კლიჩკოსთან ერთხელ უკვე წაგებული აქვს. პიტერმა ისიც კი თქვა, ორივე ძმას ერთ დღეში გავუსწორდებიო...**

- ადამიანური თვალსაზრისით, მისი გაგება შემიძლია. პიტერს მე და ჩემი ძმა ძვალივით გავეჩხირეთ ყელში. მას ერთი ნაბიჯი აკლდა საჩემპიონო ბრძოლამდე, მაგრამ ვლადიმერთან წააგო. ახლაც აქვს ჩემპიონთან შეხვედრის შანსი, მაგრამ უკვე მე აღვიმართე მის წინ. ასე რომ, სამუელს ჩვენს მიმართ სიმპათიის საფუძველი ნამდვილად არ გააჩნია. მე კი, მასზე გაბრაზებული სულაც არ ვარ.

**- სულ მალე შეიძლება ისე მოხდეს, ძმები კლიჩკოები სხვადასხვა ვერსიებით მსოფლიო ჩემპიონებად მოგვევლინონ...**

- ჩემთვის ეს უდიდესი მოტივაციაა. ყოველთვის გინდა გააკეთო ის, რაც შენამდე არავის გაუკეთებია. აქამდე, მძიმე წონაში ორი ძმა არასოდეს ყოფილა ერთდროულად მსოფლიო ჩემპიონი. მე ამ მიზნით ვცხოვრობ. ვგრძნობ, რომ კიდევ ბევრი ენერგია მაქვს დაგროვილი და ის რინგზე უნდა დავხარჯო. თანაც, ის საქმეებიც უნდა მოვაგვარო, რაც ტრავმამდე დამრჩა გაუკეთებელი. არ მავიწყდება ის სიტყვები, რაც მაშინ ჩემი მისამართით რაჰმანმა წარმოთქვა. ძალიან მინდა მას ამისთვის სამაგიერო გადავუხადო.

**- ამბობენ, რომ თუ მასკაევთან ბრძოლა მაინც შედგა, ის მოსკოვში ჩატარდება. ამერიკასთან დროის სხვაობის გამო, ოკეანის გაღმა ტელევიზიებისთვის ასეთი ბრძოლები ნაკლებად რეიტინგულია. ეს თქვენს ჰონორარებზე არ იმოქმედებს?**

- ჩვენი ბრძოლისადმი ინტერესი იმდენად დიდია, რომ უკვე გვაქვს წინასწარი შეთანხმება ამერიკისა და ევროპის ტელევიზიებთან. ასე რომ, დროის სარტყელებში სხვაობა პრობლემას არ შექმნის.

**- მასკაევთან ბრძოლაში თქვენ უპირობო ფავორიტად ითვლებით. რას იტყვით ამის თაობაზე?**

- მასკაევზე, როგორც მოკრივეზე, მაღალი აზრის ვარ. მსოფლიო ჩემპიონები შემთხვევით არ ხდებიან. სხვათა შორის, მას დიდი ხანი არ უმართლებდა მენეჯერებთან და პრომოუტერებთან მიმართებაში. ამიტომაც უნდა განვაცხადო, რომ გამარჯვება გარანტირებული არ მაქვს.

ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა